ლიტერატურული ჟურნალი №4 (27)

2015

ფასი 3 ლარი

ISSN 1512-3995

# ოლე

მწერალთა ასოციაცია
„ლიტერატურული კახეთის“ გამოცემა

The Literary Magazine OLE

ჟურნალი გამოდის 2004 წლის ივნისიდან
ISSN 1512-3995


**ოლე** – ბრყენა, გინა მოგრძე ტყე ველთა შუა
***სულხან საბა***

**ოლე** – ახოში საჩრდილობლად დატოვებული ხე
***ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი***

**ოლე** – გიორგი ლეონიძის პოეტური შედევრი


**მთავარი რედაქტორი**
**აკაკი დაუშვილი**

**რედაქტორები:**
ფარნა რაინა
ნუნუ ძამუკაშვილი



მისამართი: 2200 თელავი
ერეკლე II-ის გამზირი №6
III სართული
მობ: 555 46 44 29
მწერალთა ასოციაცია
„ლიტერატურული კახეთი“
მობ: 558 48 24 80



„ოლეს“ რედაქციაში შემოსული მასალა
არ რეცენზირდება და ავტორს არ უბრუნდება



მასალების გამოგზავნა შეგიძლიათ
ელექტრონული ფოსტით
E-mail: akakidau@mail.ru



ჟურნალის წინა ნომრების შეძენა
შეგიძლიათ რედაქციაში



ჟურნალ „ოლეს“ ეს ნომერი გამოიცა თვითმმართველი ქალაქი თელავის მუნიციპალიტეტის (მერი ბატონი **პლატონ კალმახელიძე**) და თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის (გამგებელი ბატონი **ალექსანდრე შათირიშვილი**) მხარდაჭერით.



„ოლე“ ლიტერატურული ჟურნალი
გამოდის სამ თვეში ერთხელ
მარტი, ივნისი, სექტემბერი, (დეკემბერი) №4 (27), 2015


## შინაარსი


**წერილი რედაქციას**

**2. ზურაბ არსენიშვილი.** ერეკლეს მეციხოვნე
**2. ლია მუმლაური.** „ოლემ“ უნდა იცოცხლოს...

**3. პოეტის ალიარება**

**ზაირა არსენიშვილი**

**8. ემზარ კვიტაიშვილი.** ლამპარივით წმინდა სიცოცხლე
**12. მერი ზაალიშვილი.** საუკუნის პირველი მანდილოსანი თელავიდან

**მხატვრული ლიტერატურა**

**13. ფარნა რაინა.** ლექსები
**31. რეზო (ემელიანე) ადამია.** წმიდა ნინო. რომანი
**43. მაია დიაკონიძე.** ლექსები
**46. ელზა თუშაბრამიშვილი.** სხვათა ქვეყანა. მინიატურა
**47. ბესარიონ თარხნიშვილი.** ლექსები

**დოკუმენტური პროზა**

**48. ნინო ბაქანიძე.** გარიყულები გარიყულადან

**ლევან გოთუა**

**51. როინ ჭიკაძე.** ლევან გოთუასმიერი სათავისუფლო სამშობლო

**რევაზ ინანიშვილი**

**53. ზაალ ბოტკოველი.** ლამაზი ცრემლების მომგვრელი

**თარგმანი**

**54. ჯორჯ გორდონ ბაირონი, ალექსანდრე პუშკინი, სერგეი ესენინი, ალექსანდრე ბლოკი.** ლექსები

**წერილები**

**56. მარიამ მრელაშვილი.**
ლეილა შალვაშვილი — 80
**57. გიორგი ჯავახიშვილი.** ია და კესანე

**ხელოვნება**

**58. ნანული კუპატაძე.** ვინ გატეხა ქოთანი?

**61. კულტურული ცხოვრების ქრონიკა**


გარეკანის პირველ გვერდზე
**წმიდა ნინო.** ხატმწერი რეზო (ემელიანე) ადამია


დაიბეჭდა შპს „ფავორიტი სტილში“

## ერეკლეს მეცხოვნე

გლობალიზაცია ფაქტია, მიუხედავად იმისა ვის მოსწონს ეს და ვის არა. მსოფლიო პოლიტიკა და ეკონომიკა ყველა კუთხე-კუნჭულში აღწევს. იგივე შეიძლება ითქვას კულტურაზე და ამაში გადამწყვეტი წვლილი სოციალურ ქსელებს მიეკუთვნება.

ბრძოლა სივრცისთვის, ხშირ შემთხვევაში, ფარულია მაგრამ დაუნდობელი და სწორედ ეს არის გასაცნობიერებელი და დასაფიქრებელი. მაშინ როცა მოშლილია ყველა სამანი, მხოლოდ ეროვნულ კულტურას ძალუძს ქვეყნის თვითმყოფადობის შენარჩუნება. ეს განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებს ეხებათ როგორიც საქართველოა. ჩვენ მაინც განსაკუთრებით, რადგან მსოფლიოს ერთერთ მნიშვნელოვან გზაჯვარედინზე განლაგებულ ქვეყანაში, მუდამ ქროდა ოთხივკუთხივ მონაბერი, დამანგრეველი ქარები. და თუ იგი გადარჩა, უპირველეს ყოვლისა ეს ქართველი ერის შემოქმედებითი უნარის დამსახურებაა. ეს ჭეშმარიტება ნათელიც არის და აღიარებულიც, მაგრამ მისი მხარდაჭერა და წახალისება, მუდამ ჭირდა. სამწუხაროდ, ასეა დღესაც. და რაოდენ სასიხარულო და საამაყოა, რომ ჟურნალი „ოლე“ თერთმეტ წელს ითვლის! რა სირთულეებით იყო აღბეჭდილი ეს თერთმეტი წელი შემოქმედებითი კოლექტივისთვის, ბევრ სხვასთან ერთად, მეც კარგად ვიცი, მაგრამ იუბილეს შედეგების შეჯამება და დადებითზე საუბარი უხდება. მით უმეტეს, რომ ამ თვალსაზრისით სათქმელი ბევრია.

ჟურნალმა შეძლო ავტორების შემოკრება არა მხოლოდ კახეთიდან, არამედ სრულიად საქართველოდან. ამის შედეგია, მჭიდრო კავშირები აჭარის, იმერეთის და სხვა რეგიონების შემოქმედებით ორგანიზაციებთან, ერთობლივი შეკრებები, ნომრები და სხვა. დიახაც, სიტყვა ის დუღაბია, რომელმაც უნდა დააახლოვოს და განამტკიცოს საქართველოს სხვადასხვა მხარეები. აკი ამის ნათელ მაგალითს იძლეოდნენ ჩვენი დიდი წინაპრები — ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი!

ფრიად დასაფასებელია ის მნიშვნელოვანი წვლილი, რომელიც შეაქვს ჟურნალს ახალგაზრდა შემოქმედთა გამოვლენასა და დაოსტატებაში. ახალგაზრდული კონკურსები, შეკრებები, თავად ნიჭიერ ავტორთა პუბლიკაციები, მყარ საფუძველს უყრის კახეთის ლიტერატურულ მომავალს.

თავისთავად ცხადია, რედაქცია უყურადღებოდ არა ტოვებს, იმ თაობის წარმომადგენლებსაც, ვისთვისაც, საბჭოთა პერიოდში „ადგილი არ მოიძებნა“ კომპარტიის მიერ კონტროლირებად ჟურნალებში. ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, „ოლემ“ აღადგინა სამართლიანობა, რასაც მოყვა არაერთი, მხატვრული ღირებულების თვალსაზრისით, ფრიად მნიშვნელოვანი ნაწარმოების პუბლიკაცია.

განა ცოტაა ყოველივე ერთი ჟურნალისა და დროის ამ არცთუ ხანგრძლივი (თერთმეტი წლის) მონაკვეთისათვის? ნამდვილად არა! „ოლე“ ერეკლეს ერთგულ მეცხოვნედ გვევლინება „ენა, მამული, სარწმუნოების“ დასაცავად და ჩვენც, ავტორებიც და მკითხველებიც ახალ წარმატებებს ვუსურვებთ მის შემოქმედებით კოლექტივს.

***ზურაბ არსენიშვილი***

## „ოლემ“ უნდა იცოცხლოს...

როცა გამოდიოდა გაზეთი „თელავის მოამბე“ (თუ „ალაზნის განთიადი“), უამრავი გაზეთის შეკვრიდან, მას ამოვარჩევდი ხოლმე და სულმოუთქმელად ვკითხულობდი, იმიტომ, რომ ჩემად ვთვლიდი. ასევე, ჩემია — „ოლე“, — ამ დროისათვის, ჩვენი რეგიონის სინამდვილეში, მართლაც მარტოხე...

მისი ყოველი ნომრის გამოსვლას მოუთმენლად ველით, რადგან ვიცით, რომ „ოლეს“ ფურცლებიდან შემოგვცინებენ ჩვენი მეგობრები, თუ ახლო ნაცნობები, წასულები, თუ ჩვენს გვერდით მყოფნი, ხშირად — უცნობებიც და რაც მთავარია, ახალგაზრდები, რომლებიც თხზავენ ლექსებს, მოთხრობებს, თარგმნიან, ფიქრობენ და წერენ ამ მოძალებული უწიგნურობის პირობებში. სანამ „ოლე“-ს ახალ ნომერს მოვიღებთ, ვფურცლავთ ძველებს და კიდევ და კიდევ სიამოვნებით ვეზიარებით ჩვენი ნიჭიერი თანამოქალაქეების შემოქმედებას.

ყოველივე ამის გამო, „ოლემ“ უნდა იცოცხლოს!!!

***ლია მუმლაური***
***პენსიონერი პედაგოგი***

## საქართველოს მწერალთა კავშირი

ვაჟა-ფშაველას პრემია მიენიჭა ფარნა რაინას (ფარნაოზ რაინაულს) ჟურნალ „ოლეში“ (2015 წელი, №3) გამოქვეყნებული პოეტური ციკლისათვის მთელი შემოქმედებითი მოღვაწეობის გათვალისწინებით.



**მაყვალა გონაშვილი**
**თემურ ჩალაბაშვილი**
***საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარეები***

მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთი“ და ჟურნალ „ოლეს“ რედაქცია, მრავალრიცხოვან მკითხველთან ერთად, ფარნა რაინას ულოცავს ვაჟა-ფშაველას პრემიის მინიჭებას.

ფარნა რაინას სხვადასხვა წლებში მინიჭებული აქვს ტერენტი გრანელის და გიორგი ლეონიძის პრემიები.

# ფარნა რაინა

ფარნა რაინა იმ სანეტარო გენიოსთა დასის წევრია „ვინაც სიტყვას სიცოცხლე მისცა, სულიც, გულიც და მზის ნათებაც სტრიქონში ჩადო“.

სიტყვას წონა აქვს მის პოეზიაში!.. ფერი, გემო და სურნელებაც!.. ეს რომ იწამო, ფარნა რაინას ერთი კატრენი მაინც დაგემოვნებით უნდა წაიკითხო. მხოლოდ მერე შეძლებ უპასუხო უნებლიედ წამოჭრილ კითხვებს:

— საიდან ამ თემატურად დათითოებულ სტროფებში ამდენი სიყვარული ადამიანებისა, საქვეყნო სიმაღლე და გადამდები შინაგანი ენერგია, რაც უმალ „ცხოვლად დააჩნდების“ მკითხველის გულსა და გონებას.

რა მდიდრები ვიქნებოდით თურმე ადამიანები, თუ ჩვენს ყველა სულიერ სიკეთეს ერთად მოვუყრიდით თავს!.. სწორედ ამის გაცნობიერებაში გვეხმარება ფარნა რაინას ეს საოცრად დახვეწილი სტრიქონები. თითოეული კატრენი ბრძნული სიტყვაა მოკლედ და შთამბეჭდავად თქმული, გენიალურ შემოქმედს ქინძისთავზე რომ მოუთავსებია!

— ეს აფორიზმებია, გულის ფიცარზე რომ უნდა ეწეროს თითოეულ ჩვენგანს!..

— ეს შუქურაა მანათობელი კაცობრიობის უკეთესი მერმისისაკენ სავალ გზაზე!..

— მიზანია, რომლისკენაც უნდა ვისწრაფვოდეთ ყველა!..

და გვრჩება კიდეც სწორედ გულის ფიცარზე თითოეული კატრენი თავისი ბრძნული შინაარსისა და ამ მხრივ ტოლს არ უდებენ ერთმანეთს, არჩევანი ჭირს.

— რანი ვყოფილვართ!..

— რა შეგვძლებია!..

— რა ლამაზი ყოფილა საყოველთაო ბედნიერებისაკენ სავალი გზა!..

მოჯადოებული გამოდიხარ ფარნა რაინას შემოთავაზებული ბრძნული კატრენების სამყაროდან და თავს გახსენებს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის საოცრად ბრძნული შეგონება იმის შესახებ, რომ: ყველანი გავაცნობიერებდით, საყოველთაო ბედნიერებისა და კეთილდღეობის როგორი ოაზისი გვექნებოდა აქვე, მიწაზე, ჩვენს საფიცარ სამშობლოში.

მხნედ, ძვირფასო ფარნა რაინა! ადამიანთა გულების ჯერ კიდევ რამდენი კუთხე-კუნჭულია პოეზიის სიბრძნისა და სიკეთის მადლით გასხივოსნებულ-გასანათებელი.

21-ე საუკუნის მძიმე რეალობით დაბნეულ-დათრგუნული მკითხველი კვლავაც სასოებით დაელოდება უმაღლესი პოეზიის მადლით გაბრწყინებულ თქვენს კატრენებს.

***მაყვალა მიქელაძე***
***ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი***

**P.S.**

მე, თქვენი პოეზიის ღვთიური მადლით შთაგონებული რიგითი მკითხველი, ყველა დანარჩენი მკითხველის სახელით, უღრმესი პატივისცემით გილოცავთ მიმდინარე წელს საქართველოს მწერალთა კავშირის მიერ ჟურნალ ოლეში 2015 წელს (№3) გამოქვეყნებული თქვენი გენიალური კატრენებისა და მთლიანი შემოქმედებითი მოღვაწეობის გათვალისწინებით მონიჭებულ უმაღლეს ჯილდოს — ვაჟა-ფშაველას პრემიის ლაურეატობას. გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და შემდგომ წარმატებებს პოეზიის მადლინ გზაზე.

# ფარნა რაინას შემოქმედებითი საღამო

9 ოქტომბერს, საქართველოს მწერალთა სახლში, საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანიზებით გაიმართა ფარნა რაინას შემოქმედებითი საღამო. საღამო მისასალმებელი სიტყვით გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარემ თეიმურაზ ჩალაბაშვილმა. მანვე ფარნა რაინას გადასცა საქართველოს მწერალთა კავშირის მიერ დაწესებული ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემია. პოეტს მიესალმნენ მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარეები: მაყვალა გონაშვილი და ბაღათერ არაბული, ასევე მწერალთა კავშირის საორგანიზაციო განყოფილების გამგე — ზაალ ბოტკოველი. ფარნა რაინას შემოქმედებაზე ვრცლად ისაუბრეს: ნინო ნადირაშვილმა და ელისო ჭიჭიაშვილმა. პოეტს მიესალმნენ: აკაკი ბრეგაძე, ნუნუ ძამუკაშვილი, თინათინ მრელაშვილი, აკაკი დაუშვილი და ჯუბა ღებელი.

საღამოს მსვლელობისას პოეტმა ფარნა რაინამ წაიკითხა საკუთარი ლექსები.

გთავაზობთ რამდენიმე გამომსვლელის სიტყვას.

ფარნა რაინა, თეიმურაზ ჩალაბაშვილი, მაყვალა გონაშვილი

* * *

ქართველებს ერთი მშვენიერი სიტყვა გვაქვს, ღვთისნიერი კაციაო, იტყვიან ისეთ კაცზე, ღვთის ნირი რომ შერჩენია გარეგნობასა და სულში, ეს სიტყვები შეგვახსენებს, რომ მამაუფალმა ადამიანი თავის მსგავსად შექმნა.

განა ბევრია ჩვენს შორის ისეთი, საუკუნეთა მდინარე გამოვლილს სახე რომ არ შეცვლია, ჯერ ისევ რომ შერჩენია მის სხეულს უფლის წმინდა ნათითურები, მის სულს უფლის სუნთქვა, მის გულს უფლის დანაბარები, რომ ღმერთი სიყვარულია.

ფარნაოზ რაინაული სწორედაც რომ ღვთისნიერი კაცია. უფლის თვალი ტრიალებს მის ყველა ლექსში, ყველა ჩანაფიქრსა და ნამოქმედარში.

მწერალთა კავშირის ეს ღვაწლმოსილი მოღვაწე ჩვენი მწერალთა დიდი ოჯახის უსაყვარლესი წევრია.

***მაყვალა გონაშვილი***
***საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე***

* * *

ბატონებო!

ჩვენი ყოფა, ჩვენი დღევანდელობა მისტერიებითაა სავსე, რომლისაც უკვე აღარ გვიკვირს.

ერთი მისტერია დღეს აქ ტრიალდება, ამ დარბაზში და მას ქართული ლექსის, ქართული პოეზიის ზეიმი ჰქვია.

თქვენს წინაშეა 80 წელს მიტანებული შემოქმედი, რომლის მკერდშიც ჭაბუკური გული ძგერს, რომელიც არ დამცხრალა, არ დაოკებულა, არ შეგვიკლია პოეტური საფანელი. დღესაც ეძიებს ქართული ლექსის ახალ გამომსახველობით საშუალებებს და ამ პროცესითაა ბედნიერი. მართლაც რომ ზეზვაის ჯიშისაა, ამაყი და შეუდრეკელი, იმ მოდგმის და ჯილაგისაა, ვისაც აკვნიდანვე დაედარა ყორანთა ბოროტი, ავი ყაშყაში.

საქართველოა მისი საფიცარი და საესავი. თუში კაცის სიმტკიცითა და შეუვალობით ემსახურება სათაყვანებელ მამულს და მის სადიდებლად ალალ, პატიოსან, გულის სისხლში განბანილ სტრიქონებს აღავლენს არსთაგამრიგის წინაშე.

უშიშარსა და გულადს თუ რამ აშინებს, ის აშინებს, ცოცხლად არ დავიმარხოთ ქართველები, ცოცხლად დამარხვა კი სირცხვილმა იცის, საკუთარ ფესვებს შენივე ნებით რომ გადაჭრი, საკუთარ რჯულს რომ უღალატებ, საკუთარ ტრადიციებს, რომ გათელავ ფეხქვეშ, იმით გამოწვეულმა სირცხვილმა.

ჩემო ფარნა!

თუ გეშინია, სწორედ ამის გეშინია, ჩემო კეთილო და სამშობლოზე ფიქრში გათეთრებულო პატიოსანო ბერიკაცო.

შენს ლექსს გაუმარჯოს, ახლა უკვე კატრენის არტახებში მოქცეულ ლექსს, თავანკარა ქართულით რომაა გაჯერებული, შენს კაცობას გაუმარჯოს, ქართული პატიოსნებით რომ აქვითკირებ.

არ ვიცი, ჩემი ხმა მიწვდება თუ არა კახეთს, თელავს, მის ხელმძღვანელობას, ერთი მათგანი ხომ ჩემი უძვირფასესი მეგობრის სოლომონ სამხარაულის ვაჟიშვილია, მაინც უნდა მივმართო.

ბატონებო!

კახთა სატახტო ქალაქში ცხოვრობს თხემით ტერფამდე დახვეწილი პოეტი, რომელსაც გაისად 80 წელი უსრულდება. ძელგი ღვინოსავით დაწმენდილი პოეზიის პატრონია, პოეზიისა, საქართველოთი რომ იწყება და საქართველოთი მთავრდება.

თქვენი ღირსების, თქვენი თავმოყვარეობის საქმეა, ჩემო ძვირფასო თელაველებო, რომ ფარნაოზ რაინაული თავის საიუბილეო თარიღს რჩეული ერთ-ტომეულით შეხვდეს.

ვიმედოვნებ, რომ ჩემი ხმა არ დარჩება ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა.

ოცნებას კაცი არ მოუკლავს.

***ზაალ ბოტკოველი***
***საქართველოს მწერალთა კავშირის საორგანიზაციო განყოფილების გამგე***

* * *

ქართულ პოეზიას ფესვები უხსოვარ დროში აქვს გადგმული. ოდითგანვე პოეტური სიტყვის მადლითა და მჭევრმეტყველური სიბრძნე-სიღრმით გამოირჩეოდა ქართველი ერი. სწორედ ეს ფანტასტიკური, მაგიური ძალა კვებავდა საუკუნეთა განმავლობაში ქართველ მგოსანთა სულსა და შთაგონებას.

ასეა დღესაც.

მინდა, ორიოდე სიტყვით მოკრძალებული ფორმით მოგახსენოთ ჩემი შეხედულება ფარნაოზ რაინაულის ლექსების შესახებ. მისი შემოქმედება ერთდროულად ითავსებს ძირძველ ქართულ ლირიკულ ტრადიციებსა და თანამედროვე ლექსთწყობას, უძველესი აღმოსავლური პოეზიის მუსიკალურობას, ემოციურ სიღრმესა და თანამედროვე ევროპული ლირიკის ტენდენციებს, მითოლოგიურ-ქრისტიანული აზროვნების ნაზავსა და რენესანსისა და აღორძინების ხანის სიდიადეს. ყოველივე ეს განსაკუთრებულ ხიბლს მატებს მის პოეტურ მემკვიდრეობას. იგი უდიდესი პასუხისმგებლობითა და სისათუთით ცდილობს მკითხველს ლექსების საშუალებით მიაწოდოს მრავალფეროვანი თემატიკა.

ემოციური სიჭარბით გამოირჩევა მისი ლექსთა ციკლი მიძღვნილი საამაყო წინაპრის, გონებაშეზღუდულთა, უგუნურთა მიერ ვერაგულად მოკლული ილია ჭავჭავაძისადმი. ლექსებში — „იშვა ღმერთად, სიყვარულად, იშვა დიდებად!..“, „ილიას“, „ილიას აჩრდილის მოლანდება“, „ჩვენო ძვირფასო მამაო!..“ — ნათლად იგრძნობა ავტორის მოწიწებული ემოციებით აღსავსე განწყობა სასიქადულო მამულიშვილისადმი. ამ შემთხვევაში მკითხველის ყურადღებას იქცევს არა მარტო პოეტის სუბიექტური დამოკიდებულება ილიასადმი, არამედ ამ ლირიკული ნიმუშებით გადმოცემული პოეტური ლექსის საზომი: ტეხილი სტრიქონებით რითმებთან და რიტმთან „შეთამაშება“ და უმთავრესი — ძველქართული პოეტური ტრადიციისა და ლექსიკის გამოყენება. ამის პარალელურად შეინიშნება დავით გურამიშვილის პოეზიისათვის დამახასიათებელი უშუალო თხრობითი მანერა („ჩვენო ძვირფასო მამაო!..“).

მინდა, ყურადღება გავამახვილო ფარნაოზ რაინაულის ლექსზე „საით მივდივართ?!.“ ავტორმა მას „ჰიპერმეტრიული ვერლიბრი“ უწოდა. ლექსის თემა და იდეა თავისთავად საინტერესოა, პატრიოტულ-მოქალაქეობრივი მრწამსით აპირთავებული: ავტორი უსაზღვრო გულის ტკივილით გადმოგვცემს ერის დაკნინების, ანტიდაბადების, გაურკვევლობის ტრაგიკულ განცდებს; თუმცა იმავდროულად ვუკვირდებით და ვიხიბლებით ფარნაოზ რაინაულის მიერ შერჩეული ლექსთწყობის საზომით — რითმის თავისებური სახე შექმნა და გამოიყენა პოეტმა ტექსტში: ერთდროულად ვხვდებით როგორც ურითმო სტრიქონებს, ასევე ბოლორითმათა და შუა და ბოლორითმათა შეხამებებს. ლექსის ფორმას კი ტექსტში შენარჩუნებული რიტმი განაპირობებს.

დაუსრულებლად შეიძლება ფარნაოზ რაინაულის შემოქმედებაზე საუბარი, თუმცა არ მსურს, თავი შეგაწყინოთ და ასევე მოკრძალებით, ორიოდე სიტყვით შევეხები მისი პოეზიის ესთეტიკურ მხარეს. სტრიქონებსა და რითმებთან შეჭიდებულ პოეტს უხვად აქვს გამოყენებული მრავლისმეტყველი მხატვრული ხერხები. სიტყვათა ჰარმონიულ თამაშს მიაგავს ალიტერაციით გადმოცემული აზრი: „ცეკვა — / ცერულით, / ელვა-ხანჯლურით, — / დაქრიან, / როგორც ველის სიონი, / ცეკვავს

ლია ნადირაშვილი

დიდგორი, / ცეკვავს შამქორი, / მღერის ჯვარი და, / მღერის სიონი,...“. თვალსა და გულს იტაცებს მეტაფორები: „მზე შლის სხივთა გვირილას...“; „სულ / ვარდებად იღაღანე: / დღემდე თქმულო, / ართქმულო...“; „ხშირად ვაძოვებ / ამ ქუდის ქვეშ / ფიქრების ვერძებს...“. ბესარიონ გაბაშვილისეულ მსუბუქ, მუსიკალურ-სიმეტრიულ ლექსთწყობის ფორმას ვხვდებით მის ლექსში — „ერისიონი, ანუ საქართველოს საგალობელი“: „ქორო ვარძიის / მითოს-ზღაპრული, / სართულ-სართული / ქვაბნი — დევთანი; / ცერზე შემდგარი / ციხე-კოშკები — / საუკუნეთა ჯავშანბექთარით!..“

მსურს, ყურადღება გავამახვილო ფარნაოზ რაინაულის კატრენებზე — მრავალფეროვანი თემატიკით, ემოციური სიმძაფრითა და პრინციპული შეუვალობით გამორჩეულ ლირიკულ ლექსებზე. ამ ციკლში გაერთიანებული უამრავი კატრენი (ოთხტაეპედი) ფორმით მინიატურულია, თუმცა შინაარსი და თვით ტექსტებით გამოხატულ-მინიშნებული მიზანსწრაფვა უსაზღვროდ მრავლისმომცველ-დამაფიქრებელი და გონიერთათვის დიადი საქმეების საწყისად ქცეული, რამეთუ შესაძლოა, თითოეული ფრაზა, სტრიქონი, ან თავად კატრენი მკითხველისთვის ერთგვარ სენტენციადაც იქცეს: „ადამიანი / „მე“-ს ჩარჩოში / არის / ცხოველი... / და... / „მე„-ს ჩარჩოდან / ვინც გამოვა / — ადამიანი...“ მორალურ-დიდაქტიკური შეგონების ტოლფასია ნაწყვეტი: „სიცოცხლე / როცა / მიზანს დაკარგავს, / იგი / სიკვდილზე უარესია...“ პოეტს ტრადიციულად აქვს გააზრებული უფლისა და მზის იგივეობა, რისი საწყისიც წინარე ქრისტიანულ ფილოსოფიაში უნდა ვეძიოთ; ეს საკითხი უფრო შეივსო და განივრცო ქრისტიანული იდეოლოგიის ჩამოყალიბების პროცესში, რადგან საუკუნეთა განმავლობაში უფრო არგუმენტირებული და ლოგიკური დამაჯერებლობა შეიძინა სამპიროვანი ღმერთისა და სამსახეობრივი მზის ხატებათა ზუსტმა მსგავსებამ. ფარნაოზ რაინაული კატრენში „უფალო...“ ჩვეული უშუალობით ლაკონიურად მიმართავს ერთარსება სამპიროვან ღმერთს, თუმცა ტექსტში ფიქსირდება ორი სახელი: მზე და უფალი. ანალოგიურ პოზიციას გამოხატავს ოთხ-

ტაეპედი — „და... მაინც — მზისკენ!!!“ ეს კატრენი ერთდროულად ასახავს მზისკენ, ანუ უფლისკენ, ადამიანის მუდმივ სწრაფვასა და ამ სწრაფვისას ზეცისკენ მიმავალი გზის დაძლევის სირთულეს, ზოგ შემთხვევაში — შეუძლებლობასაც. პირდაპირობით, შეუვალობითა და მკაცრი რიტორიკით გამოირჩევა ლექსები: „გამოცდა“, „როგორც — სარკეში“, „როგორც — წესი...“, „არ შევეწიროთ!!!“, „XXI საუკუნე, ანუ — ახალი იარა...“, „სათავე ჩვენი უბედურების“, „არარაობა, ანუ — XXI საუკუნის ავსულთა სიავის ფორმულა...“ აქვე მინდა, შევნიშნო, რომ ეს უკანასკნელი კატრენი ჯვარედინ ქარგაზე გაწყობილი ზუსტი რითმითაა დაწერილი; მის სტრიქონებში ალიტერაციაც ფიქსირდება, რაც თავისთავად ქმნის ასონანსურ-ალიტერაციულ კომპოზიციას; ეს ხომ ფარნაოზ რაინაულის ჩვეული პოეტური ხელწერაა: ტექსტებით გადმოგვცეს არა მარტო აზრი (არსი), არამედ ესთეტიკური ტკბობის სიამოვნებაც შეგვაგრძნობინოს. მისმა პოეზიამ საფუძველი ჩაუყარა მსოფლიო კლასიკური პოეზიისათვის უჩვეულო ლექსთწყობის საზომს, ამიტომ მის შემოქმედებაში გვხვდება ნაცნობი თუ უცნობი რითმები როგორც სტრიქონთა შორის განლაგების, ასევე — ბგერითი შემადგენლობის მიხედვით.

ფარნაოზ რაინაულმა ლექსთა თხზვის პროცესში აღადგინა და პოეტური სული შთაბერა ძველქართულ, კუთხურ, ისტორიულ თუ მითოლოგიურ ლექსიკას. პოეზიის ფერხულში ჩაბმულან ლექსემები — ციონი, ჰამურაბი, ბელზებელი, დათირება, ტრამა, ლამაობა, იმპერა, ქოჯო, ჭიოტა, ფიორთა, ბუბულა, დია, ღოკი და კიდევ მრავალი —, რომ მთქმელისა და მსმენლის „გულს აბორგოვებდეს“ (ვაჟა-ფშაველა), რათა პოეზიამ, თანაც ქართულმა, გაამართლოს დიდი წინაპრის ტიტანური და, იმავდროულად, რეალური აზრი: „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი, / საღმრთო საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი“ (რუსთაველი).

როგორც ფარნაოზ რაინაულმა შენიშნა, იგი ორჯერ დაიბადა: პირველად — ბიოლოგიურად; მეორედ — სტრიქონებსა და რითმებთან ჭიდილის დაწყებისას. ორივე დაბადება-სიცოცხლის ხანგრძლივობას ვუსურვებ მას.

***ლია ნადირაშვილი***

* * *

სიბრძნე და სიქველე, რწმენა და სიმართლე, შრომისმოყვარეობა და თავდადება ჩვენი სათაყვანებელი მამულისადმი, ჩვენი სათაყვანებელი ქართველი ხალხისადმი, ჩვენი მეგობრებისადმი, მაღალი ზნეობა და ყოველივე დიდაქტიკური, აი ის, ლეიტმოტივი, რომელიც პოეტ — ფარნაოზ რაინაულის შედევრებში ბრწყინავს და ანათებს, აი, ეს აზრი გასდევს ლამაზ არშიად მის შემოქმედებას.

შესანიშნავად აქვს აღნიშნული ჟურნალ „ოლეს“ საიუბილეო ნომერში, რომელიც მის დაბადების 75 წლისთავს მიეძღვნა, — კატრენების წინასიტყვაობაში „მე კი ფრიად საჭირო, წამალივით სათქმელი სტროფულებში ჩავჭუჭკე და „სტროფულები“ დავარქვი, ხოლო, შემდეგ — „კატრენები“.

მხოლოდ ეს ერთი ლექსი, რომელსაც პოეტმა „სიცოცხლე“ დაარქვა, რომ დაეწერა, მაინც იქნებოდა ჩვენი ცხოვრების გზამკვლევი, ჩვენი, დიდი სასიქადულო პოეტების ილიას და აკაკის მსგავსად, რომლებმაც შედევრები — საპროგრამო ლექსებიც დაგვიტოვეს.

ცხოვრება —
ვინ თქვა:
ვრცელიც,
კრიალაც?
ხან, თუ მშვიდია,
ხან, — ეგზომ
მკაცრი...
სიცოცხლეს
ქვეყნად
წლებით კი არა,
სიკეთით უნდა
ითვლიდეს
კაცი...

მზისებრ ბრწყინავს და იბრწყინებს პოეტ ფარნაოზ რაინაულის შედევრები, რომლებიც, ბევრი სიახლით გამოირჩევა — ეს ძალიან ფართო თემაა და შეუძლებელი იყო ამ კონკრეტულ ღონისძიებაზე ვრცლად გველაპარაკა მასზე.

ჩვენო ძვირფასო მეგობრებო, მხატვრული სიტყვის შემოქმედნო, დიდმა ილიამ „ვეფხისტყაოსნის“ კითხვისას ოთხი სიტყვით გამოხატა გაოცება: „ვკითხულობ და მიკვირს, მიკვირს და ვკითხულობ“...

სხვისი არ ვიცი, მაგრამ... მეც ასეთი გაოცება მინდა გამოვხატო ფარნაოზ რაინაულის კატრენების კითხვისას... საქართველოში საყოველთაო მოწონებას იმსახურებს მისი პოეზია, მაგრამ, როგორც თვითონ, ავტორი აღნიშნავს, ალბათ მისი შემოქმედების გვირგვინი, მართლაც კატრენებია, რომელსაც განსაკუთრებული განხილვა, განსჯა და ანალიზი სჭირდება.

ერთი რამ, — ცხადი და ნათელია, რომ: კატრენები ბატონ ფარნაოზ რაინაულის ჭეშმარიტი პოეტური გამარჯვებაა.

***ნუნუ ძამუკაშვილი***

ფარნა რაინა, თეიმურაზ ჩალაბაშვილი, ნუნუ ძამუკაშვილი



## ზაირა არსენიშვილი

## ემზარ კვიტაიშვილი

# ლამპარივით წმინდა სიცოცხლე

წლევანდელმა ზაფხულმა ბევრი გულისტკივილი მარგუნა. ზედიზედ გარდაიცვალა ქართული პროზის ორი უთვალსაჩინოესი ოსტატი, დიდი მწერლები, ორივე ჩემი ახლო მეგობარი — ზაირა არსენიშვილი და რეზო ჭეიშვილი. მათთან მთელი ცხოვრება მაკავშირებდა და უამრავი მაქვს გასახსენებელი. ამჯერად ზაირაზე მინდა ვთქვა ზოგი რამ.

უნივერსიტეტი არ მქონდა დამთავრებული, რომ „ცისკარში“ ზაირა არსენიშვილის პირველი მოთხრობა გამოქვეყნდა, მრავალი მითქმა-მოთქმის გამომწვევი „შაჰაბაზა“, ოდესღაც მეფესავით გაფხორილ, გათამამებულ მამლაყინწაზე, ვინც მის საბრძანებელში დეზებიანს არავის აჭაჭანებდა, შემდეგ კი წლებმა დააჩაჩანაკა, საქათმეში სასაცილო გახდა, ძველი პეწი დაკარგა, გაიქუცა. ავტორს იუმორის სრულიად განსხვავებული ნიჭი ეტყობოდა, მთავარ სათქმელსაც მარჯვედ ნიღბავდა. მახსოვს, ჩვენი ქართულის ლექტორი, ღრმად განათლებული ლიტერატორი, ბატონი გრიგოლ კიკნაძე როგორი აღტაცებული გვიკითხავდა მისგან გახაზულ ეპიზოდებს და სიცილისგან მორეულ ცრემლებს იწმენდდა. მიგვახვედრა კიდეც, ვინ იყო „შაჰაბაზში“ ჩათქმული ალეგორიის მთავარი სამიზნე.

ზაირაზე გაგონილი მქონდა, რომ იგი საუკეთესო მუსიკოსი იყო და ოპერის თეატრში მსახურობდა, ვიოლინოზე უკრავდა. ბევრი ახლობელი გვყავდა საერთო და მალე იგი ჩემმა მეზობელმა, კინორეჟისორმა ლეილა გორდელაძემ გამაცნო. ისეთი სუფთა, კრიალა თვალების პატრონი და ისე ალალად, მიამიტად მომღიმარი, არ შეიძლებოდა უაღრესად კარგი ადამიანი არ ყოფილიყო. საუბარიც ხალისიანი და მიმზიდველი იცოდა, ყველაფერზე სიკეთე ეტყობოდა. გარდა მუსიკისა (მისი სამაგალითო მცოდნე იყო) უზომოდ უყვარდა მხატვრობა და პოეზია. ანა კალანდაძე კერპად ჰყავდა.

მოგვიანებით, როცა „ცისკარში“ დავიწყე მუშაობა და პროზის განყოფილება მებარა, ვთხოვე რამე მოეტანა. მალე გადმომცა უშეცდომოდ დაბეჭდილი ორი მოთხრობა. იმავე დღეს წავიკითხე. სათაურები აღარ მახსოვს, მაგრამ ოსტატობა, გამორჩეული მწერლური თვალი არცერთს არ აკლდა. პირველში წლებისგან გამომშრალი, გასავათებული პაპის სიკვდილი იყო აღწერილი. მოხუცი თონის თავზე ღაფავდა ამომავალ სულს და ისეთი შეგრძნება გეუფლებოდა, მომაკვდავის კირივით თეთრ, აგონიისგან აცახცახებულ ნეკნებს ხედავდი. მაშინდელ შთაბეჭდილებას დღემდე ცოცხლად ინახავს ჩემი გონება. მეორე მოთხრობა უფრო ყოფითობისკენ იხრებოდა. რუსეთში მოხვედრილი კახელი კაცი, რუს ქალს ითხოვს, უჯიათი, კუშტი ბუნებისას, სოფელში ჩამოიყვანს და ის ქალი იქაურობას აამტუტებს, არევს. ორივე მოთხრობა უნაკლოდ იყო დაწერილი, თითის დაკარება არ სჭირდებოდა. დავაკარი პასპორტი და, წესისამებრ, ჟურნალის პასუხისმგებელ მდივანს, ცნობილ მწერალსა და კრიტიკოსს ოტია პაჭკორიას გადავეცი. იმან მეორე დღეს შემომიტანა ორივე მოთხრობა და მითხრა, დასაბეჭდად არ გამოდგებაო. მიზეზი ვკითხე. მაგისგან მწერალი არ დადგება, შინნაზარდია და როგორიც არის, ასეთივე დარჩებაო. გამიკვირდა, ოტია განათლებული და ნიჭიერი კაცი იყო (ღმერთმა აცხონოს), მაგრამ ვიცოდი, შეფასება აშკარად ეშლებოდა, თან ტონზე შევატყვე, მასთან კამათს აზრი არ ჰქონდა.

უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილმა, ზაირას მოვუბოდიშე, რაღაც მოვბოდე და მოთხრობები დავუბრუნე. მაგაზე ნუ შემიწუხდებიო, აქეთ დამამშვიდა, მისებურად გაიცინა და იმის მერე რედაქციების კარებს დიდხანს არ მისდგომია — კინოსცენარების წერას მიჰყო ხელი, ჯერ თავისი სიყრმის მეგობართან, ლანა ღოღობერიძესთან ერთად, მერე სხვებმაც მოინდომეს მისი თანაავტორობა; საკმაო წარმატებებსაც მიაღწია.

ხანი რომ გამოხდა, ერთმა მეგობარმა მისი პირველი რომანი („რეკვიემი სოპრანოსა და შვიდი საკრავისათვის“) მიქო. წავიკითხე და აღტაცებული დავრჩი. თავისთვის ნაცნობი გარემო შეერჩეია თემად — ოპერის ორკესტრის წევრთა ცხოვრება, მათი დახლართული ბედი. არ მაგონდება ჩვენში მეორე მწერალი, ვისაც ასეთი ძალით წარმოესახოს ოცდაჩვიდმეტი წლის რეპრესიები და მისი თანამდევი დრამატული მოვლენები, ასე დამაჯერებლად დაეხატოს ჯალათთა შემზარავი სახეები და ის შურისგება, მათმა უდანაშაულო შთამომავლებმა რომ იწვნიეს, როგრც ხშირად ხდება ხოლმე.

პრემიების კომიტეტის თავმჯდომარეს, პოეტ მურმან ლებანიძეს შევხვდი, ვუთხარი, რომ ზაირა არსენიშვილმა მეტად მნიშვნელოვანი წიგნი გამოაქვეყნა, სახელმწიფო პრემიას ულაპარაკოდ იმსახურებს-მეთქი და რომანი გადავეცი. ერთი კვირის მერე შემხვდა, მითხრა, ნიჭიერი ქალი ჩანს, მაგრამ წიგნი სანახევროდ შესამცირებელია, შიგ ბევრი ადგილი ზედმეტიაო. შევატყვე, ვიღაცის ნათქვამს მელაპარაკებოდა, არ შევპასუხებივარ. მალე ჟიურის წევრს, ვაჟკაც და სამართლიან პიროვნებას გიგა ლორთქიფანიძეს ავუხსენი საქმის ვითარება. იმან ჟიურის სხდომისას მტკიცე პოზიცია დაიკავა, მომხრეებიც გამოძებნა და რომანს სახელმწიფო პრემია მიანიჭეს.

სამაგიეროდ, მეორე რომანი ზაირასი (ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ წარდგენილი) „ვაჰ, სოფელო“, რომელშიც არნახული შემართებითაა ნაჩვენები შავბნელი ძალების მიერ განხორციელებული ხოცვა-ჟლეტა კახეთში, თელავში, ბოროტების სიმბოლოდ დარჩენილ „გიგოს გორაზე“, მხატვრულობის მხრივაც ნამდვილი შედევრია ქართული პროზისა, იმავე კომიტეტის ჟიურიმ განხილვის ღირსადაც არ სცნო,

თუმცა, ბევრის აზრით, უსათუოდ იმსახურებდა რუსთაველის პრემიას.

მეტად თავისებური, მრავალპლანიანია ზაირა არსენიშვილის მესამე რომანი „კოლაჟი მთვარის შუქზე“, რომელშიც შემაძრწუნებელი პირდაპირობით არის გადმოცემული გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების საქართველოს გაუსაძლისი, კოშმარული ყოფა და ამასთანავე ოსტატურად არის გამოყენებული ახლო წარსულის ისტორიული ფონი; მარტო თელავში მეფე ერეკლეს გარდაცვალება და მისი გრანდიოზული დატირებაც საკმარისია, რომ ეს წიგნი მწერლის მორიგ გამარჯვებად ჩათვალო.

იგი გამოსვლისთანავე მჩუქნიდა ყოველ ახალ წიგნს და წარწერებიც მუდამ ისეთი უგულთბილესი იყო, როგორც მხოლოდ მის კალამს შეეფერებოდა. ბოლო წიგნი, ძირითადად, დოკუმენტურ მასალაზე აგებული („ქარი, ამწევი ფარდის“), ორი წლის წინ გამოსცა და წარწერასაც თარიღად 2013 წლის 28 მაისი უზის. სიყვარულს ერთვის „ჩვენი ქვეყნის აღორძინებისა და გამთლიანების მოლოდინი“. აქვე მისურვებს ჩემი შვილის, ბაქარის, ბედნიერებას. იმ ბედნიერების დღეს კი დაესწრო, მაგრამ მეტი აღარ დასცალდა. თელავში ჩასულს, რამდენჯერმე დაველაპარაკე, თვითონ მირეკავდა. სულ ბოლოს მითხრა, მოზრდილ მოთხრობაზე ვმუშაობ, სექტემბრამდე დავამთავრებ და პირველს შენ წაგაკითხებო. ეს უკანასკნელი დალაპარაკება აღმოჩნდა, მეტად აღარ გამიგონია მისი ხმა. მალე შემატყობინეს, რომ ზაირას საღამოთი გულის ძლიერი ტკივილები დაეწყო და ის ღამე ვეღარ გაითენა. იმ ხანებში წნევა იმდენად დაცემული მქონდა, დასაფლავებაზე წასვლა ვერ შევძელი. თბილისიდან თელავში მხოლოდ ლანა ღოღობერიძე და ზურაბ კიკნაძე ჩავიდნენ.

ხსენებული, ბოლო წიგნის სათაური („ქარი, ამწევი ფარდის“) გალაკტიონის ლექსიდანაა, მაგრამ ლიტერატურისმცოდნეებიდან ვიცით — როცა მწერალი სხვა მწერლის ფრაზას თავისი ქმნილების სათაურად გაიტანს, ამას უკვე დამატებითი, სიმბოლური მნიშვნელობა ენიჭება. მართლაც, წიგნის პირველივე ამბავი ასეა დასათაურებული და ზაირა არსენიშვილი ორმოცი-ორმოცდაათიანი წლების მრავალ საშინელებას ხდის ფარდას, არ ივიწყებს „37 წლის სავალალო ამბებს“, რაშიც თავისი ქმარდახვრეტილი დედის შემთხვევით ნაპოვნი ჩანაწერებიც ეხმარება.

ჩვენ თავიდანვე ფსიქიატრიული საავადმყოფოს ეზოში მოვხვდებით, მეჩნიკოვის ქუჩაზე, სადაც მთხრობელი (აქ იგი რამდენადმე ტრანსფორმირებულია და სახელიც შეცვლილი აქვს, რუსიკო ჰქვია) თავისი უცნაური თელაველი მეზობლის, ლევან მამაგულაშვილის სანახავად მიდის, ვინც დაპატიმრების შემდეგ მეგობარმა ფსიქიატრმა ამ საავადმყოფოში გადმოაყვანინა. რა გინდა, ამ კაცს ხელიდან რომ არ გამოსდიოდეს; ათას რამეს იგონებს და ყველაფერს წარმატებულად — ხახვის საჭრელი მანქანიდან დაწყებული (დიასახლისებს თვალები რომ არ აეწვათ და აუცრემლდეთ), ქვევრების სარეცხი მექანიკური მოწყობილობით დამთავრებული. აგრონომობა, ხეხილის ახალი ჯიშების გამოყვანა და დურგლობა, სახლის აშენება ხომ იცოდა და იცოდა. რეპრესიების სუსხი მისმა ოჯახმაც იწვნია, მაგრამ ხელისუფლების საწინააღმდეგოს არაფერს აკეთებდა. ოღონდ, დროდადრო, ეჭვები შეიპყრობდა, რომ ვიღაცები მოწამვლას უპირებდნენ. ერთ დღესაც მოახტა თავის მოტოციკლეტს და ციმბირისკენ გაუტია. იქ თავისი დაღუპული ძმის საფლავი უნდა მოენახულებინა და თანაც რქაწითელის ნერგები წაიღო, რათა სათბურში ვაზი მოეშენებინა, ძმიშვილებისა და ციმბირელებისათვის ღვინის გემო ესწავლებინა. ეწადა, იმ საწყლებს არყის ნაცვლად „საუცხოო ნუნუა ესვათ“. ციმბირიდან დაბრუნებული ლევანი დაღვრემილია, რადგან ეტყობა, თავის დონ კიხოტური ჩანაფიქრი ვერ განახორციელა, მაგრამ შინაურები მის გაღიზიანებას ერიდებიან, მოგზაურობის თაობაზე არაფერს ეკითხებიან.

ლევანის უბედურება სულ სხვა რამეს გამოუწვევია. თელავში ჩამოსულ კონსერვატორიის პროფესორს, ავტორის მეგობარს, წესრიგისა და სისუფთავის ავადმყოფურად მოყვარულ, რუსულად მოლაპარაკე ვანდა შიუკაშვილს გადაუწყვეტია ოჯახში დაგროვილი ძველმანებისა და გამოუსადეგარი ნივთების დაწვა. ცეცხლის გასაჩაღებლად ლევან მამაგულაშვილს უხმეს. იმანაც იმოდენა კოცონი დაანთო, ალი ცას სწვდებოდა. მთხრობელს თავისი ძველი ავეჯი, მონჯღრეული ანტიკვარული სკამები და ჟურნალ-გაზეთებით სავსე სკივრი მიუყოლებია, მარქსიზმის კლასიკოსების იძულებით გამოწერილი ტომები და ობლიგაციებიც დაუბუგავს, მაგრამ ამ ორომტრიალის დროს, ერთ-ერთ უჯრაში, ძვირფასი რამ, დედამისის ხელნაწერი უპოვია, გარდაცვალებამდე (1957) ერთი წლით ადრინდელი. მონათხრობში დედის რვეულის მნიშვნელობა ძალზე დიდია და შთაბეჭდილება იქმნება, რომ წერის მადლი, სილაღე და იუმორი, დაკვირვებული თვალი ზაირას თავისი ექიმი დედისგან გადმოსცემია.

ცეცხლის გამჩაღებელ ლევან მამაგულაშვილს კი ტანსა და ტვინში თანდათან გაუჯდება ექსტაზი, სურვილი მოუვლის, ძმის დამსმენის, ცნობილი სექსოტის, ნახევარი თელავის ჩამშვებისა და დამღუპველის სახლი დაწვას, იქაც გააჩენს ხანძარს, მაგრამ მილიციელები გაქაჩავენ და ორთაჭალის ციხეში ჩააყუდებენ (თელავისა იმხანად, 1957 წელს, დანგრეული ყოფილა). სწორედ ორთაჭალიდან გადააყვანინებს ავტორი თავის მეგობარს, მთელ თბილისში სიკეთით ცნობილ ფსიქიატრს გაიოზ შარაშიძეს თელაველ მეზობელს ფსიქიატრიული საავადმყოფოს გადაჭედილ სტაციონარში.

აი, ეს უცნაური ტიპი, რომელსაც, სხვა ავადმყოფებისგან განსხვავებით, მხნეობა არ დაუკარგავს, მტკვრისპირად დგას და იმავე ეზოში მყოფ სხვა თელაველებზე, ყოფილი ჩინოსანი ჩეკისტის ცოლსა და მის გაუბედურებულ შვილზე ომახიანად გაჰყვირის: „მეე, გენაცვა, მამაგულაშვილი ვაარ. ეგრე კი არ არის. ეგენი კიდევ ჩვენებურები არიან. ეხლაა შეცვლილი თორეემ. ეგ ქალი მზეს ეუბნებოდა — შენ ჩადი, მე ამოვალო. მოდიოდა და მოანათებდა. მაგისი ქმრის შიშით კიდევ ჭიანჭველაც სოროში ძვრებოდა, მხარზე მამალ ბუზს არ ისვამდნენ. მააშ!“

ამ მცირე მონოლოგში გაჟღერებული კახური ინტონაცია (ხმოვნების გაბმულად, წამღერებით გამოთქმა: „მეე“, „ვაარ“, „თორეემ“, „მააშ!“ და მისთანანი) მთელ წიგნს გასდევს, სხვადასხვა ვარიაციებით, და თხრობას მეტად თავისებურ იერს აძლევს.

მთავარი აქ სულ სხვა რამეა. სწორედ ლევან მამაგულაშვილზეა გამობმული უმდიდრესი გალერეა ადამიანებისა, მის პიროვნებაზეა აკინძული საშინელი დრამის მონაწილენი, ოცდაათიან და შემდგომ წლებში რომ გადაიტანა ჩვენმა ქვეყანამ. კვიპაროსის, მწუხარების ხის ძირში მყოფი, ახალგაზრდობისას ულამაზესი ქალი ქსენო, ვისაც ადრე უბადლო ვაჟკაცი ქმარი, ფანცქალა, დაუპატიმრა და ციმბირში გადაუსახლა აღვირახსნილმა ჩეკისტმა (ამ დროისათვის, ბერიას შემდეგ, იგი სხვა ბობოლა ჯალათებთან ერთად დახვრეტილია) ზის თავგადახოტრილ უფროს ვაჟთან, ნამდვილ ცოდვიშვილთან, ანგელოზური

ზაირა არსენიშვილი

სულისა და პოეტური ბუნების ადამიანთან, სულ მალე ტრაგიკულად დაღუპულ ჯონდოსთან და მთელი არსებით იტანჯება. ამ ოჯახის ისტორიასთან დაკავშირებული უძლიერესი პასაჟები ზაირა არსენიშვილს დიდოსტატურად აქვს გამოყენებული პირველ რომანში და ამდენად მის თანამიმდევრობას აღარ გიყვებით. მკითხველი თავად დააკვირდეს, რა გამანადგურებელი ძალით ამხელს მწერალი თავაწყვეტილ ბოროტებას, ყველას თავის ადგილს მიუჩენს.

ზაირა არსენიშვილის მწერლური ოსტატობისა და გარდასახვის იშვიათი უნარის საჩვენებლად ერთი პატარა ადგილის მოხმობას დავჯერდები. ცნობილია, რომ ფსიქიატრიული საავადმყოფოს პაციენტები მომსვლელებს, ვინც არ უნდა იყოს, პაპიროსს სთხოვენ. აქ დაუვიწყარი შტრიხებითაა დახატული ხნიერი, ზედმიწევნით ზრდილი და მორიდებული, ჭაღარა რაჭველი კაცი, ვისაც მიმკითხავი არავინ ჰყავს და ლევან მამაგულაშვილთან მისულ თელაველ მეზობელს ჩაქჩაქით, გვერდულად უახლოვდება. გულსაკლავია თვით მუდარის ბეჩავი კილო: „თუ მოგეპოვებათ, იქნებ ცოტუნიკა თუთუნს მიბოძებდით“. „ოჰ, ვასო. ოჰ, ვასო. ვითომ არ იცი, ცარიელი არ მოვიდოდა“, შეუძახებდა ძია ლევანი. მე მაშინვე გავუწვდიდი ყაზბეგის კოლოფს. მადლობის ნიშნად კი ეს ვასო, რომელსაც თურმე არავინ აკითხავდა, ზოლიანი პიჟამას ჯიბიდან ამოიღებდა წამლის შუშას და გამომიწვდიდა: „კაპლუკას ხომ არ ინებებდით... კარგად დაგაძინებდათ...“ აი, სწორედ ეს კაპლუკა მიჩუყებდა გულს. „გმადლობთ, თქვენ უფრო გამოგადგებათ...“ „უბრალო არ გეგონოთ, ქვე შენი ჭირიმე, სარაჯიშვილის კაპლუკაა...“

თავისთავად იგულისხმება, რომ ეს შეთავაზება ყოველ ჯერზე მეორდება, რითაც თვალნათლივ არის წარმოჩენილი „მწუხარების სახლის“ დამთრგუნველი გარემო, იქ მოთავსებულთა უკიდეგანო საცოდაობა.

„დედაჩემის ჩანაწერები“ საგულდაგულო განხილვის ღირსია, მაგრამ მიზეზთა გამო, მხოლოდ რამდენიმე ადგილს გამოვაცალკევებ. თბილისიდან მარტის ბობოქარ დღეებში დაბრუნებული ქალბატონი შეწუხებული ჩანს მსოფლიოს უდიდესი ტირანის გამოქომაგებაზე, ახალგაზრდობის თავგანწირვაზე, იმ ურჩხულის სახელის დასაცავად რომ გამოდიოდნენ ქუჩებსა და მოედნებზე: „...ვის მისტირიან, ვის? ვის უნთებენ სანთლებს, ვის უკმევენ გუნდრუკს და ვის უგალობენ აკაფისტებს, ვის? უზარმაზარ შხამიან ობობას? მთელი სიცოცხლე რკინის ბადეს რომ ქსოვდა მთელი ქვეყნის მოსაბოჭად და გასაბმელად, ნუთუ სისხლის წვიმა ციურ მანანად ესახებოდათ? ცოდონი არიან, ძალიან ცოდონი“.

ერთი რამეც უნდა ითქვას — იმ გამოსვლების მონაწილეთა უმრავლესობას სტალინის პრესტიჟი ნაკლებად აწუხებდათ, პროტესტი დამხუთველი რეჟიმის წინააღმდეგ იყო მიმართული, რაც ხელისუფლებამაც კარგად იცოდა.

„ჩანაწერების“ ძალზე დრამატული ფურცლებია, როცა ექიმი ლიდა, დიდი რისკის ფასად, ცუდ ამინდში, „კუკურუზნიკით“ მიფრინავს, რათა ომალოში ქსენოს ქმარს, ღრეობის დროს, შემთხვევითი ტყვიით დაჭრილ ჩეკისტს, ავადსახსენებელ ალიოშას სასწრაფოდ გაუკეთოს ოპერაცია. ქირურგი მერე ნანობს, რომ სიკვდილს გადაარჩინა არაკაცი, ვინაც ხელისუფლებასთან დაპირისპირებულ, ტყეში გასულ ვაჟკაცებს, „მტკივნეულად საყვარელ თუშებს“, მოსყიდულთა მეშვეობით, ღალატით, სასაკლაოს მოუწყობს — ადამ ბობღიაშვილს, არჩილ კიტოშვილს, ილიკო ცისკარიშვილს და სხვებს. დახოცვის შემდეგ თავებს დააჭრიან ყველას. ერთ ადგილას ევრიპიდეს ტრაგედიის გმირს, ანტიგონეს სახე შემოგანათებთ. მწუხარებისგან გაკერპებული, ერთ მუშტად შეკრული და ვერაგულად მოკლული ძმის გადარჩენილ, გაშავებულ ძვლებს ქვაბში რეცხავს, ათეთრებს, რომ მერე სამარეს მიაბაროს.

საქართველოს ულამაზესი კუთხის, თუშეთის შემაძრწუნებელი ტრაგედია, რომელზედაც ბევრია ნათქვამი, ექიმის რვეულში ენით აუწერელი სიცხადითაა გადმოცემული. ამაზე შესაფერისი გამოხატულების ფილმი უნდა შეიქმნას, რაც ერთხელ კიდევ დაანახვებდა მსოფლიოს საბჭოთა რეჟიმის წრეგადასულ სისასტიკეს, ცინიზმს, არაადამიანურობას.

ამ თავზე („ქარი, ამწევი ფარდის“) მოკლე საუბრისას მე გვერდი ავუარე რამდენიმე უძლიერეს ეპიზოდს (ჯონდოს საავადმყოფოდან ზოოპარკში გაპარვა და მხეცებთან ყოფნა, მათთან მიალერსება, მერე მისი დაკარგვა და უმცროსი ძმის, მელსის, გავარდნა საძებნელად, ლევან მამაგულაშვილთან ერთად. ლევანის მიერ მტკვარში საფეთქელგატეხილი გვამის პოვნა). ეს და სხვა ეპიზოდები აშკარად გვიჩვენებს, ოსტატობის როგორ სრულყოფას აღწევს ზაირა არსენიშვილი, როცა იგი თავის სტიქიაშია. აღსანიშნავია ისიც, რომ კარიერაზე გადაგიჟებულმა ჩეკისტმა ალიოშამ (მისი იერიც კი ცუდად განგაწყობდათ, ზიზღს აღძრავდა: „შავყვითელი სახე და გულმიუსავალი გარეგნობა ჰქონდა“) უმცროს ვაჟს, ოპერის ნიჭიერ მომღერალს, მელსი დაარქვა; ეს იყო აბრევიატურა ყელში ამოსული, თავის მომაბეზრებელი ოთხეულისა: მარქსი, ენგელსი, ლენინი, სტალინი და ამით ამაყობდა კიდევაც — ეს სახელი ჩემი შექმნილიაო. აქედანაც ცხადია, როგორ გამოკრეტინდნენ იმ შავბნელი ეპოქის ნაყოფნი.

რეალური ამბები უდევს საფუძვლად ზაირა არსენიშვილის საუკეთესო მოთხრობას „გრძელ გზაზე წასვლისას“, მამიდისა და ბიძის ხსოვნისთვის რომ მიუძღვნია. აქ უზარმაზარი სითბოთი და სიყვარულით არის აღწერილი, სამი წლით უფროსი, სამოცდაათს გადაცილებული და, ნამდვილი ანგელოზი, როგორ უვლის, თავზე დაჰკანკალებს საავადმყოფოში მწოლ დაუძლურებულ, ასევე შეხნიერებულ, ერთ დროს გამრჯე, ვაჟკაცობით და წიგნიერებითაც გამორჩეულ სათაყვანებელ ძმას, ნიკოს. თხრობისას ჩვენს თვალწინ იშლება სამაგალითოდ პატიოსანი ოჯახის ისტორია. მათი მამა, გიო, დღედაღამეს შრომა-გარჯაში რომ ატარებდა, ოცდაათიან წლებში ბოლშევიკებმა „გააკულაკეს და გააშავსიელეს“, ყველაფერი წაართვეს და თან შეურაცხყვეს, კრებიდან გააგდეს. გამწარებულმა კაცმა თავისი პირმშო, სულ წიგნებში თავ-

ჩარგული თორმეტი წლის ვაჟი სამწყემსურში გაუშვა, რაც ნიკოს გულში ხინჯად ჩარჩა. დედამისი ხშირად საყვედურობდა ქმარს გულქვაობას, ურჩევდა, შვილისადმი მეტი ლმობიერება გამოეჩინა და, საერთოდაც, ცდილობდა, სახლში სიმშვიდე ყოფილიყო.

დადარდიანებული ოჯახის უფროსი ნაადრევად გარდაიცვლება, მაგრამ ქალ-ვაჟი სიბეჯითით, მუყაითობით გაიკვალავს გზას ცხოვრებაში; ნიკო ცხენების თავგადაკლული მოტრფიალე, სახელოვანი მევენახე გამოვა, ანეტასაც ყველაფერი ემარჯვება.

მოთხრობაში ისეთი ზნეობრივად ფაქიზი ადამიანები არიან გამოყვანილი, ვერც იჯერებ, რომ ასეთი პიროვნებები ცხოვრობდნენ საქართველოში, მაგრამ ზაირა არსენიშვილის კალამი ერთ ნამცეც სიყალბესაც არ იკარებს და უნდა ვერწმუნოთ — თავისი ხელით გამოძერწილ გმირებს იგი პირადად იცნობდა.

აქაც და სხვა შემთხვევებშიაც მწერლის ენა იმდენად მდიდარი, მრავალფეროვანია, აღტაცებას იწვევს. ფრიად სასურველი იქნებოდა, თელავის უნივერსიტეტის ყოფილ რექტორს, შესანიშნავ სწავლულს, პროფესორ როინ ჭიკაძეს საგანგებოდ შეესწავლა ზაირა არსენიშვილის გულიანი, უშრეტ ხალხურ მეტყველებასთან ფესვეულად დაკავშირებული ლექსიკა, როგორც ეს სხვა ქართველ მწერლებთან (ნიკო ლორთქიფანიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, გიორგი ლეონიძე, ოთარ ჩხეიძე, ანა კალანდაძე, რევაზ ინანიშვილი, გურამ რჩეულიშვილი და სხვები) გააკეთა.

ზემოთ ნახსენები მოთხრობის ფინალი მეტისმეტად ნაღვლიანი, ტრაგიკულია. მწერალი საამისოდ წინასწარ, გზადაგზა გვამზადებს. უმოქმედობისთვის განწირული ნიკო რწმუნდება — მისმა არსებობამ აზრი დაკარგა და ერთ საღამოს, როცა დას პალატიდან შინ გაისტუმრებს, საწოლის ძგიდეზე გაბმული გრძელი პირსახოცის ჩამონაჭერით თავს ჩამოიხრჩობს. ეს ისე უბრალოდ და დამაჯერებლად, შინაგანი, დაოკებული მღელვარებით არის აღწერილი, დიდ შემოქმედებს რომ შეშვენით.

სახელდახელო წერილში ამ წიგნის ბევრი მნიშვნელოვანი ნაწარმოები დამრჩა ყურადღებამიუქცეველი, აგრეთვე, დიდი სიმართლითა და სევდით აღბეჭდილი მოგონებები, ძვირფასი ადამიანების, ახლობლების (რუსუდან გაგუა, ნანა ხატისკაცი, ლეილა გორდელაძე, არნოლდ ჩიქობავა, ფელიქს ღლონტი, რეზო ინანიშვილი, დიდიმ მირცხულავა, რეზი თვარაძე, გაიოზ შარაშიძე) ხსოვნას რომ მიუძღვნა ავტორმა. ამ ხარვეზს, იმედია, მომავალში შევავსებ.

თავიდანვე აღვნიშნე, რომ ზაირა არსენიშვილთან ახლოს ვიყავი, ვნახულობდი, თვითონ უჭირდა სიარული. მიყვარდა მის მყუდრო ბინაში მისვლა და მწერლობის სიახლეებზე ლაპარაკი. ისიც მიხაროდა, რომ მასთან ერთად ცხოვრობდა გულითადი მეგობარი, კეთილი და დახვეწილი გემოვნების ფილოლოგი მარინა მოდებაძე, ვინაც ყოველნაირად ესადაგებოდა მის გუნებ-განწყობილებას, ხასიათს და დღესაც მწვავედ განიცდის თელავში ზაირას მოულოდნელ გარდაცვალებას. მხიბლავდა ოთახების მორთულობაც. ერთ კედელზე ნაირ-ნაირი, სვხადასხვა შეფერილობისა და სიგრძის მძივები ეკიდა. სურათებითაც შეეძლო თავი მოეწონებინა — ზურაბ ნიჟარაძის საუკეთესო ნამუშევრები ამშვენებდა სასადილო ოთახს. წიგნის თაროების მხარეს თენგიზ მირზაშვილის მოზრდილი ნახატი ეკიდა, სამი ქალის ფიგურა, თვით თენგიზის შემოქმედებაშიც ცალკე რომ დგას (იგი უფრო მცირე ფორმატს იყო მიჩვეული).

კახურად გულგაშლილმა, იშვიათი მასპინძლობა იცოდა. დამირეკავდა ხოლმე, ამ საღამოს გემრიელი ვახშამი მექნება, უსათუოდ მეწვიე, ნუგბარ-ნუგბარ რამეებს დაგახვედრებო. კახური ჩურჩხელა თუ დაგრჩა-მეთქი, შევეკითხებოდი. „მააშ!“ — მისებურად, თელავურ კილოზე, გაგრძელებით მიპასუხებდა, — შენთვის მაქვს განჯინაში შენახული და მოგართმევო. როცა რაიმე არასასიამოვნოს თქმა მიხდებოდა ტელეფონში, მცირე ხნით გაყუჩდებოდა და მერე, შეშფოთებული წამოიძახებდა: „რას მელაპარაკები?!“ რაოდენ დასანანია, რომ ამიერიდან მის ალერსიან ხმას ვეღარ გავიგონებ. ბოლო წლებში ხშირად ეძალებოდა უამური ფიქრი — დღეს ვართ, ხვალ აღარ ვიქნებით, ნუ გადავდებთ, ერთმანეთი მოვინახულოთო. ვაი, რომ აუხდა ეს ავი, ბინდისფერი წინათგრძნობა.

ყოველ გაზაფხულზე, 15 მარტს, საყვარელი მასწავლებლის, გრიგოლ კიკნაძის დაბადების დღეს სუფრა ჰქონდა გაშლილი და ახლობლები მოდიოდნენ — ლანა ღოღობერიძე, დები — ლეილა და ნანა სულხანიშვილები, მანანა გიგინეიშვილი, მეია ყუბანეიშვილი, შუქია აფრიდონიძე, მარინა ბეჟიტაძე, ელიკო კოშორიძე და სხვები. მოსულებს, ვისაც რა შეეძლო, სასმელ-საჭმელი, მოჰქონდათ და ზაირას სუფრას ამატებდნენ. იყო გარდაცვლილ მეგობართა მონატრება, გახსენება, ცოცხლების დღეგრძელება და დალოცვა. მეტისმეტად სამწუხაროა, რომ ყოველივე ეს წარსულში დარჩა, აღარასოდეს განმეორდება.

ამ ერთი თვის წინ იაკობ ნიკოლაძის ქუჩისკენ მივემართებოდი, დიდებული ადამიანი, ჩვენი სახელოვანი მწერლის, რევაზ ჯაფარიძის ქვრივი, ქალბატონი ქეთევან დოლიძე უნდა მომენახულებინა (იგი ელგუჯა ბერძენიშვილის სიყრმის მეგობარია). გზად ის ქუჩა მქონდა გასავლელი, სადაც ზაირა არსენიშვილი ცხოვრობდა. დანაღვლიანებულმა ავიხედე მისი აივნისკენ და ტელევიზორის დიდ, თეფშისებურ ანტენას მოვკარი თვალი. გული შემეკუმშა. საღამოობით, მუშაობისგან დაღლილი ზაირა ტელევიზორს ჩართავდა ხოლმე და სერიალებს უყურებდა, თავს ირთობდა. ისე კი, ყველაზე მეტად, „კულტურის“ არხი მოსწონდა, რუსებს ლიტერატურაზე კარგი გადაცემები აქვთო. შევწუხდი, რომ ის, მთაწმინდის მხარეს მიშვერილი ანტენის დისკო უქმად ეყენა აივანზე, ჩემი მეგობარი მას აღარ იყენებდა, ბოლო სართულის ბინა ცარიელ ნიჟარას დაემსგავსა.

არ მინდოდა რაიმე დამეკლო სამზეოდან წასულის ხსოვნისათვის, მაგრამ უკმარობის განცდა მაინც ვერ მოვიშორე. ზედმეტიც არის ხაზგასმა (მისი პიროვნებიდან გამომდინარე, ეს ისედაც იგულისხმება), რომ ზაირა არსენიშვილის შემოქმედებაში ვერსად წააწყდებით ხელოვნურობის ნატამალს, პოზის მაგვარს; მწერლის მძლავრ ნიჭს მუდამ ადამიანის სიყვარული, განსაცდელში მყოფისათვის თანალმობა ამოძრავებს და წარმართავს, რის გარეშეც ყოველგვარი გარჯა დღემოკლეა, აზრი ეკარგება.

რამდენჯერმე ჩემთვის ვიფიქრე და მერე ზაირას უახლოეს მეგობარს ლანა ღოღობერიძეს გავუზიარე ჩემი აზრი — აუცილებელია გარდაცვლილის ლიტერატურული მემკვიდრეობა, ტომეულებად, რაც შეიძლება მალე გამოიცეს-მეთქი. ქალბატონმა ლანამ მაშინვე მიპასუხა — მე ამ გადაუდებელი საქმისათვის უკვე ვზრუნავო. ძალზე მესიამოვნა ამის მოსმენა. ყველანი უნდა ვეცადოთ, რათა ჭეშმარიტად დიდი მწერალი (მისი სრულად შეფასება მომავალში მოხდება), ფართო თვალსაწიერის ხელოვანი, უმწიკვლო ზნეობის ადამიანი, მთელი სიმაღლითა და ღირსებით წარსდგეს მკითხველის წინაშე, კუთვნილი ადგილი დაიკავოს მშობლიურ ლიტერატურაში. ზაირა არსენიშვილმა თავისი ლამპარივით წმინდა სიცოცხლე მამულის, ქართული სიტყვის მსახურებას შესწირა.

***25 ოქტომბერი, 2015***

## მერი ზაალიშვილი



# საუკუნის პირველი მანდილოსანი თელავიდან

ზაირა არსენიშვილი

ზაირა არსენიშვილი თავისი სათაყვანო ქალაქივით იყო — სამეფო დიდებულებით და მეფური უბრალოებით.

„შაჰაბაზიდან“ დაწყებული მისი ყოველი ახალი რომანი თუ ნებისმიერი ნაკალმევი ხომ ყოველთვის გვახსენებდა იმ საყოველთაოდ ცნობილი არისტოტელეს შედარებას „მდინარესთან, რომელიც ოქროს ტალღებს აჩხრიალებს“, მაგრამ ვერანაირი შედარება ვერ იტევს ადამიანებთან ურთიერთობის, ზაირასთან ერთად ყოფნის იმ სიხარულს და იმ ნამდვილ რიტუალს, არსებობის ლეგენდასავით რომ გვჩუქნიდა ყველას – ვისთან ერთადაც წუთისოფელი ჩამოათავა და ვისაც ხანდახან მაინც გვქონდა მასთან ურთიერთობის ბედნიერება...

თელავმა, ამ ისტორიის ლაბირინთებში სათავედაკარგულმა სამეფო ქალაქმა იცის თავისი ღირსეული შვილების დაფასება და ახალი ათასწლეულის დადგომისთანავე ქალბატონ ზაირას „საუკუნის პირველი მანდილოსნის“ წოდება მიანიჭა თელავის საპატიო მოქალაქეობასთან ერთად.

11 ივნისს კი თელავმა გულში ჩაიხუტა ქვეყნისა და ხალხის მოამაგე, დიდი მოამაგე და თითოეულ ჩვენგანს მოგვანიჭა მის საფლავთან მისვლის და მუხლის მოდრეკვის პატივი... მერე, მერე კი როცა ღირსეულ მამულიშვილთა ახალი სავანე გაუღებს კარს ქვეყნისათვის დამაშვრალ ადამიანებს, მერე იქ, იმ მარადიულ საუფლოში გადაინაცვლებს „საუკუნის პირველი მანდილოსანი თელავიდან!..“

ამ მოკრძალებული გამოსათხოვარით ჟურნალ „ოლეს“ რედაქციაში მისულს მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ თანამშრომელთა, ცნობილი მწერლების, პოეტების აღშფოთება „შემომეფეთა“.

— ასე ჩუმად, ასე მოულოდნელად, საყოველთაო დატირებისა და გულითადი გლოვის საყოველთაოდ გამოხატვის გარეშე როგორ შეიძლებოდა ზაირა არსენიშვილის დაკრძალვა!

— რატომ არ დადგა მთელი თელავი ფეხზე!..

— რატომ არ შევაჩერეთ ერთი წუთით მზე და რატომ არ გაიზიარა ცამ და დედამიწამ ჩვენი მწუხარება?!

— თელავის პანთეონის გახსნამდე რატომ არ დავკრძალეთ ქალბატონი ზაირა არსენიშვილი „ბატონის ციხის“ ეზოში რაფიელ ერისთავის, ქეთევან იაშვილის გვერდით?..

ბობოქრობენ ჟურნალ „ოლეს“ რედაქციაში...

ეს განცდა ვიცი, მარტო აქ, ამ რედაქციაში არ ბობოქრობს. თაობები მოითხოვენ ამას, თაობიდან თაობაში გადადის ვალმოხდილ ადამიანთა დაფასების ეს განცდა! და იქნებ ისევ შენ, შენმა მეფურმა დიდებულებამ და, სამეფო უბრალოებამ აღირსოს შენს ქალაქს დიდი ხნის ნაოცნებარი პანთეონი.

თუმცა, მე მაინც იქით მიჭირავს თვალი, მახათას მთაზე, ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მიმდებარედ დაგეგმილი შენნაირი უკვდავი ადამიანების სავანისაკენ! იქიდან უნდა დაჰგარგარებდე შენს სათაყვანო საქართველოს და შენს თელავს, ჩვენო ზაირა!

## ფარნა რაინა

მრავალრიცხოვანი მკითხველის თხოვნით ვაგრძელებთ ფარნა რაინას „კატრენების“ ბეჭდვას.

## კ ა ტ რ ე ნ ე ბ ი

### ვატერლოო...

ციურ კანონებს
ვინაც არღვევს,
დასჯის უფალი, —
ძალმომრეობით,
მტრობით,
ვნებით —
გართულ ალიას...*
სიყვარული და
სიკეთეა —
თავისუფალი...
ვინც —
ბონაპარტობს,
ვატერლოოც
გარდუვალია.....

25. V. 2012

*ალია, ამ შემთხვევაში, ზოგადი, განყენებული სახელია, როგორც, მაგ. „ალია და მუსია“, ანუ — უცხო.

### მარადიული — მხოლოდ, ის არი...

დრომ —
ფარაონსაც
სტყორცნა ისარი,
სიკვდილ — სიცოცხლის
ვცალეთ ბადია...
„მარადიული —
მხოლოდ,
ის არი,
რომ —
ყველაფერი
ცვალებადია...“*

*გოტფრიდ ვილჰელმ ლაიბნიცი (1646-1716) გერმანელი ფილოსოფოს-იდეალისტი, ლოგიკოსი, მათემატიკოსი, ფიზიკოსი, ისტორიკოსი, იურისტი, თეოლოგი, დიპლომატი

### დაე, — იცოდნენ...

კვლავ, —
ბურუსშია —
ეს პლანეტა...
სისხლ-ცრემლით
ირწყვის...
ვის არ მისწვდება:
ღვთის თვალი და
სიბრძნის —
მზის ხმალი?!..
დაე, —
იცოდნენ:
ცის და
მიწის
შემძვრელთაც, —
მიწყივ,
რომ...
განუსჯელი
არ დარჩება —
ერთი მისხალიც...

15. XI. 2015

### დაე...

სანამ გასტყორცნი
აზრის ისარს,
დაფიქრდი
მშვილდო,
ალალი სიტყვა
პატივია —
ნაღვაწის,
ალხის...
დაე, თქვან:
წყრომით,
ამ ღმერთს
რატომ არ აქვსო
ჯილდო,
რატომ მისცესო, —

ვიდრე —
რისხვით ადუღდეს
ხალხი...

14. VI. 2010

## ნადილი...

მე მინდა —
ამ გულს
ცეცხლი შევუნთო,
სიკეთით —
თუკი,
ვინმემ გამასწრო,
სხვას — მივუტევებ
და... სხვას —
შევუნდობ,
მაგრამ...
საკუთარ თავს კი —
არასდროს...

## რამდენჯერ?!..

სატანა, ასჯერ:
იცვლის
იერსო,
თუმც, —
მისანივით,
კითხულობს
არზებს...
ჭეშმარიტება —
ვითარ,
იესო,
რამდენჯერ უნდა
გააკრან —
ჯვარზე?!..

20 VII. 2015

## XXI, — ანუ — ძალმომრეობის პარადი...

ჩვენს ადგილს ვეძებთ:
ამ ეპოქის,
მდუღარე —
დროში,
თავისუფლება —
თუმცა,
მზედ და...
დედად ვიწამეთ...
დემოკრატიის:
შირმით,
ნიღბით,
ჰიმნით და
დროშით,
ძალმომრეობის —
პარადია, —
დედამიწაზე...

15. VII. 2015

## მხოლოდ — მაშინ...

ბევრს რომ გვგონია —
ვზრდით,
ვძერწავთო:
ვინ — ასულთ,
ვინ — ძეთ, —
სიბრძნის,
სიკეთის,
სიყვარულის —
ფუძედ და
ქარგად,
ჩვენ, —
განძის ფასი
მაშინ ვიცით,
როდესაც —
ვიძენთ,
ღმერთკაცის ფასი —
მხოლოდ,
მაშინ,
როდესაც —
ვკარგავთ...

30. X. 2015

## რატომ?!..

მზისებრ, —
მოსხივობს,
მოელვარებს
სიტყვა: პოეტი...
ვის სურს —
რომ ჰგავდეს:
განა —
ბულბულს?!..
არსით და
სვით — ყვავს...
ღირსებით მეტი, —
პლანეტაზე,
ყველა მონეტის,
ძონძად აქციეს:
ეს, —
უფლის და...
ღვთიური
სიტყვა...
ძალმოსილებით,
ჰგავს, როდესაც —
სიკეთის ატომს,
ისმება კითხვა:
რაი ხდება?!..
რაისთვის?!..
რატომ?!..

5. XII. 2015

## რატომ?!..

დღეს —
ხალხს და
ქვეყანას
რატომ გვჭირს

იარა? —
ცოტასღა თუ, ახსოვს:
დავითიც,
თამარიც...
და...
ვისთვის:
დიდგორის,
შამქორის
კი არა,
სარგებლისათვის
ბრძოლაა, —
მთავარი...

8. VIII. 2008

## თურმე, — ყოფილა...

ტალღაა — ფიქრის,
განა — ოხოტის?..
ტალღაა — განცდის,
განა — კარიბის...
რაა სიცოცხლე? —
ვითარ — სიზმარი,
რაა — ცხოვრება? —
ვითარ — ქარი, რბის...
თუ, —
გინახიათ:
ყოფნა — ღარიბის?..
ფულით მდიდარის,
სულით ყარიბის?..
თუ, —
გინახიათ:
ყოფნა — მდიდარის? —
სულით მდიდარის,
ფულით ღარიბის?..

**P.S.**
ვინ —
ჭამით კვდება,
ხოლო,
ვის შია?..
ვინ — ავდარია,
ხოლო, —
ვინ — დარი?..
თურმე, —
ყოფილა:
თუმცა,
იშვიათ —
ფულით მდიდარი,
სულით მდიდარიც...

3. XII. 2015

## უწინ, — შედეგით უნდა გათვალო...

აქციე:
სიტყვაც,
საქმეც —
მოყვრებად,
არა —
ქარისგან,
გაშლილ ფათალოდ...
სიტყვას, თუ,
საქმეს:
რას,
რა მოჰყვება,
უწინ —
შედეგით
უნდა გათვალო...

29. XI. 2015

## ღმერთივით, — სადა...

უბრალო, — ქოხი
გექნება სადმე,
თუ, —
ბროლის კოშკი, —
სამეფო,
სრადა,
არ წაიწყმიდო
სული და
სივრცე,
არ გაიმეტო
სახელი —
სვრადა...
დაბლა, თუ —
მაღლა,
იქნები, სადაც,
იყავი —
მუდამ,
ღმერთივით სადა...

30. XI. 2015

## ნეტავ...

ნეტავ, —
აროდეს,
აღარ გვკლავდეს
დარდის იარა,
წყენას გულებში —
მისხალს,
იოტს
არ გავივლებდით...
ქვეყნის მეთაურს
ვაცილებდეთ —
ფურთხით კი არა,
ლოცვა-კურთხევით,
სინანულით
და... ყვავილებით...

30. XII. 2012

## სიკვდილ–სიცოცხლის ფილოსოფია...

დღემდე, —
ვცდილობთ და...
უკვდავების —
ვერა ვხსნით
ბოქლომს, —
კვლავ,
მაინც,
ისევ,
სიცოცხლეზე
სიკვდილი უფლობს...
ეს დედამიწა
რომ გადადნეს —
მთლიანად,
ოქროდ,
სიცოცხლე —
მეტი ძვირფასია, —
წამიც კი,
უფრო...

15. V. 2012

## ცხოვრების ომში...

ვართ —
უსასრულო,
ცხოვრების
ომში, —
ისედაც,
დაშლილ ქვეყანას,
რომ შლის...
ვინ — პარიზშია,
ვინ — სინგაპურში,
ვინ — მადრიდში და...
ვინ, კიდევ —
რომში...
ველარ დაანთეს
სანთლები:
ჯვარში,
სიონში,
გრემში,
გელათში,
წრომში...

15. V. 2015

## რა, ცოტა დროა — სიყვარულისთვის?!..

სიყვარულისთვის:
დრო —
მე,
არ მყოფნის...
და...
როცა ვფიქრობ, —
სიტყვაც... გულიც თრთის...
რა, დიდი დროა —
მზის ქვეშ,
არყოფნის?!..
ხოლო,
რა, ცოტა —
სიყვარულისთვის?!..

24. IV. 2015

## სიყვარულის — უკვდავებას გაუმარჯოს...

წამიც არ მწამს —
სიძულვილის:
მტრობა,
ვნება, —
გზა — უსულო...
გზა — უგულო...
გზა — უმარჯნო...
გაუმარჯოს:
სიყვარულის —
ღვთიურ
ნებას,
სიყვარულის —
უკვდავებას
გაუმარჯოს!!!..

27. XI. 2015

## სჯობს...

სჯობს: საქმე —
ძეგლად,
სიყვარულად,
გვირგვინად დადგა,
რომ...
ხატი შენი —
არასოდეს,
თვითონ არ
ფლითო...
აკეთებ, რასაც —
ხამს
სიფრთხილე, —
ყოველთვის,
რადგან —
შენ,
შენით,
ცოცხლად,
არ დაგმარხოს:
იმ საქმემ, —
თვითონ...

29. XI. 2015

## მე რა მიკვირს?!..

ვარდფურცლობენ, —
ვითომ ჰგვანან —
ვარდის კოკორს,
და... ყველა კი —
სატანის ზნეს
რად ვერ იკლავს?!..
მე რა მიკვირს? —
ჯალათები:

რით და...
როგორ,
აბრმავებენ —
ევროპას და
ამერიკას?!..

11. X. 2015

## სუყველა, — უწინ, თავის თავს ხატავს...

ავსული —
მზეშიც
დაეძებს ლაქებს
და...
აქებს ღამეს, —
სინათლის
ხატად...
ვინ —
ვისაც კიცხავს,
ვინ —
ვისაც აქებს,
ის,
ამით,
უწინ,
თავის თავს
ხატავს...

4. XI. 2015

## ხომ, ხდება?!..

ვერ გუობს
ზოგი —
მთვარისა და
მზის სხივებს ზიარს,
ვითარცა —
ცეცხლი,
ნაღვერდალი,
სულს და
გულს ეგზნო...
ხომ, ხდება —
ზოგჯერ,
აფასებენ —
ნიჭს,
სიბრძნეს კი არ?! —
ებრძვიან —
ეგზომ,
გამძაფრებით
და... რისხვით, —
ეგზომ...

10. XI. 2015

## გენიალური თამაში...

სიცოცხლე გახლავთ:
მიწყივ,
ყველა გენის მარულა,
ეს პლანეტა კი —
ვისთვის მზეობს
და... ვისთვის —
კუპრობს?..
საზღვარი არ აქვს
ზოგის თამაშს, —
გენიალურად,
ხან, —
ვინაც მოგკლავს,
ის გიტირებს, —
ყველაზე
უფრო...

19. VI. 2013

## ბედნიერება და ტკივილი...

ბედნიერია ყველა —
ვინაც
თავის თავს
უფლობს,
უგანძესია —
მიწადედა, —
პლანეტის განძთა...
დიდი ტკივილი
სხვა რა არის? —
იმაზე უფრო,
ვიდრე, —
მოყვრისგან გაყიდული
სამშობლოს განცდა...

31. V. 2013

## ფული...

იქნება, — მიხვდე,
სიალალევ,
შენი კვნესა მე,
იცვალნენ დრონი, —
მედროვენიც,
კერპია — ფლური...*...
საუკუნეა, —
ახლა, ძამა,
უკვე, მესამე:
სატანის,
ეშმას
იარაღად
ქცეულა ფული...

26. VII. 2015

*ფლური — ოქროს, ან, ვერცხლის ფული.

## თავი რომ მომჭრან, — ასჯერაც...

ვინ —
ცეცხლში,
ზღვაში ინთქმება, —
არ დასაჯერი,
არ სჯერა...
არ ვიტყვი,
რაც არ ითქმება,
თავი რომ
მომჭრან, —
ასჯერაც...

4. XI. 2015

## ხან...

გითხრათ? —
ხანდახან,
ვინა ვარ?
რა ვარ?..
ხან —
ოკეანე,
და... ხან კი —
რუ ვარ...
ხან, —
ვხედავ, მაგრამ...
ბეცი და
ბრმა ვარ...
ხან, —
ყველაფერი —
მესმის და...
ყრუ ვარ...

30. V. 2013

## რასაც ვფიქრობ...

რასაც ვფიქრობ,
მინდა —
სულ ვთქვა,
დრო, —
უშენოდ,
მეთარსება...
შენთან მინდა —
ყოფნაც,
სუნთქვაც,
ვიქცეთ ორი —
ერთ არსებად...

30. V. 2013

## ნეტავ, — სადა ხარ, მთავარო...

ვინ ამბობს:
„იალბუზი ვარ“,
ვინ —
„ჯომოლუნგმას
მთა ვარო“...
მთავარი
მთა კი —
ჯერ, არ ჩანს...
ნეტავ, —
სადა ხარ,
მთავარო?..

6. I. 2012

## შეგონება...

ნუთუ, —
სულ არ გაუცრიხარ:
განცდის,
ფიქრის წვიმას?!..
ნუთუ, —
ღელვით, —
ტკბილი ფიქრით,
არ ასულხარ
ცამდე?!..
გაუფრთხილდი...
გაუფრთხილდი...
გაუფრთხილდი იმას, —
თუ, დაკარგე,
ვერ იპოვი,
ვერ იპოვი, —
გწამდეს...

24. VII. 2015

## ათასჯერ...

სამმარცვლიანი
სიტყვა* —
დღემდი,
ვერ-რით დავძარ და...
რაც ფიქრი მქონდა,
ანდა — გზები,
ყველა გადასჭერ...
გზაც
შენკენ მოდის, —
ერთადერთი,
როგორც — ტაძართან...
და...
დღეს კი —
სიტყვას,
იმ, — ერთ სიტყვას,
გეტყვი —
ათასჯერ...

1. VI. 2014

*მი-ყვარ-ხარ....

## ჩვენი ერის — დიდ მოძღვარსა და მამას — ილიას...

სისადავე,
სიქველე,
შენ გვასწავლე,
უფალო,
და... მზეც —
სისადავისა,
სიდიადით
დია დის, —
რამდენადაც —
დიადი,
იმდენადვე —
უბრალო,
რამდენადაც —
უბრალო
იმდენადვე —
დიადი...

## საჭეთმპყრობელი...

*„ხელისუფალნი, რომელნიც*
*სახელმწიფო მოღვაწის*
*დონეზე არ აზროვნებენ,*
*ხალხი ჯოჯოხეთში ჰყავთ.“*
*პლუტარქე*

ხალხის რწმენაც და
გულიც თუ ანდეს, —
რომ არ ხვდეთ —
გვამის გამო დილემა,
ხამს, —
საჭეთმპყრობელს —
უწინ... უადრეს:
სიბრძნე, —
ცოდნა და
გამოცდილება...

27. I. 2011

## ვცდილობ...

რა დიადია —
სიბრძნისა და
გონების რთველი, —
გაგებით,
ჭკუით,
აზრის ცეცხლით
რკინაც ხომ
მოდნა?..
ვრისხდები, როცა:
თითქოს, —
დუღსო —
პლანეტა მთელი...
და... მაინც,
ვცდილობ —
არ შეირხას
ფოთოლიც, —
ოდნავ...

12. X. 2012

## ყველაზე ნაზია?.. ყველაზე თეთრია?..

ქებით და
დიდებით,
ხოტბით და
გუნდრუკით,
რამდენმა —
სიცრუის
ქვას
თავი ახალა, —
ყველაზე ნაზია:
ვირისთვის —
მუტრუკი,
ყვავისთვის —
ყველაზე თეთრია:
ბახალა...

10. VI. 2006

## მაოცებს!!! — ანუ, — სიტყვა, ისევ — ავტონომიაზე...

ხომ... ვიცით...
ყოფნა —
მარტო, — ომია...
მაოცებს!!! —
ცეცხლის
ვინ მისდევს
ქართვე?!..
საქართველოში —
ავტონომია,
რა მიზნით
უნდა
უნდოდეს
ქართველს?!..

7. XI. 2014

## ვინ გაქცევია ჭეშმარიტებას?..

ბევრმა —
სიცრუე
დასვა ამინდად,
ჯვარცმა სიმართლის:
წესად... რიტმებად...
მაგრამ...
მითხარით —
დასაბამიდან,
ვინ გაქცევია
ჭეშმარიტებას?..

1. X. 2012

## საჭირო არის...

ავი ძაღლივით
იწყებს ზოგი —
ყეფას და
ღრენას,
ლექსიკონს, —
ზოგის,
შენ, ვერ იტყვი, —
კაცურად,
ალბათ,
ზოგი რომ —
ათრევს,
ასარსალებს
წუნწუხში
ენას,
საჭირო არის
გაიკეთო ყურებში —
ბამბა...

18. IX. 2014

## თუკი, — ღმერთი გწამს...

უსამართლობა —
მართალს
რატომ დასცხე, —
ლახტებად?
ნუთუ, —
არ გინდა,
რომ გალიო —
მზის ქვეშ,
მზით ხანი?!..
თუკი, —
ღმერთი გწამს,
დალოცვილო,
მაშინ,
რა ხდება?!..
მაშინ,
უღმერთოდ,
რად იქცევი?! —
ერთი მითხარი...

3. X. 2014

## დასაწყისიდან, დასასრულამდე...

შენზე გალობენ
ლექსის ფრთოსნებიც,
უშენოდ, —
წამიც,
თარსად ბრუნავდეს,
ხარ —
ევერესტი:
ჩემი ოცნების, —
დასაწყისიდან,
დასასრულამდე...

26. XI. 2015

## სიბრძნე...

რამდენს ჰგონია,
რომ ზეიმობს —
მზის ქვეშ,
ნიკეთი, —
რომ...
მას აპკურა
ზენაარმა —
მზეგონის ცვარი...
განიზომება სიბრძნე:
მხოლოდ,
მხოლოდ —
სიკეთით...
და... არასოდეს —
არარაით,
არაფრით, —
სხვა რით...

12. XI. 2015

## კაცთა მოდგმიდან, — მსგავსი, რამე, სადმე, თუ, არი?!..

საწუთროს ბეწვი
ვის ჩაუწყდა,
ვინ კი —
იხიდა...
კაცთა მოდგმიდან, —
მსგავსი,
რამე,
სადმე,
თუ, არი?!..
მეგობრებს —
ბრძენის
გაპარება სურდათ, —
ციხიდან,
მაგრამ... სოკრატემ* —
შეიცხადა, —
უთხრათ
უარი...

4. XI. 2015

*ათენის სასამართლომ ახალი ღმერთების ქადაგებისა და ახალგაზრდობის გარყვნის უსამართლო ბრალდებით, სიკვდილი მიუსაჯა ძველი საბერძნეთის სახელგანთქმულ ბრძენსა და ფილოსოფოსს, პლატონის მასწავლებელს სოკრატეს (470-399). ერთგულმა მეგობრებმა სცადეს მისი ციხიდან გაპარება, მაგრამ სინდისის მეფემ მტკიცე უარი განუცხადათ, იმ მოტივით, რომ — „მე სასამართლოს გადაწყვეტილებას ვერ დავარღვევო“...

## ჩემი მამული...

ავი —
უბერავს ქარი,
ვებღაუჭებით
ხავსებს...
ჩემი მამული
არი —
ტროას ცხენებით
სავსე...

29. VII. 2012

## მტერი, ზოგჯერ, კოცნით მოდის...

თუმცა, —
უფლის —
გზა ნატრულა,
არ — სატანის:
ომის...
მოდის...
ზოგჯერ, —
მტერი —
განა მტრულად?..
ალერსით და...
კოცნით
მოდის...

24. VII. 2015

## სხვას როგორ ვკადროთ საყვედური?!..

ჩვენ —
სხვას ვთხოვთ
სინდისს,
ზოგჯერ,
როცა —
ჩვენ, თვითონ,
ვწირეთ...
და... თვალებს ვხუჭავთ,
რასაც უნდა
ვხედავდეთ ირგვლივ...
სხვას
როგორ ვკადროთ —
საყვედური,
შენიშვნა, — მცირეც?
საკუთარ თავს, თუ —
არ მოვთხოვეთ:
წესიც და
რიგიც?!..

1. I. 2013

## მთავარზეც მთავარი...

მწამს:
ფარნავაზ,
ვახტანგი,
დავითი და
თამარი, —
მათი სულის
ნათებამ —
დღემდე,
მზისებრ იარა...
მთავარია...
მთავარი...
და... მთვარზეც,
მთავარი:
სულით იყო —
ცოცხალი,
მარტო —
ხორცით კი არა...

2. V. 2014

## უმტრესი, — უფრო...

დრო გახდა,
ვითარ —
აფთარი,
ჯიქი...
შინ კი
ლხინი გვაქვს, —
ბრმათა და
ყრუთა...
ჩვენ, —
მტერს დავეძებთ:
ცხრა მთა-ზღვის
იქით,
უმტრესი, —
უფრო,
აქვე ზის, —
ყურთან...

15. IX. 2014

## სატანის ძღვენი...

დიადი ძალა —
ცათა სიბრძნის,
ქვათაც კი იგრძნეს,
გონზემყოფელმა —
ათი მცნება,
სულ,
უნდა კოცნოს...
არ უნდა
ვისაც —
უფლისა და
ცხოვრების სიბრძნე,
ვითარცა —
კრეზე,*

ძღვნად მიიღებს:
ყულფსა და
კოცონს...

14. VII. 2015

*კრეზე — ძველი წელთაღრიცხვის VII-VI საუკუნეებში, მაშინდელ ძველ მსოფლიოში, ყველაზე უმდიდრეს ადამიანად ითვლებოდა. მასთან სტუმრადმოსულმა, სახელგანთქმულმა ათენელმა ბრძენმა სოლონმა ურჩია ლიდიის მეფეს, რომ მეტი ყურადღება დაეთმო ქვეყნისა და ხალხისათვის, ვიდრე — პირადი, ზღავრდაუდებელი სიმდიდრისა და ფუფუნებისათვის, მაგრამ... ღვთისგანდგომილმა ღვთივმოვლენილი ბრძენის რჩევა ყურადაც არ იღო და... კვლავ, ახალი ნადავლის მოსახვეჭად, მეზობელ ქვეყანას სპარსეთს შეესია... იმ დროის მეფე — კიროსმა შეიპყრო მამონას ტრფიალი და სახრჩობელასთან და მის ქვეშ დანთებულ კოცონთან როცა მიიყვანეს, ელდანაცემს მაშინღა აღმოხდა სინანულით ანთებული სიტყვები: „ეხ, სოლონ, სოლონ, სოლონ!..“ როცა განწირული კრეზეს სიტყვები აუხსნეს კიროსს, სიცოცხლე უწყალობა. ასე იქცა ქვეშევრდომად მეფის გვირგვინოსანი. ნუთუ, — ეს — ძველი ცხოვრების გაკვეთილი, კაცობრიობისათვის გონების მოხმობის მაგალითად არ უნდა დარჩეს?!..

## ბაყაყი...

ხარი გავხდეო, —
ბაყაყი რომ —
ცდილობს,
ენთება...
თუმც, —
ეწამება,
მაგრამ იგი
როდია აბო?!..
დე, მაპატიონ —
პოეზიის ცეცხლის
ღმერთებმა, —
მე —
პოეზიის
ხელმოცარულ
ბაყაყზე ვამბობ...

15. XI. 2015

## ბეწვის ხიდთან...

შენი სახელი, —
შენმა საქმემ,
არ უნდა —
ბოლოს,
უნდა ამზეო
შენი სული, —
თუ, რამ —
გწამს სულის...
როდესაც მიხვალ
ბეწვის ხიდთან, —
ცხოვრების
ბოლოს,
არ უნდა შეგრცხვეს:
შენი —
ყოფნის,
შენი —
წარსულის...

16. XI. 2015

## ნუთუ?!..

*პარიზის ტკივილის ექო**

ნუთუ, —
ცის ქვეშ,
ნუთუ, —
მზის ქვეშ,
ვეუბნებით ნათელს უარს?!..
კაცთა მოდგმის —
სიყვარული
სიხარულიც
ყველა ცრუა?!..
რომ... ამდენი —
სისხლის რუა...
რომ... ამდენი —
ცრემლის რუა...
რომ... პლანეტა —
ნუთუ, —
ისევ,
ნუთუ, —
ისევ:
ბრმა და ყრუა?!..

14. XI. 2015

## მუდამ მართალი...

თავს გავიდა
ალია...
თავს გავიდა
ბალიაც...
თუმცა, —
იცის ქვეყანამ:
ვინ —
რით არის
ნათალი...
ქვეყანაში, რაც ხდება,
სულ, —
კეისრის ბრალია...
მაგრამ...
ტახტზე ვინცა ზის,
მუდამ, —
არის
მართალი...

17. V. 2000

## არ გჯერათ?.. ჰკითხეთ...

არს —
საქაჯეთიც,
ქაჯთა მსხვერპლიც,
ქაჯთა გუნდელიც...
არ გჯერათ?..
ჰკითხეთ:
ელას,
ლელას,
მაროს და
მართას...

განა —
სიკეთის,
სიყვარულის
ნავსაყუდელი? —
ზოგის ოჯახი:
საკანი და...
ციხეა, —
მართლა...

2. XI. 2011

## დასაბამიდან...

დასაბამიდან,
რაც მოდიან —
ადამის ძენი,
ვის უნახია:
ცხოვრება, რომ —
მიწყივ,
დარობდეს?!..
თავის შეცდომას
აღიარებს:
წრფელიც და
ბრძენიც,
მაგრამ...
სულელი
და... რეგვენი —
არ — რით...
აროდეს...

15. VI. 2015

## რაიც, — ბევრს ვფიქრობ...

რატომ ავუშვა:
ბუქი,
მტვერი, —
სიტყვათა ქარით?..
ადამის მოდგმის
„ა“ — ნის,
„ჰ“ — ოეს —
იოტსაც
თუ, ვფლობ?..
ავიცდინოო —
დროის ზევსის
ნასროლი ქვა, რით?..
რაიც, —
ბევრს ვფიქრობ,
ვწონი აზრს და...
ცოტას ვწერ, —
უფრო...

8. VI. 2015

## სიბრძნის აქსიომა...

ცხოვრება... თურმე...
გამოცდაა:
ფიქრის და
აზრის...
და... ზოგჯერ,
განგებ,
გზას — ვარდფენილს:
ხლართავს და
ხვლანჯავს...
ფულს რომ ვშოულობთ
გარჯით, —
ცოდნით,
ოფლით, თუ —
ბაზრით,
ჭკუა უნდაო:
ასჯერ მეტი,
ნაშოვნის
ხარჯვას...

9. VI. 2015

## ვიცი...

ჭკუით კოჭლი
ხარაბუზა
რიხით ბაძავს
ზევსს,
ერთი, ციცქნა
ჭიატი კი —
ვითომ, —
მზისებრ ელავს...
ზოგი ვიცი:
დასასჯელად,
წყალში აგდებს
თევზს,
ხოლო, —
ზოგი: საქათმეში —
ამწყვდევს
მსუნაგ მელას...

2. IV. 2010

## ხან...

ხან, —
ზღვარს სცილდება —
რისხვა და
ღელვა,
ხან, —
ვეღარ ვიდებთ
ენაზე —
ბოქლომს...
ხან, —
საჭიროა —
ჭექაც და
ელვაც,
ხან, —
დუმილია —
ნამდვილი
ოქრო...

28. X. 2015

## უბედურება — სხვა რა არის იმაზე უფრო?..

ღირსებას,
ნებას,
ქვეყნის მიზანს
შენ, —
თვითონ,
თუ ფლობ,
არაფერია —
უფრო მძლე და...
უფრო მარტივი...
უბედურება —
სხვა
რა არის
იმაზე უფრო? —
რომ...
პრეზიდენტი იყო —
მხოლოდ,
ერთი პარტიის...

3. I. 2011

## კაცობა, თუა, — ლმერთი, რჯული, აი, ეგ არი...

*ჟან პოლ სარტრის...**

მწამს:
სიკეთეც და
სიდიადეც —
გვირგვინად
ცათა,
სულშიც და
გულშიც,
როცა —
უფლის
მზე იწყებს
ლივლივს...
სჯობია
შენი —
ნათლით სავსე:
ცხრა დევის
ცხრა თავს...
ემაგ სიქველის
ჟრუანტელი
სხეულში მივლის...

16. X. 2015

*1964 წელს დიდმა ფრანგმა მწერალმა ჟან პოლ სარტრმა უარი თქვა ნობელის პრემიის მიღებაზე, იმ მოტივით, რომ — სანამ ამ პრემიის ლაურეატი არ გახდებოდა მიხეილ შოლოხოვი, არც ის მიიღებდა უმაღლეს და საპატიო ჯილდოს. ალბათ, მისი აზრიც გაითვალისწინა შვედეთის აკადემიამ და 1965 წელს „წყნარი დონის“ ავტორი დაჯილდოებულ იქნა ნობელის პრემიით.

## სირცხვილი...

ულმობელია, როცა —
მტერი, —
მრისხანე,
მკაცრი,
რამდენს —
სიცოცხლეს,
სახელსა და
ღირსებას ართმევს...
სირცხვილი —
უფრო,
ყველა მტერზე,
მტერია —
კაცის,
სირცხვილს —
სიკვდილი ურჩევნია
ჭეშმარიტ ქართველს...

25. X. 2015

## ლაქლაქ — ტლიკინი...

სიტყვებს —
ოქროთი რომ წერდე, —
თუნდაც,
ოქროს ავლებდე —
ირგვლივ, —
ზარნიშად,
ვერ აქცევ —
სიბრძნედ, —
რახარუხს,
ბუნდვას,
ლაქლაქ —
ტლიკინი —
სიბრძნეს
არ ნიშნავს...

2. XI. 2015

## ხომ იყო?..

ხან, — ხომ:
დრო იყო —
მზესაც
ბინდებად,
რომ თვლიდნენ,
ჩვენ კი —
ყურში ვუშვებდით?!..
ცად
ასტყორცნიდნენ —
ხოჭოს
დიდებას,
ვიმეორებდით —
თუთიყუშები...

29. X. 2015

## მზაკვრული — ძღვენი...

სატანის თაფლი —
ბევრს ესხმის
რეტად...
ბევრია —
მსხვერპლიც, —
მზაკვრული ძღვენის...
გზა-მიზანს —
ძღვენის,
შორს უნდა
ჭვრეტა...
თავს —
თაფლის ყულფში
არ გაყოფს —
ბრძენი...

1. XI. 2015

## სულ, — იმას ვნატრობ!!!..

რა ჯოჯოხეთი
მოგვახვიეს, —
დაგვიდგა რა დრო?!..
თავისუფლების —
მოჩვენებავ,
რა ჯვარზე გვაცვი?!..
დიდი ხანია, —
სულ, ვფიქრობ და...
სულ, იმას ვნატრობ:
სიცილ-კისკისი —
კვლავ,
მაჩვენა, —
მართალი კაცის!!!..

## ღირსება...

ღირსების —
სხივთა სიდიადით
მზისებრ ვივსები,
ღირსებით უნდა
ვსუნთქავდეთ და
ვახელდეთ —
წამწამს...
თუ, — ამაღლდება —
ვინმე,
უფრო, —
მხოლოდ —
ღირსებით,
უფრორე — მაღლა, —
ღირსებაზე,
არარა —
არ მწამს...

25. X. 2015

## გამოუდა — გორის...

რაც არ უქნიათ
ველურ წარმართებს,
დღეს,
მეტი ხდება —
გარედან, —
გორში...
ვერ დაიბრუნეს
თუ, —
რაც წაართვეს,
ფასი იქნება
გორელთა —
გროშის...

26. X. 2015

## სიტყვის — თავისუფლება...

მხოლოდ, —
სიკეთე თუ, აქვს
წიაღად,
ყველას აქვს —
აზრით,
დავის უფლება...
ზოგი, —
ჯალათის სიტყვის
ნიაღვარს —
გვთავაზობს, —
სიტყვის
თავისუფლებად...

21. X. 2015

## უაზრობაა — სოკრატეს სიბრძნეც...

უსირცხვილობა —
ვის სულშიაც
ეცემა დამბლად,
სირცხვილი,
როცა —
მასზე მეტად,
ღორებმა იგრძნეს,
ადამიანი,
როცა დავა —
ცხოველზე დაბლა,
უაზრობაა —
მასთან,
უკვე,
სოკრატეს სიბრძნეც...

25. X. 2015

## არ თუ, იციან სიბრძნე — რუმის, საადის, ჯამის?!..

სხვათა სიბრიყვეს
ჩავიყოლებთ —
ხან,
ძილშიც, —
ბრაზად,
არ თუ, იციან
სიბრძნე:
რუმის,
საადის,
ჯამის?!..
„მე —
არ მომწონსო“, —
არის —
მშრალი,
ზოგადი ფრაზა,
პლიუს-მინუსის
აქვს ყველაფერს —
რიცხვიც და...
ჯამიც...

11. IX. 2015

## რა დამაძინებს?!..

გულზე მეხვევა
ცეცხლის —
არშია,
ვიცი, —
ამ განცდის
ზღვა დამაძირებს,
მამული, როცა —
დარდის
ალშია,
მე —
სასთუმალზე
რა დამაძინებს?!..

6. IX. 2015

## ათასჯერ მეტად...

ჩემს სამშობლოზე
ფიქრში ვწურავ —
დღესა და
ღამეს, —
ასე ლამაზი არ იყოსო,
ხან,
ვიტყვი... ნეტავ...
თუ, —
ვნერვიულობ:
უწინარეს,
როდესმე,
რამეს,
მის ბედზე —
ვწუხვარ,
ვნერვიულობ, —
ათასჯერ მეტად...

9. IX. 2015

## ფიქრობდე, — მუდამ...

რომ არ დაგეცეს
თავზე:
რისხვის —
ლოდი, თუ,
გუნდა,
საქმემან შენმან —
ღვაწლი შენი,
აროდეს
ბოლოს...
სიტყვას და საქმეს
ღვთის სასწორზე
წონიდე, —
უნდა...
ფიქრობდე —
მუდამ:
რა ექნება —
შედეგი, —
ბოლოს?..

21. XI. 2015

## ვისაც — მორალი, — ზნეობა და ღირსება არ აქვს...

მორალი არ აქვს —
აღვირახსნილ,
სატანის
არაკს,
რა უნდა უთხრა —
სირეგვნის და
სიშმაგის
ზვარაკს?..
ვისაც —
მორალი,
ზნეობა და
ღირსება
არ აქვს,
სჯობს გაატანო:
რიონს,
ენგურს,
არაგვს და
არაქსს...

18. XI. 2015

## სოკრატე და ინდაური...

ბრძენთა ბრძენმა
სოკრატემ თქვა:
ვიციო —
არაფერი,
როცა —
ანათებდა
უსხივესი გონების
მზით ციონს...
ზოგი, —
ინდაური კი,
ბუქით
ცაში ანაფრენი,
მე —
ყველაფერი...
ყველაფერი...
ყველაფერი —
ვიციო...

27. VIII. 2015

## აზრის — რა — ზღვა და... რა — სივრცე?!..

შირაზი,
ჯამი,
გაფეზი —
კარი როდია
კაფესი?!..
აზრის —
რა — ზღვა და...
რა — სივრცე?!..
სიბრძნის —
რა — მუხა, —
რა — ფესვი?!..

23. VIII. 2015

## დემოკრატია...

ხელთ არ შემოგვრჩეს:
მზედ,
ერო-ნული, —
ცრემლს რომ
დაჰკიდებს
წამწამს...
დემოკრატია
მწამს —
ეროვნული...
შემოგდებული —
არ მწამს...

3. XI. 2014

## მტერი... ანუ — ფილოსოფიური კითხვა...

თუ, დავუჯერებთ —
ბრძენ სამარყანდელს, —
ცხოვრება —
ვისთვის,
ქარია...
მტვერი...
თუ, შენ გსურს:
მტერი
რომ არა გყავდეს,
შენ,
თვითონ,
სხვისი —
რაღად ხარ
მტერი?!..

26. VIII. 2015

## ყველაზე ბრძენი მასწავლებელი...

დაფიქრდნენ უნდა:
ასულნი,
ძენი, —
ასე იყო და...
ასეა — ახლაც, —
ყველაზე მკაცრი,
ყველაზე ბრძენი
მასწავლებელი —
ცხოვრება გახლავთ...

25. VIII. 2015

## დაჭრილი მზე...

მოთმენა სანამ?! —
სჯობს
გავკრათ კვესი,
ილიას მიზანს
მივაპყროთ მზერა...
დღეს, —
საქართველო —
ოხრავს და
კვნესის...
დღეს, —
საქართველო —
დაჭრილი მზეა...

24. VIII. 2015

## ცერცეტი, ცრუ და... ცანცარა...

ასე ასკვნიდა, —
ბატივით,
ცერცეტი,
ცრუ და...
ცანცარა:
არავითარი —
პატივი! —
თუკი, —
მე — არა,
სხვაც — არა...

23. V. 2015

## არჩევანი...

დრო —
მიდის,
მირბის...
ქარად სხვა მორბის,
როცა —
წამიც კი
განძის ფასია...
ზოგს, — სურს
შეძენა —
არარაობის,
ხოლო,
დაკარგვა —
რაც ძვირფასია...

5. VIII. 2015

## რა ვქნა?!.. მომკალით!!!..

სიტყვით ღრუტუნებს
და... ჭყვიტინებს
ღორი, — რამდენი?!..
უსაქმო სიტყვა
მივიტანო
გულთან?! —
არა წამს...
დგება, როდესაც —
მხოლოდ,
სიტყვის
კორიანტელი,
რა ვქნა?!..
მომკალით!!! —
ფარატინა სიტყვის
არა მწამს!!!..

13. VI. 2014

## სათქმელი — უფრო, მტკიოდა...

ფიქრით, —
სწორით, თუ —
ხვეულით,
გულიც და
სულიც —
კიოდა...
მტკიოდა —
მთელი
სხეული,
სათქმელი —
უფრო,
მტკიოდა...

21. VII. 2015

## ათასჯერ...

გვინდა —
ზეცამდე,
ხელის შეწვდომა,
სულ, —
მთასთან ვართ და...
ვერ ვცნობთ
ამ მთას, — ჯერ...
არ დავუშვათო, —
ვფიქრობთ,
შეცდომა...
და...
ერთ შეცდომას
ვუშვებთ —
ათასჯერ...

18. VII. 2015

## ზოგი...

მიწა —
მზის კოცნით,
ტუჩებს რომ
იწვავს,
კვლავ იღაღანებს
ათას ფარჩებად...
ზოგი —
ქუხს,
არყევს:
ცასა და
მიწას...
მაგრამ...
ხვალ —
ჩქამიც
აღარ დარჩება...

3. I. 2014

## რადგან...

რადგან, —
დღეს,
თავს გრძნობთ
ლაღად, ნასებო,*
რადგან, —
სირეგვნე ზეიმობს
ირგვლივ,
რადგან, —
სირცხვილი
აღარ არსებობს,
უსირცხვილობა
ყიდულობს —
გვირგვინს...

14. VI. 2008

*ნასი, — ცუდი, უგვანი, მიულებელი, უშვერი... (რუსთ.) 1205,1; 1364,2.

## XXI საუკუნე...

დემოკრატიის —
თაფლის ნიღბით
უბერავს ქარი...
და...
ამ პლანეტის
ქცევა უნდა —
თაღლითთა
დახლად...
სადაც, —
მორალი
ჩამორჩენის
სიმბოლო არის,
იქ, — ღირსებაზე
საუბარი
უაზრო გახლავთ...

7. VI. 2015

## მთლად შეუმცდარი — ღმერთია, — მარტო...

ცხოვრების გზაზე
სულ, —
გვმოძღვრავდნენ
ადამის ძენი, —
ცხოვრება —
ხან, რომ:
მაისია...
და... ხან, რომ:
მარტობს...
ზოგჯერ, —
შეცდება:
უწრფელესი,
თვით —
ბრძენთა ბრძენიც,
მთლად შეუმცდარი —
მაღლა,
ცაში,
ღმერთია, —
მარტო...

## სასწაული...

სიტყვა:
ურითმოდ, —
უმუსიკოდ,
მეფურად არ ზის...
თვით —
ოქროსიტყვა,
ოქროლექსიც
გახდება —
ვერცხლი...
ხომ, დიადია:
უმზესი და...
უბრძნესი აზრი?..
სასწაულია:
და...
საზეო* —
მუსიკის
ცეცხლით...

12. V. 2015
*ცად ამყვანი, აღმამფრენი (რუსთ. 20,3)

## ვუყვარვარ, — თვითონ...

მთვარის
ქუდს ვისვრი —
მაღლა, —
ცაში,
როდესაც ვლხინობ,
დაბლა, —
მიწაზე ჩამოგიყვანთ
ვარსკვლავებს
თვლითო...
ჩემზე ამბობენ:
რომ ვეტრფი და...
რომ მიყვარს
ღვინო,
მე კი არ მიყვარს, —
ამ დალოცვილს,
ვუყვარვარ, —
თვითონ...

4. XI. 2009

## მე, თუ — მკითხავენ...

ჩვენი ცხოვრება —
ხან, — ველია,
ხან, — ოკრო-ბოკრო,
სიმდიდრისათვის —
კვლავაც,
სისხლ-ცრემლს
რამდენი დაღვრის?!..
რაც პლანეტაზე
სიმდიდრეა, —
ვერცხლიც და...
ოქროც,
მე, თუ,

მკითხავენ —
ერთი წამის
სიცოცხლედ
არ ღირს...

11. IX. 2015

## სიტყვა და სიბრძნე...

სიტყვას
რომ ვამბობთ,
სიტყვის სიბრძნე —
ყოველთვის,
ის არს:
ჭეშმარიტებას
არ დაედვას —
ლახვარ-ხუნდებად...
სიფრთხილე უნდა —
სიტყვასა და
გასროლილ
ისარს,
რადგანაც, ვიცით:
უკან,
ერთიც,
აღარ ბრუნდება...

2004

## როდემდე?!..

რად გვინდა —
სიავე —
ყოველთვის,
რომ გვდევდეს?! —
საშულლო,
სახინჯო,
სამზაკვრო,
სამტრიანო?!..
სადამდე?!..
როდემდე?!..
სადამდე?!..
როდემდე?! —
სატანის ბორბალი
როდემდე
ვატრიალოთ?!..

13. VIII. 2015

## სურათი...

პირველობისთვის —
კალია და
ობობაც იბრძვის,
დრო —
მარადიულს,
თვითონ ირჩევს:
სხვა ჰანგს და...
სხვა თარს...
დუმს:
სიდიადე,
სიელვარე, —
მოსილი სიბრძნით,
კორიანტელი —
ზენიტს აღწევს, —
სხვათა და...
სხვათა...

19. X. 2015

## ღირსება...

ვინ — ადის მაღლა,
ვინ — ჩამოდის, —
იცვლება —
ჯერი,
ასპარეზია
ეს ცხოვრება —
ვნებების ქართა...
თვით, —
ცაზეც, უფრო,
მაღალია —
ღირსების ჭერი,
ნულია —
ყველა,
ყველაფერი,
ღირსების გარდა...

29. VII. 2015

## ჭეშმარიტება...

დასაბამიდან, —
ზოგჯერ... ღამე —
გვლესავს მზის მტრებად,
სიცრუე —
ზეობს,
ზარ-ზეიმობს, —
ვითარცა —
ხვითო...
უდიადესი მზეი
არის —
ჭეშმარიტება,
ჭეშმარიტება —
სხივთა არსით,
ღმერთია, —
თვითონ...

30. VII. 2015

## ყველაზე დიდი: ჯილდოც და... ძეგლიც...

უფალმა —
ცის ქვეშ,
სიყვარული
დასვა, — ამინდად,
თუ, —
სიცოცხლისთვის,
მზესაქმეს და
სიტყვას უვლიან...
სიყვარულია:
არსთა
არსი, —
დასაბამიდან...
ყველაზე დიდი:
ჯილდოც,
ძეგლიც —
სიყვარულია...

31. X. 2015



## რეზო (ემელიანე) ადამია



* * *

რომანში „წმიდა ნინო“ რეზო ადამიას სიტყვიერი ფერწერა სასწაულებს ახდენს: სამყაროს წარმოშობას თვალნათლივ ხედავ და განიცდი — თავად ხდები ამ უდიდესი მისტერიის მონაწილე. სამყაროსეულ მტვერსა და ნისლში თანდათან იკვეთება ჩვენი სამშობლო — საქართველო, იკვეთება წმინდა ნინო. ავტორი წმიდა ნინოზე ასე წერს: „ქალწული დედა მოდიოდა და უხილავი სივრცე მოყვებოდა უჩვეულოდ მორჩილი: ეჭვიანი და შუბლშეკრული დრო, წრიულად ტრიალებდა წმინდანის ირგვლივ...“

ავტორი არამარტო საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრებას გვიხატავს, სამყაროს წარმოქმნისა და ცივილიზაციის განვითარების ეტაპებსაც გვაჩვენებს, რასაც მეტად უჩვეულო მწერლური ხერხებით აღწევს. მის სიტყვას შესწევს ძალა კოსმოსის ამოძრავებისა. რეზო ადამიას რწმენით, კოსმოსიდან მოედინება ის უდიდესი ემოცია თუ სხივი, რომლის მიმღებიც ხელოვანია და რომელსაც შთაგონებას ვუწოდებთ.

რეზო ადამიას რომანის „წმიდა ნინო“ კითხვისას, შეუმჩნევლად რეალობას მოვწყდი და გადავინაცვლე კოსმოსში, სადაც ბატონ რეზოს რომანის სიტყვები უკიდეგანო სივრცეში იკვეთებოდნენ, წინადადებებად ბრწყინდებოდნენ და მთელი რომანი ერთი ამოსუნთქვით, ასე ცაში მომზირალმა და გარინდულმა წავიკითხე.

ხელნაწერში გაცნობის შემდეგ, რომანს აღფრთოვანებული შეფასებები მისცეს მიტროპოლიტმა ანანია ჯაფარიძემ, მწერალმა რევაზ მიშველაძემ, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა, პოეტმა ჯანსუღ ჩარკვიანმა, ენციკლოპედია „საქართველოს“ მთავარი რედაქტორის მოადგილემ გოგი ლორთქიფანიძემ.

„ბეწვის ხიდზე გაიარა მწერალმა.

წმინდა ნინოს სიუჟეტს ჩვეულებრივი, ტრადიციული რომანის საზომებით თუ მიუდგებოდი, არსებობდა იმის საშიშროება, რომ „ქართველთა განმანათლებელი“ რეალურ სამყაროში გადმოგვეყვანა და ამით დაგერღვია ის ღვთიური ჰარმონია, წმინდანთა ცხოვრებას რომ თან ახლავს.

...და რეზო ადამიამ გაიმარჯვა.

მან ჭეშმარიტი მწერლის ალღოთი იპოვა ის ზუსტი ჟანრი, რომელშიც წმინდა ნინო ქართული ეროვნული ხასიათის გაგრძელებადაც მოიაზრება და თანაც იმ ღვთიური შუქითაა განათებული, რომლის სიკაშკაშე საუკუნეებს გადაწვდება.

აღტაცებას ვერ ვმალავდი ბატონ რეზოს ამ ახალი შედევრის კითხვისას“, — წერს ბატონი რევაზ მიშველაძე.

ბატონ რეზო ადამიას თანხმობით, წიგნად გამოქვეყნებამდე, რომანს — „წმიდა ნინო“ „ოლეს“ მკითხველებს ვთავაზობთ.

**აკაკი დაუშვილი**

---

## წმიდა ნინო

ცოცხალი და მარად მოძრავი პლანეტის სამყაროსეული განახლების, უსპეტაკესი ზნეობის და ზეციური სულიერების ნათელ გარიჟრაჟზე, იბერიისკენ ურთულესი გზით წმიდა ნინო მოდიოდა თეთრი ორნატის ფორმაში...

ქრისტიანული უკიდეგანო იერარქიის საუფლოში სრულიად განსხვავებული მოციქულთსწორია წმიდა ნინო კაბადოკიელი, თავისი სახარებისეული ინდივიდუალური, მრავალმხრივი შემოქმედებითი ნიჭით და ღვთივმოსაობით გაბრწყინებული გვირგვინით.

სამშობლოდან შორს, ჩრდილოეთით, უცხო მიწაზე, ბილიკებდაქსაქსული და თვალწარმტაცი სანახებით, წმიდა ნინო მოდიოდა... გზად ხვდებოდნენ წარმართები, მზისთაყვანისმცემლები, ცეცხლთაყვანისმცემლები, სხვადასხვა ტომის ველური მომთაბარეები, უზნეო მონადირენი, კეთროვნები, უსინათლონი, შავჭირშეყრილები, ქოლერიანები, სრულიად ავადმყოფნი და ბოროტი სულნი.

*„მწყემსი კეთილი მოდიოდა უვნებლად და კურნავდა ყოველთა მათ...“*

*„ღამესა ერთსა გამოეცხადა ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელი ღირსსა ნინოს და ჰრქვა: „ჰა, წარგავლინებ შენ ქადაგად ერისა მიმართ ქართველისათა. წარვედ სიმხნით და უშიშრად და უქადაგე ჭეშმარიტება“. ხოლო ნინო ეტყოდა შეძრწუნებული: „დე-*

*დოფალო, ვითარ შესაძლებელ არს ეგე ჩემ მიერ, რამეთუ მე დედაკაცი ვარ უცხო, უსწავლელი და რა იყოს სასწაულად და წინამძღვრად საქმის მაგისა". მაშინ ყოვლადწმიდამან დედოფალმან მიყო ხელი ცხედრისა მის ზედა გარდაფენილსა ვაზისა რტოსა, მოჰკვეთა მისგან, შექმნა ჯვარის სახედ და მისცა ღირსსა ნინოს და ჰრქვა: „ამით სძლო ყოველთ საქმეთა ეშმაკისათა და წარემართოს ქადაგება შენი: და მე ვიყო შენთანა და არა დაგიტეო შენ!"*

მცხეთასთან, მაღალ მუქსა და ტრაგიზმით დამძიმებულ მთაზე, აზონის მიერ შექმნილი ოქროსა და ვერცხლის წარმართული ქანდაკებები — გაცი და გაიმ — იდგა. შემდეგ ფარნავაზ მეფეს აღუმართავს უფრო დიდი და უმკაცრესი კერპი, არმაზი, რომელიც გადაბირებულ იბერიელთათვის მთავარი სალოცავი გახდა. იგი შვიდას წელიწადს ეშმაკეულად იდგა და იბერიელთა სისხლით ვერ ძღებოდა. მერე მინაც ჩაითრია უტყვი მორჩილი და კეთილი. წმიდა ნინომ ღვთის მეოხებით გააუქმა ისინი და საშინელ, ყრმათა და კაცთა მკვლელ ბოროტებას იბერიელთა ქვეყანა გამოსტაცა...

მოდიოდა წმიდა ნინო! მოდიოდა ვაზის ჯვრით ხელში და უცხო ქვეყნის ბუნება მშობლიურად ეგებებოდა მრავალმხრივი სტიქიური მოვლენებით. გზადაგზა მშვიდად ჩაუვლიდნენ ცნობისმოყვარე მხეცები, ცხოველები, გაყურსული ქვეწარმავლები, ცად მიმოფანტული მხიარული ფრინველები, პატარა მდინარეთა სანაპიროებში მოხეტიალე და უაზროდ მოქაქანე ჭინკები... უცნაურ ხაზებად გაიელვებდნენ წარმართული შიშის მომგვრელი მოჩვენებები და ლეგენდები, მითები თუ სიცოცხლეატოტებული იგავები...

მგზავრობით დაღლილ წმიდანს მწარედ უტევდა ღამეული სიცივე და შუადღის სიცხე, მაწანწალა ქარი, უხეში გრიგალი და გაბოროტებული ქარბორბალა. ზოგჯერ ნაავდრალ მუქ ღრუბელთა ფონზე ცისარტყელა შორეულ სივრცეს, თვალთ საამებლად, ნახევარწრეს მრავალფეროვნებით შემოხაზავდა...

მდუმარედ ახლოვდებოდა ზეციური ნათება, პლანეტათა მაგნიტური ველიდან კოსმოსურად გამომავალი...

არასამყაროსეულ და მიწიერ მტანჯველ რელიგიებს შებერებული კოლხეთ-იბერიის მიწა ჭეშმარიტ სარწმუნოებას შუბლგახსნილი ელოდებოდა...

ქრისტიანული ახალი გასხივოსნებული მრავალსახოვანი დრონი კი თანმიმდევრული წარმატებებით მიჰყვებოდნენ ურთიერთს...

მოციქულთ სწორი მოდიოდა ამომავალი მზის სხივივით, რომელსაც წინ უძღოდა იდუმალი შემტყობინებელი ნიავი და ჯიუტ სივრცეს ურღვევად ეუფლებოდა სულიერი სიახლე, კაცთა უკვდავება და უფლისმიერი ჭეშმარიტი მარადიულობა...

ამქვეყნად მზის ამოსვლა კოსმოსური სიბნელის შეწირვითი დასასრულია; დაისი კი ნათელის ბრძოლაა სიბნელესთან და მანათობლის გარემო, ყვითელ-ნარინჯისფერი, წითელი, ია-იას მოცისფრო და მომწვანო ფერებით იმოსება სწრაფგამდინარე წარმტაცი ზეციური დინამიკით. ამ განუზომელ ორთა მძლავრ შეჯიბრში სიბნელის ძალა გარკვეული დროით იმარჯვებს. შემდეგ გაივლის ძილის სიზმრების უცნაური მოვლენების ღამეული საათები და ალიონით  იწყება განახლებული მზიანობა და მაშინვე იფეთქებს მრავალი ტონალობით ყვითლების, მომწვანო და მოცისფრო ია-იების  ფერთა რიალი, რომელსაც, როგორც მოგახსენეთ, უძღვება მისტიკური ფიქრით სავსე იდუმალი ნიავი. ამდაგვარ კოსმოსურ ციკლში გამარჯვებული მზე მოჭარბებული შუქ-სითბოთი და ყველგანმნვდომი სხივებით მეფე-პლანეტად გაბატონდება ცის გუმბათზე. ეს გამაოგნებელი ზეციური ურთულესი მოვლენები, კოსმოსურ-მათემატიკური სიზუსტე გახლავთ სამყაროს ჯაჭვურ მოძრაობათა მიუწვდომელი მონაცვლეობისა. ყოველი პიროვნების მოსვლა და წასვლაც ხომ შიდამნათი გარდაქმნებიდან, ზღვარდადებულ-დაკანონებული, სამყაროსეული უხილავ ფორმიანი შეწირვებით გაივლის და მათი დაუსრულებელი სვლა და გარდამავლობაა...

სრულიად იბერიისაკენ მიმავალ ნორჩ ქალწულ წმიდანს, ღვთიური ქმედებით შთაგონებულს, თანამგზავრობდა ულამაზესი ფერის ღვთისმშობლის ჰაეროვანი, ხატული სახება. ამქვეყნიური და იმქვეყნიური დედოფლის ნაბოძები ვაზის ჯვრით, მოდიოდა ზოგჯერ დათქმული შეპირებებით — ფეხშიშველი...

მოდიოდა ნათელი ნინო და ყოველი მისი ნაბიჯის ალიონის ნამივით სუფთა ნატერფალებით ინათლებოდა მარადის განახლებული ქვეყანა იბერიისა...

სამხრეთის მცხუნვარე მზის ქვეშ, შორეული ქვეყნიდან მომავალ წმიდანს, შეგნებულად არ სციოდა, არა შიოდა, არ აშინებდა ზაფხულის შუადღის მცხუნვარე მზე, ქარის შემტევი ცვალებადობა, წვიმა და სიბნელე, რადგან წმიდა ნინოს წინ უძღოდა ლოცვა, ვაზის ჯვარი, ღვთიური იდუმალება, თეთრი ღრუბელი და ფიქრთმდუმარებით მოცურავე კავკასიონის ნისლი...

„მოჰკიოდა, ქარი ღრუბლებს მოჰკიოდა
და ფარავნის ტბასა ზედა ძრწოდა ქარი...
მოდიოდა, ნინო მთებით მოდიოდა
და მოჰქონდა სანატრელი ვაზის ჯვარი"...

დილით, შინაგანი გუმანით თუ კეთილი ადამიანების სწავლებით, წმიდანი მდინარე მტკვრის ნაპირს აჰყვა, ბევრი იარა და ურბანისში მივიდა. დიდი ქალაქი დახვდა, მოეწონა. რა თქმა უნდა, ურბანისელები წარმართები იყვნენ და კერპებზე სალოცავად მცხეთაში დადიოდნენ. ორი სრულიად განსხვავებული სამყარო დაუპირისპირდა ერთმანეთს, თითქოსდა ბნელი და ნათელი შეიყარნენო...

ბრძენი ნინო მოდიოდა მუდამჟამს წმინდანურად ტანთშემოსილი, ოდნავ კაბის ქვედაბოლოებშემოცვეთილი, ნაწვიმარი — ლურჯი ღრუბლისფერი მოსასხამით. მკერდის უბეში მოკრძალებით ჩაკეცილი წაბლისფერი თმებით, მარჯვენა ნაწნავმოკვეცილი, ნიშნად ღვთიური საიდუმლო სიმბოლოსი, რომელსაც ძველი და ახალი აღთქმის მიმზიდველი, ღვთიური სურნელი ასდიოდა...

ბნელშიც ანათებდა წმიდანის რძისფრად შემორკალული, მუქი ყავისფერი თვალები, ბრძნულად და მრავლისმეტყველად მზირალი...

ამქვეყნიურ კოლხ-იბერიელთა წმიდანს შვენოდა ოდნავ მოგრძო პირისახე, ღიმილგახსნილი მოვარდისფრო ტუჩები, ხორბლისფრად მკვრივად გარდამავალი სხივმომდინარე სახე, სანდომიანობით გარემოზე მზურნველისა და ყოველთა ქვეყნიურის პატრონის იერს რომ გამოსცემდა... ნარნარად ჩამოსხმულ მოკრძალებულ სხეულზე ქალწულური სათნოების მკერდი არ იკითხებოდა, მხოლოდ მორ-

წმუნეობრივი თავშეკავებით უნდა გეგულისხმა. შვენოდა გრძელი მკლავები უმშვენიერესი მტევნებით და უზენაეს შემქმნელისაგან საგანგებოდ თლილი თითები მარად დასაქმებული ქალწულის მოთეთრო ფრჩხილებით, მათ საწყისზე ნახევარმთვარეები რომ ისახებოდა...

მზერა, თვინიერ ფიქრებით სავსე და ჭკვიანური, მზრუნველი, მშობლიური — ღიმილნარევი, კეთილი — მიმზიდველი, თბილი, ასევე უდრეკი — უშიშარი. გონებით ბრძენი და შორსმჭვრეტელი. ხმა — შეუვალი ზეციური მთის ნიავივით მომდინარი — ხავერდოვანი, გულმკერდიდან წმიდა სულს ამოყოლილი. პიროვნულად — იმედფუძიანი და დაუვიწყარი... უხდებოდა ღაწვებზე გადმოსული რბილი წაბლისფერი თმა. მნახველს იზიდავდა მეტყველი, მკვეთრი ხშირთმიანი, შუბლისკენ ზეაზიდული წარბები, მათ შორის მოზომილი შუალედით. სწორი, ბერძნული ფორმის ცხვირით და გარინდული ნესტოებით... არამიწიერ სევდას გამოსცემდა ქვედა ქუთუთოების მკრთალი მონაცრისფრო ტონალობა, ზომიერად ჩაზნექილი ლოყა, იდუმალებას მატებდა მათ ქედზე მიმალული ყვრიმალები და ურყევი ხასიათის გამომხატველი, ოდნავ ნათელი, მრგვალი ნიკაპი. გრძელი მოთეთრო ყელი, თითქოსდა სამყაროს სიღრმეებიდან ეს-ესაა ამომზეურდაო. ზოგჯერ უცხო გარემოს დამთრგუნველი სევდა გადაუვლიდა წმიდა ნინოს წმიდა ნათლობის სანთელივით ასხმულ სხეულს და შორეულ მიუწვდომელ ფიქრებში ჩაიძირებოდა... სჩვეოდა განყენებითი, ოდნავ ნაღვლიანი დუმილი — ფიქრი და ზეცისაკენ მზერა, მაშინვე ცრემლი მოადგებოდა შვლის ნუკრივით უმანკო თვალებს და ამ არნახული მშვენიერების ხატად აღბეჭდვა თავად ხატმწერ ლუკა მოციქულსაც კი გაუჭირდებოდა. მხოლოდ ზეციურ-სამყაროსეულ ძალებს თუ შეეძლოთ მისი ზეხატული ასახვა...

* * *

უძველესი წარმართული იბერიის დიდებულებიდან ზოგმა მოგვიანებით მიიღო ქრისტიანობა, თუმცა წმიდა მეფე მირიანის და წმიდა ნანა დედოფლის წინაშე მოჩვენებითად ჭეშმარიტ სარწმუნოებას თითქოსდა ნაზიარებნი იყვნენ. ქალაქ მცხეთის ერთ-ერთი უმდიდრესი და ცნობილი წარჩინებულის ოჯახი გავლენიანი გახლდათ მთელ აღმოსავლეთ, სამხრეთ და დასავლეთის მოწინავე ქვეყნებში, მას სამეფოს სასიკეთოდ მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა კონსტანტინოპოლთან, რომთან, ბაღდადთან, სპარსეთთან, ინდოეთთან, სომხეთთან. ამათგან, კულტურული ურთიერთგაცვლის გარდა, საქონლის შემოტანა-გატანაც ხდებოდა. ამ მოწინავე ოჯახის ერთადერთი ვაჟი, რატი, მირიან მეფის კარის მშვენება გახლდათ. ტანად მაღალი, ჩამოსხმულმხარბეჭიანი, ზომიერად მოშვებული თმით, შავი წვერ-ულვაშით, ფართო, ხარირემივით თვალებით. უხდებოდა მუქი შინდისფერი მდიდრული მოსასხამი. ბუნებით დინჯი, მაგრამ მეომრული შემართების, საერო წვეულებებზე თუ დიდაზნაურთა შეხვედრებზე ფრიად გამორჩეული. ისევ ძველი წარმართული სული ტრიალებდა მის ვაჟკაცურ სხეულში და ჩუმ-ჩუმად წარმართულ კერპებსაც ეთაყვანებოდა.

ღვთიური სიმშვიდის, სახარებისეული გონების, ანტიკური მშვენიერების და ანგელოზური მოკრძალების ქალწული, მოციქულთსწორი ნეტარ ნინო, ახალგაზრდა რატის უფაქიზესი სიყვარულით მალულად შეჰყვარებოდა, რასაც თავის თავსაც ვერ უმხელდა. აფორიაქებულ აღმაფრენაში მყოფი, სიყვარულის წარმართულ ღმერთთან ღამღამობით ექსტაზურ მისტერიებს მართავდა. ამ დროს წმიდა მირიან მეფის კარზე და ასევე მთელი ქვეყნის მასშტაბით ქრისტიანული სარწმუნოება, უკეთილშობილესი და პროგრესული, წმიდა ნინოს წინამძღოლობით და დამოძღვრით დღითი დღე სასწაულებრივად ვრცელდებოდა, მტკიცდებოდა და სახელმწიფეობრივ რელიგიად ყალიბდებოდა.

დედა წმიდანი! ყოველ კოლხ-იბერიელთა და მთლიანად დედამიწის ქრისტიანთა ცნობიერებაში რწმენის კაშკაშა მნათობი, მკურნალი ფენით სამყაროსეული უხილავი ასტრალური შენადნობებით ჩადუღაბდა. შედეგი? — შედეგი ნათელია. პროცესი? — უსასრულოა...

მარადიულად განიწმინდა ბნელიდან ამოყვანილი იბერიელთა საზოგადოება და იესო ქრისტეს მოძღვრებით სულიერგონებრივად განახლდა, არც ისე შორეულში, ჯოჯოხეთური წარმართული გარემო.

უზრახველი და წმინდა სიყვარულით შეპყრობილი რატი, შინაგანად აღტყინებული, ქვეცნობიერად უმძიმესი ზნეობრივი სამსჯავროს წინაშე იდგა. ახალგაზრდა, თითქოსდა უდანაშაულო და უცოდველი ვაჟკაცის მზეს შავი მტანჯველი და უმკაცრესი ღრუბელი უახლოვდებოდა. ერთი პერიოდი სამშობლოს დატოვებაც განეზრახა. წინასწარმეტყველ ნინოს არაფერი გამოჰპარვია და მოხერხებული შემთხვევისას, მეფის კარზე, უფლებამოსილება მოიპოვა საქვეყნოდ ცნობილი დიდებულის ოჯახის მოქცევისა და კურთხევისა. მერმე დასახული მიზანი საგანგებოდ დაამთხვია და ქრისტიანული დღესასწაულის დღეს წმიდა ნინო, ჯვრით ხელში, ახალგაზრდა იბერიელი მღვდლის და რამდენიმე მოკრძალებული მონაზვნის თანხლებით, რატის მშობლების ლეგენდარულ სასახლეს ეწვია... ბრძენი ნინო, განმარტოებისას, თავისთვის წინასწარმეტყველურად გამოთქვამდა: — სანამ დროა, დიდაზნაურის ვაჟს, რატის სულიერად უნდა დავეხმარო!..

ოი, ქვეყნის საოცრებავ, აი იმ ფრიად მნიშვნელოვან ეკლესიურ დღეს მოხდა ვარსკვლავეთის ზეძალთა კეთილი დაპირისპირება და მოულოდნელ ხილვათა იდუმალი გარდატეხები, თითქოსდა ირგვლივ დაიძაბა გარემო და წამი-წამზე იცვლებოდა უხილავი ზეციური განწყობილება: მუქი ფერებით განივსო და შეიკუმშა სივრცე. გამაოცებლად შორეულში გაცოფებული შავი ფერის დემონები ერთმანეთს აწყდებოდნენ, მათ ირგვლივ შეიმჩნეოდა ნათელ და მუქ ფერთა გააფრთებული ჭიდილი. ამ დროს მწყემსი კეთილის ღვთიური დასი სათნოების წმინდა საქმეს მაცხოვარივით ატარებდა და უზარმაზარი ჯვრის უხილავი სახე-გამოსახულება დაჰფენოდა მომავლის — თითქმის უკვე უფლის საყდრადქცეულ დიადურ სასახლეს.

* * *

სარწმუნო წყაროების წყალობით ვგებულობთ: დედა წმინდანი ფარულად დადიოდა მცხეთელ ებრაელებთან და იკვლევდა იესოს კვართის საქმეს. აქ წმიდანი გაეცნო ებრაელთა მღვდელს, აბაითარს და მის ქალს, სიდონიას, მოაქცია ისინი ქრისტეს სჯულზე, თვინიერ ნათლისღებისა. მღვდელი იბერიის სამეფოში არ იპოვებოდა, რომ ნათელეღოთ და

მხატვარი რეზო ადამია

ფარულად დაემოწაფნენ წმიდა ნინოს. აბიათარი წმიდანის მარჯვენა ხელი გახდა.

ყოვლად საკვირველი გამბედაობით და თავგანწირვით ამოუდგა ებრაელთა მღვდელი მწყემს კეთილს. აქედან გამომდინარე, რადგანაც მდგომარეობა დაიძაბა, ცოლ-ქმარი საიმედოდ უნდა დაცულიყვნენ მეგობარი ქრისტიანების მხრიდან და ასეც მოხდა. უთუოდ მოძმე ებრაელებისაგან ჩაქოლვას არ ასცდებოდნენ, მაგრამ გადაარჩინა მაცხოვრის განუსაზღვრელმა მადლმა და წმიდა მირიან მეფის კეთილმა ყურადღებამ, რომელმაც ითავა მღვდელ აბიათარისა და მეუღლის, სიდონიას სიცოცხლის უვნებლობა. ებრაელებმა აქაც შემოიტანაეს, ძალიან მნიშვნელოვანი, მადლმოსილი შეწირულობა.

განა ცოტაა კაცობრიობისათვის ებრაული წარმოშობის მოციქულები? ასევე უზომოდ დასაფასებელია ისრაელის — დიდი ქვეყნის იესო ქრისტეს დედულეთობა — ღვთისმშობლობა. მაცხოვარი ისრაელმა აღზარდა. ასევე ღვთიური განძია ისრაელის ენა და დამწერლობა, სამყაროს საოცრება ბიბლიის შემამკობელი... შეგვეკითხებიან, რას გვეტყვით ჯვარცმაზეო? დიახ! ჯვარცმით მაცხოვარი ზეცად ამაღლდა და სამყაროში მის ყოვლისშემძლეობას უფრო ვალმოხდილი და ძლევამოსილი დაუბრუნდა. მაცხოვრის ჯვარცმამ გამოაღვიძა კაცობრიობის მიძინებული თუ ახლად შობილი რწმენის ცნობიერება და მტკიცედ, მოწამეობრივად შეუდგა ქრისტეს სჯულს...

წმიდანის თხოვნით და მეცადინეობით მცხეთას მოიძიეს, მოწინავე ქრისტიანი ოჯახებიდან, პატიოსანი და კეთილშობილი ყმაწვილები, მერმე დაიმოწაფეს რჩეულნი. ქალწული დედის უპირველეს განმანათლებლურ მისიაში იბერიელი ახალგაზრდა მღვდლებისა და დედათა აღზრდაც შედიოდა (როგორც ეკლესიათა მშენებლობა) და დადებითი შედეგიც გამოიღო. მღვდელი აბიათარის, სიდონიას და წმიდა ნინოს ხელმძღვანელობით უწყვეტი დროით ამეცადინებდნენ მათ, სამეფო კარზე მოძღვრის კაბებიც შეუკერეს, ქრისტიანული იდეოლოგიის გარდა, უცხო, უმნიშვნელოვანეს ენებსაც ასწავლიდნენ. წმიდა მირიან მეფეს და წმიდა ნანა დედოფალს არ გამორჩენიათ მათი ეს მოღვაწეობა და შეუქეს ფრიად, საჩუქრებიც მიართვეს საკადრისი... შედეგიც წარმატებული იყო და ნეტარ ნინომ, როგორც ზევით აღგიწერეთ, ახალგაზრდა იბერიელი მღვდელი წარადგინა რატის მამისეული სასახლის კურთხევისას...

* * *

მხოლოდ სანუკველი მორჩილება და დუმილი სუფევდა ირგვლივ; თავდახრილი და თვალებწყლიანი რატი გარინდული მისჩერებოდა ყოველივეს და კეთილად გარდასახული სიმშვიდე ჩასახლებულიყო მის მეომრულ სულ-სხეულში. ქრისტიანულად იკურთხებოდა მაღალი და საქვეყნოდ აღზევებული წარჩინებულთა დიდი ოჯახი და ციდან ანგელოზთა გალობის ზეწარმტაცი ჰანგები ავსებდა იქაურობას. ეგზოტიკური მშვენების კარ-მიდამოს კურთხევის და მოლოცვის დამთავრების შემდგომ, წმიდა ნინო მოკრძალებით და თავდახრილი წარსდგა ოჯახის უფროსის წინაშე, რომლის კოხტად გადავარცხნილი თმა და თეთრი, მითურ-ქანდაკებური ხშირი წვერი გოლიათურ იერხატებს ქმნიდა. აქოჩრილი წარბებიდან ჭროღა, ოდნავ მკაცრი თვალებით მისჩერებოდა მის წინაშე მდგარ, უკვე ლეგენდად ქცეულ წმიდანს.

— ბექა დიდებულო, წარჩინებულო და ღვთივკურთხეულო! — გაისმა წმიდა ნინოს ზეციურ ნიავს ამოყოლილი ხმა და მოკრძალებით სთხოვა, რომ თავად მოენათლა მისი ერთადერთი პირმშო რატი. ისევ დატრიალდა უხილავი სამყარო და ათასობით წმიდა ვერცხლის ზარმა ჩამოჰკრა.

*ზეცის ლურჯი სიშორე ფრთებგაშლილმა მამრმა არწივმა გადასერა და გაისმა სივრცის მპყრობელი გამკივანი შემოძახილი...*

ბრძენი მასპინძლისაგან უფლებაბოძებულმა წინასწარმეტყველმა ნინომ, წესისამებრ, ქრისტიანულად მონათლა თვალსაჩინო იბერიელი ახალგაზრდა მეომარი და შუბლზე მირონი აცხო. უმალ უსაზღვრო წმინდა სულისფერ ზეიმად გარდაისახა იქაურობა. უკვე მონათლული და გულმკერდჯვარდამშვენებული რატი მუხლზე დაჩოქილი იდგა საამაყო ნათლიის წინაშე და მხურვალედ ლოცულობდა. ლეგენდად ქცეული ამდაგვარი წმიდანური მოვლენა მთელ იბერია-კოლხეთს მოედო თურმე. მომავალში უკვე გაქრისტიანებული რატი, ეკლესიათა მშენებლობისა და მოხატვის საქმეებს ჩაუდგა სათავეში — უკვე ნათესავი, წმიდა ნინოს მეოხებით

და ქრისტიანული მოღვაწეობით სასწაულებს ახდენდა... ამ შემთხვევაში, ქალწულმა დედამ, თავის უზარმაზარ ღვთიურ მოციქულებრივ მოღვაწეობაში, ერთ-ერთი ზეადამიანურ სახარებისეულ ზნეობრივი და ღრმად ორიგინალური, თავისთავადი, სულიერად განმწმენდავი სასწაული მოახდინა.

* * *

ჩემგან მოთხრობილი ეს ამბავი შუა საუკუნეებამდე გამოჰყოლია დროს. მერმე რატომღაც მივიწყებას წარუტაცნია. თქვენ, ამ მოვლენების აღმწერო, რომელი ისტორიული წყაროებიდან ისარგებლეთო?! — ნებისმიერი თქვენგანი შემეკითხებით და მოგახსენებთ: დიდი ხანია, ადამიანებს გვჯერა სასწაულისა, რომ კოსმოგენური მეხსიერება წარუშლელია. ღვთის მადლით თუ შეწევნით, ჩემთან გამოგზავნილ წარმოსახვას უნებლიეთ ჩამოჰყვა ყოველივე და შეძლებისდაგვარად აღქმული, ნაწილობრივ მაინც შევძელი ლიტერატურულ სურათად დამეხატა... თუ არ ირწმუნებთ, ის მაინც დაიჯერეთ, რომ ასეთი რამე შეიძლებოდა მომხდარიყო იმდროინდელი ჭეშმარიტი ქრისტიანობისა და უბოროტესი — ტვინგაქვავებულთა წარმართობის ურთულეს გასაყარში...

ქალწულობით შემკულს სჩვეოდა ხშირი ადამიანური სევდის ჩრდილადევნებული განმარტოება, სხვადასხვა პერიოდში წმიდანურად აღვლენილი ლოცვანი, კვლავ სათნო პიროვნული დუმილი და იმედით სავსე მრავალაზრსახოვანი ცრემლი...

ღამით, განსაკუთრებით მაყვლოვანში ყოფნისას, მიუხედავად უმძიმესი პირობებისა, ისვენებდა მშვიდად და მოციქულთა სწორს მუდმივად ზეციური მოძრავი სხივი ადგა... იმავდროს, წმიდა ქალწულის ირგვლივ ყოველი არსება, საგანი თუ ნებისმიერი ცოცხალი ძალა თვინიერ იყო...

სულთგანსჯით შობილი მოციქული წმიდა ნინო დაიბადა ქალაქ კოლასტაში, შეუდარებელი თვითმყოფადი ცივილიზაციის მქონე კაბადოკიის ქვეყანას. მამა, წმიდა ზაბილონი — მეომარი, მხედართმთავარი კაცთიმედი, ღრმად მორწმუნე ქრისტიანი და ბრძენი; დედა ნინოსი — კეთილი სოსანა, იერუსალიმის პატრიარქის და, ანუ იმჟამად ეპისკოპოსისა, რადგან წმიდა ეპისკოპოსები ნინოს დაბადებიდან ერთი საუკუნის მერმე იწოდებოდნენ პატრიარქებად... ასევე ქალაქ კოლასტის მკვიდრნი გახლდათ წმიდა იობელანი და წმიდა სოსანა. ასე რომ, ქალაქი კოლასტა წარმოადგენდა მრავალ წმიდანთა სავანეს...

უფალმა იბერიელ-კოლხთა მოსაქცევად სწორედ კაბადოკიელი სულიწმიდა ქალწული გამოირჩია, რათა ღვთის განგებით, როგორც წმიდა ნინოსთვის, ასევე იბერიელთათვის ბუნებრივად აღსრულებულიყო მისტიკური საიდუმლო სულიერი დედაშვილობისა (მე ვეთაყვანები ამ აზრს. ავტორი).

სამყაროს თავისუფალი დრო შეუჩერებლივ გადიოდა, ჩვენი მზის სისტემის ჟამთა სვლა მორჩილად მიჰყვებოდა უსასრულობის მაღალ უზენაესობას. ადამიანთა გაჩენისა და სიცოცხლის პლანეტა, კოსმოსური რელიგიური სიახლეებით მწიფდებოდა, ზნეობრივად, გონებრივად, სულიერად და პირველი ათასწლეულის ახალი ცივილიზაციის ჟამი მობრძანდა მაცხოვრის გამოცხადებით; მერმე უფალმა მოუხმო რჩეულთა შორის ბრწყინვალეთ და დაიმოწაფა ისინი; ამქვეყნიურ ბრძენნი, კეთილნი და თავდადებულნი...

ამდაგვარად, სამყაროს უდიდესი შესაძლებლობიდან გადმოედინა ღვთიური სიკეთის უსასრულობის ზნეობრივი უახლოესი გამაჯანსაღებელი სულიერი ფორმა. მერმე უკიდეგანო სივრცის სასწაულმოქმედი ღვთიური საუფლო გზავნის სანატრელ ვარსკვლავთსწორს და იწყება პლანეტის დიდი ხნის წინ ნაწინასწარმეტყველები სარწმუნოების ჯერარარსებული ჰუმანურობის ქმედება, რასაც დაერქმევა შობა ყრმისა იესო ქრისტესი... ღვთივკურთხეულობით და პირადი შეწირვების მეოხებით, თავიდანვე სასწაულებრივ წარმატებებს აღწევდნენ წამებული, მაცხოვრისთვის თავდადებული მოციქულები, მოციქულთსწორნი, წმიდანები და ღრმად მორწმუნენი. ჭეშმარიტ სარწმუნოებას და სულიერ სიახლეებს, საზოგადოების დამთრგუნველი წარმართი მეფეები, ქურუმები და დიდებულები გამეტებით უტევდნენ, მაგრამ „ათი მცნების“ ზნეობრივი სიბრძნის ამ ღვთიურ სივრცეს როგორღა გაუმკლავდებოდნენ ველური ბარბაროსული კანონები და იდეურად ნაკლულნი. ამიტომაც მათი სისხლიანი კერპები ქრისტიანული ჭეშმარიტების წინაშე უმწეოდ იმსხვრეოდნენ... (სამწუხაროდ, უთვალავი რაოდენობის უნიკალური ხელოვნების ნიმუში ემსხვერპლა მაგ ურთულეს მოვლენებს. მადლობა უზენაესს, რომ მათგან ათიათასობით შედევრი გადაურჩინა კაცობრიობას) „ათიმცნებელებმა“, უერთგულესმა და თავდადებულმა ახალი სარწმუნოების საზოგადოებამ, წარმოუდგენელი ღვთიური ზნეობით და ზეციური ორგანიზებულობით გაწმინდეს ბნელით მოსილი იბერიელთა ქვეყანა ფანატიკოსი წარმართებისაგან (ჩემი ვარაუდით, წარმართობა ზეციური მოვლენა არ გახლავთ, ის ადამიანთა გამოგონილი სუსტი გონების ბნელი არქაული მიწის და დემონების სარწმუნოება იყო). კანონი — საოცრება ათი მცნება კი მარადიულია. მომავლის ათასწლეულები, თავისი ზნეობრივი სიახლე თვისებებს აყოლილნი, უცხო წესების ქურაში მოინდომებენ მის გატარებას და თვისეული მანკიერი სიახლეების შეტანას, მაგრამ როგორც უფალს არა აქვს ყოველთა საწყისი და დასასრული, ასევეა ათი მცნების ღვთიურ ზნეობრივი ძალა, უცვლელია ის თავისი ჭეშმარიტებით, თუ რამე ღვთივ სასწაულები და დამატებები მოხდა, მხოლოდ სამყაროს განმგებელი უფლის მეოხებით... ალბათ მომავლის წელთაღრიცხვამ თუ მოითხოვა... სამყაროს ბოლომდე შეუსწავლელი შვიდი განზომილების, ჩვენს პლანეტასთან მოახლოების და დამკვიდრების მერე, შეიძლება მცირედი დადებითი კანონები დაემატოს აზროვნებისა და ზნეობის ღვთიურ პროგრესულ განზომილებაშიც...

შემდგომ, წარსულის მძაფრი მოდელი შეწირვებისა ძალაუნებურად ქრისტიანობაშიც გადმოინერგა, რითაც ამ ზნეობრივად ურთულეს, სიახლე წესდებულ მოვლენებს, წარმართობის მცირედი ბეჭედი მაინც ატყვია (ანუ დაემსგავსა, ხოლო შინაარსობრივად სრულიად განსხვავებულია). არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, კოსმოსურ მრავალფენიან კანონიკურ სივრცეს ამდაგვარი პროცესები უნდა დაეშვა. ქრისტიანობას მოევლინა ადამიანის პირადი — ფიზიკური შეწირვით (სული დამოუკიდებელი, რთულზე რთული უკვდავებაა სამყაროში) ბედნიერთა წმიდანური უთვალავი დასი. უფლის, სარწმუნოების, ქვეყნის, ერის, გვარ-სისხლის — გენის, სულიერი სიწმინდის და ზნეობრივი ცივილიზაციის, როგორც გადარჩენა-შენარჩუნების და აღმავლობის ფასად. ყოველივე ეს ურთულესი,

ათასწლეულების პროგრესული მოვლენა გახლავთ; წმიდა სამების და „ათი მცნების“ უნაკლო სამყაროს ბრძნულ სისტემასთან სრული თანაფარდობით...

დედამიწის მოაზროვნე სიცოცხლე — მშვენება ადამიანი, შინაგანად, დროთა ჟამში მწიფდება ზეძალებისაგან. შემდგომ, ეტაპობრივად ეგზავნება ვარსკვლავეთის ახალთახალი ყოვლისმომცველი ნიჭი, გონი და შეგონების ალღო სამყაროს უტყუარი და სრულიად მომცველი ზეცივილიზაციისა. მიწიერ წიაღში თავადვე ვერმომწიფებულთ უფლის, სულისა და გონების აღმავლობითი — ზნეობრივი სიკეთე ჩაეგზავნებოდა მუდამჟამს (რასაც სამყაროს ურთულესი პროცესი აწარმოებს), რითაც თანამიმდევრულად მრავალმხრივი შემოქმედებითი სიახლის პოტენციის უწყვეტი შევსება ხდება, მთავარზე უმთავრესი რელიგიური პროგრესი კი ადვილად მისაწვდომი იყო და არის.

უზენაესმა დაგვიფაროს და არსებობს თავისუფალი აზროვნების მქონე ასტრონომ-მეცნიერთა გარკვეული ჯგუფი, რომელთა თეორიული ვარაუდები ჩვენთვის დაუჯერებელია; ვითომდა, სამყაროს, საშინელ მოვლენათა გლობალური კატასტროფა, საუბედუროდ, ჩვენი პლანეტისაც, ათეულათასეული თუ ხუთი მილიარდი წლის შემდგომ გარდაუვალიაო, რასაც ქვეყნიერების ურთულესი მოვლენები, პლანეტათა კოსმოსური აფეთქებები და მათი საერთო სისტემიდან ამოვარდნილი გადაადგილებები მოახდენს. უახლოესი სისტემის განადგურების მერმე, დროთა ჟამში, სამყაროს უცხო ძალა და კანონები ყოველივეს თავადვე აღადგენსო (შესაძლებელია ასეც მოხდეს), მაგრამ ჩემი რწმენით და ინტუიციით, რომელიც ყოველ ჩვენგანს მეტ-ნაკლებად გააჩნია, ამ ფორმის მეცნიერული ვერსიები მხოლოდ ადამიანისეული ინდივიდუალური გააზრების წარმოსახვითი შიშის და არა ჩვენეული სევდით სავსე ფანტაზიაა. ამდაგვარ კოსმოსურ მოვლენათა უმკაცრესი პროგნოზირება, გენიათა გონებისთვისაც მიუწვდომელია და მხოლოდ გაუმართლებელი მეცნიერული ვარაუდების დახშულ სფეროში თავსდება...

მოაზროვნე ადამიანებო, ნუ გავუთამამდებით სამყაროს საიდუმლოებათა ზეფანტასტიკურ იდუმალებებს... მიუწვდომელი და ურთულესი წინასწარმეტყველება, უსასრულობის და გალაქტიკების შექმნა ეჭვგარეშეა, უფლის ფუნქციებში შედის და, წარმოიდგინეთ, ამ შემთხვევაშიც გენიათა ზეაზროვნებაც ბოლომდე შეუღწევადია. უთვალავი სამყარო, გალაქტიკები, ზღვაზე ქვიშის რაოდენობის მზის სისტემები და პლანეტები, მომავალში როგორი აფეთქებების ან გადაადგილების ფუნქციებში მოყვებიან, ზემოთ ჩამოთვლილი ასტრონომიული სისტემის აზროვნებაც ვერ ჩაწვდება. და ეს უცნაური მიუწვდომლობა, სამყაროს შავი ხვრელებივით ბნელზე უბნელესი სივრცეა... ესე იგი, ადამის მოდგმა თუ სამყაროს ნებისმიერი ცოცხალი არსებანი ხომ გამოუცნობ ზეციურ კანონებთან თვითდინებითი მორჩილებით მინდობილნი ვართ, როგორც ყოვლისმძლე ცოცხალთათვის ურთულესი კანონების სიკვდილის ძალასთან. ასე რომ, მაგ ჩვენთვის მიუწვდომლობას მხოლოდ სამყაროს ღმერთი წინასწარმეტყველებს, აკონტროლებს, განაგებს და მართავს...

მომავალი ათიათასწლეულების ცივილიზაციის „ათიმცნებელებო“, პლანეტათა ურთულეს მოვლენათა ერთ-ერთი ცოცხალი წმიდათაგანი გახლდათ წმიდა ნინო კაბადოკიელი. ამ სრულიად ახალგაზრდა ქალწულმა, უზომო წმიდანურ ძალთა მეოხებით, ფანტასტიკურად დაუჯერებელი მიწიერი წინააღმდეგობები უფლის ღვთისმშობელის და ანგელოზების უზომო სიყვარულით და რწმენით დასძლია.

უფლის და მარიამ ღვთისმშობლის მეთვალყურეობა-მოდარაჯეობა და მათი უზენაესი მეუფება წარმოუდგენელი ზენა ძალებით ავსებდა და აძლიერებდა ნათლით მოსილ ნინოს. იბერიაში ყოველთა გადამრჩენელი წმიდანი თანდათანობით, როგორც ადამიანად მოსული, საკუთარი თავის დაუზოგავი სარწმუნოებრივი მოღვაწეობით ფიზიკურად უზომოდ იხარჯებოდა.

*„ნინო წმიდა-კაბადოკიელის დათოვლილი უხილავი მძიმე ჯვარი კავკასიონის უმაღლეს მწვერვალზე თვითნებურად აღმართულიყო, წმიდანის ისევ მიუწვდომელი ზნეობის და კანონის სამსჯავრო უხილავ ჯვარცმისაკენ გადაწყვეტილიყო... ზეციური, მიუკარებელ ძალთა კანონი უნდა აღსრულებულიყო... ირგვლივ მოღვაწეთათვის ყოველივე მოულოდნელი იყო და არავინ არაფერი უწყოდა. მხოლოდ მოციქულთა სწორთან გახლდათ სინანულითა და მონანიებით გასაიდუმლოებული, რომელსაც სამყაროსეული ცისფერი საიდუმლო ბურუსი ეფარა...“*

წამებული ხალხისათვის მოწამეობრივი შეწირვები, უმძიმესი გარემო და ურთულესი წინააღმდეგობები უხილავად როზგავდა კეთილ მასწავლებელს!.. უძველესი წარმართობის და მზის თაყვანისმცემლობის რელიგიები არ თმობდნენ პოზიციებს და ეპიზოდურად კვლავ იბრძოდნენ. და მაინც ყოველდღიური თავდადებული და დაუღალავი მოღვაწეობით დღენიადაგ მიიწევდა უფლის სანუკველი საკურთხევლისაკენ და მაცხოვრისეული მარადიულობის უწმინდეს კვალს ტოვებდა იბერიის დიდი სიკეთისათვის უკვე შემზადებულ მხცოვან, უხსოვარდროინდელ ნიადაგზე. ამავდროულად, თვითნებურად, იდუმალი ნისლივით ქრებოდა წმიდანის უმანკო მზის სხივით ნაფერები სხეული, უკვე მიწიერი სნეულებისაკენ მიდრეკილი.

პერეჟავრი სივნელი — წმიდა ნინოს ერთ-ერთი უახლოესი სულისმიერი თანაშემწე იბერიის ერისთავის დედა იყო. სასიკვდილო სარეცელზე მიჯაჭვულ წმიდანს ჰკითხეს:

*„გვაუწყე ჩვენ საქმენი შენნი. დედოფლებს დამოსდიოდეს ნაკადულები ცრემლთანი თვალთაგან მათთა განშორებისათვის მოძღვრისა, მოღვაწისა და სნეულთა მკურნალისა“.*

სულის და სხეულთა მკურნალი, ხომ სამყაროს უსასრულო სისტემიდან ნათლით შობილი და ზეციური განსაკუთრებულობით შემკული ღვთისნიერი ადამიანია, ჩვენი მრავალფერადი სიცოცხლით სავსე პლანეტის საშოში წმიდა ქალწულად ჩასახული. უთუოდ სხვა, განსხვავებული თვისების, სულის და გონების ადამიანი ვერ განახორციელებდა ზეკანონებს და მაღალ ზნეობაზე დაქვემდებარებულ ქრისტიანულ სიცოცხლეს. წმიდა ნინო! — იბერიელ-კოლხთა დედა, სულიერ-გონებრივად განმანათლებელი, დაუზოგავი შრომით და მეცადინეობით, ხშირად ლოცვაში გატარებული უძილო ღამეებით, მშვიდად გაედინებოდა წუთისოფლიდან, მისხალ-

მისხალ, უნიკალური სიცოცხლის წვეთწვეთობითი გაცემით. ამდაგვარი შინაარსის და ღვთიური ფუნქციების შესრულებით, საკმაოდ დაღლილს, უნდა მიეძინა წმიდანისაგანვე რჩეულ უმშვენიერეს ბოდბეში. ამჟამად, მარად განსვენებულს, უსასრულო მოციქულობითვე სძინავს...

და ესეც ხომ უტყუარი კოსმოსური ხატ პროგრამაა უზარმაზარი ღვთიური სისტემისა, ჩვენ კი, ღრმად მორწმუნენი, გაოგნებულები შევცქერით ამ ზეციური იდუმალებით სავსე პროცესს, რომელიც უახლოეს მიწიერ ბუნებასთან, თითქოსდა, სრულიად დამოუკიდებელი მოვლენაა...

* * *

თქვენი მონა-მორჩილი, ამჟამად რაზეც ვფიქრობ და ვწერ, ბიოგრაფია კი არაა წმიდა ნინო კაბადოკიელისა და არცა ჩემი სურვილია, ამდაგვარად ნააზროვნები დავტოვო ფურცელზე. ყოველივე ჩემგან დამოუკიდებელი წმიდათაწმიდა ხილვებია მართლმადიდებლური გონების მეოხებით და კეთილსინდისიერად ჩემს აზრებს ვაფიქსირებ, რათა კეთილ ფიქრთა ზეციური მოგზავნება უკვალოდ არ დაიფანტოს. მაგალითისათვის, დიდ მოვლენებს მოვიშველიებ: სამყაროში არსებული მოდარაჯე ძალებისაგან, შემთხვევით, მიუხედავი მცირე პლანეტებიც ხომ ქრებიან...

ადამიანმა მესამე ათასწლეულის ცივილიზაციის მოეხებით, იმდენად შეიხედა სამყაროს უშორეს სივრცეში, მორწმუნეებმა დოგმათა მკაცრ შეზღუდვებში ზომიერი შერბილებები უნდა შევიტანოთ (რისი დასტურიცაა უწმინდესის, ილია II-ის შემოქმედებითი მოღვაწეობა), რათა თამამად ვიმზიროთ უფლისმიერი აზროვნებით. მაღალი ღმერთის გონება ხომ უსასრულოა და ჩვენც გვაძლევს იმის უფლებას და გაკვეთილს, რომ თანამიმდევრულად მივდიოთ უძვირფასეს ღვთიურ გონებას. ამით, უთუოდ, ჩარჩოებს მიღმა გავალთ. ბიბლია თავისი სწავლებით არ ზღუდავს ჩვენს შინაგან შესაძლებლობებს, თუ ის ჭეშმარიტია. თავად ზოგჯერ გვაწვდის საკვირველ მოვლენებს... ერთ დროს (განსაკუთრებით კათოლიკურ სამყაროში), ეკლესიის მესვეურებისაგან დევნილი, ინდივიდუალური ღვთის ნაშობი შემოქმედებითი სიახლეები, დღეს ცივილიზაციის მთავარი ძალა და მიღწევათა მწვერვალია, რომელიც ნებისმიერ სარწმუნოებას უფრო აღრმავებს — აძლიერებს და ფანატიზმის მარწუხებს ამსხვრევს. ნაწილ-ნაწილ ჩვენეულ დოგმებსაც სჭირდება ათასწლეულის შემადარი ღვთიური შეგონებები. წინააღმდეგ შემთხვევაში, სავალალოდ გაგვისწრებს პლანეტის ცივილიზაცია და ღვთიური აზროვნება. ჩვენ ირგვლივ, რწმენის გონებრიობა უნდა იყოს ერთიანი და მთლიანი, ღმერთის უკიდეგანო ნიჭიდან გამომდინარე. ეჭვს გარეშეა, ღვთიური სამყაროსეული გონება, ნებისმიერ ადამიანურ ნიჭზე და ცივილიზაციაზე დიადურია, რაც მარადის წინამძღოლი იქნება ნებისმიერი მეცნიერული მიღწევებისა. თქვენ კი, ძლიერნო ამაქვეყნისა, ნუ ჩაგვკეტავთ თქვენეულ ინდივიდუალურ გონებაში... ამიტომ, ვიმეორებ, თანამიმდევრულნი ვიყოთ, თავისუფალნი, შედარებით V ან VIII საუკუნეების აზრთა ქმნადობითობისა. მაშინ, რა თქმა უნდა, დროთა მოვლენებს ჰარმონიულად მიჰყვებოდა ქრისტიანული მოძღვრება და მორწმუნე საზოგადოება. ამის ყველაზე მართალი დასტურია იბერიულ-კოლხურ და ბიზანტიური ფრესკები. ყოველი საუკუნის ხატები და კედლის მოხატულობა, პირდაპირი გაგებით, თავისი საუკუნის სულიერ გონებრივი პორტრეტია. სადაც სული ჭარბობს, იქ შემოქმედებითი აზროვნების სიახლეები იხატება (ჩანს), რადგან სული ჩვენგან დამოუკიდებელია, ზეციური შემართებისაა და ღმერთთან უფრო ურთიერთობს... წარმოიდგინეთ, იმ შორეულ საუკუნეებშიც, ღვთის თავისუფალი შემოქმედებითი გონება მისხალ-მისხალ აღწევდა ადამიანის გონებამდე და იყო ძლიერი რელიგიურ-შემოქმედებითი პროგრესი...

* * *

*ღია ცის ქვეშ, მინდვრად, მწიფე ბროწეულის ბუჩქის ძირას, ლურჯი ქვის სასთუმალზე მიძინებულ წმიდა ქალწულს სავსე, ვერცხლისფრად მოკიაფე მთვარე ზეციური სიფაქიზით თავს ევლებოდა, ცელქი ვარსკვლავები კრთოდნენ და შორიშორს ციმციმებდნენ. ამ დროს წმიდანს მშვიდ ძილში მაცხოვარი გამოეცხადა ჩალისფერი მოსასხამით: — კეთილო ასულო, ჩემი და მამის სხივმოსილებით თამამად შეხვალ შენთვის უცხო ქვეყანაში და იქადაგებ... უდიდესი მისიით მოივლი იბერიას... დედაჩემის წილხვედრ ქვეყანას ნდობით მოაქცევ მამის, სულიწმიდისა და ძე ღვთისას რჯულზე და მარადიულ შორეულ სივრცეებში გამავალი ზეფუნქციაც დაგევალება. შემდეგი შეგონებანი მაცხოვრისა წმიდანისადმი ჩვენთვის შორეულია და მიუწვდომელი...*

„მიეძინა... ერთ წალკოტში მიეძინა
და ფშატებმა მზისგან მოუჩრდილეს. ო,
ეს... ვინ არი, გამოცხადდა მგზავრის წინა?
— „ნუ გეშინინ!“ — მიუგებდა იესო...“

ამჟამად სარწმუნოების მასწავლებელი ბოდბეში მუდამჟამიერ კოლხ-იბერიელთა და ყოველთა რწმენად მშვიდად ისვენებს სამარადისოდ, უფალი ღვთისმშობელი და ანგელოზები ძლიერ თანამდგომლობენ მას და ჩაუქრობელი ზეციური ნათებაა წმიდა ნინოს საფლავზე... მაღალქრისტიანული უკვდავი სული კვლავინდებურად ებრძვის უღმერთობას და საერთო ბოროტებას... მართლმადიდებელი ქვეყანა კი მოწამედ უდგას თავის სათაყვანებელ ზეციურ ღვთიურ სიმბოლოს... მწყემსი კეთილის უკვდავი სული და აზრი კვლავინდებურად ებრძვის უღმერთობას და ეშმაკეულ ბოროტებას. უთუოდ ათასეული წლების განმავლობაში იმოქმედებს მუდმივი მოქცევებით და განახლებებით...

იბერთა განმანათლებელი ბოდბეში ზეციურ ჰარმონიით ისვენებს, სრულიად იბერია-კოლხეთში კი დიდსულოვანი წმიდანის ჩამობრძანებული ძველი და ახალი აღთქმა და „ათი მცნება“ უფლის, ღვთიური მოსეს, ძალისხმევითა და სიკეთით გვმოძღვრავს.

დედა წმიდა კაბადოკიელს სიკვდილი თითქოსდა გაურბოდა, მაგრამ ყოველთა უკეთური და მომთოკავი ძალა, ჯიუტად თუ მისდა უნებურად, წმიდანთან მაინც ცდილობდა მიახლოებას...

*„იხილეს საკვირველი იგი, ნათელითა ბრწყინვალეი სუეტი იგი ჩამოვიდოდაო ადგილად თვისსა“ მეფე მირიანმა „ნათელი ბრწყინვალებისაი იხილა მსგავსად ჯვარისა... განუნათლა ბნელი იგი ნიშანმან ჯვარისამან წინაშე თუალითა მისთა“.*

* * *

დროის უსასრულობაში ემბაზი წმინდანი მოდიოდა ბარად — მთებით და კეთილად დაემგზავრნენ იბერიის მკვიდრნი: წმიდა ნანა დედოფალი, წმიდა მირიან მეფე, სამღვდელოება, ვახტანგ გორგასალი, წმიდა დავით მეოთხე, წმიდა თამარი და მრავალი მეფენი ბაგრატოვანთა გვარისა, ასევე დადიანები, გურიელები, დადეშქელიანები, შარვაშიძეები, ბრძენთაბრძენნი, მეცნიერნი ფილოსოფოსნი, გენიალური შოთა რუსთაველი, პეტრე იბერი, ოპიზრები, ხატმწერები, ხუროთმოძღვრები, დავით გურამიშვილი, წმიდა ილია მართალი, ვაჟა-ფშაველა, აკაკი, გალაკტიონი, გრანელი, ნიკო ფიროსმანაშვილი, გრიგოლ რობაქიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, ანნა მგოსანი, ქვეყნის საყრდენი ძალა სხვადასხვა წოდებისა და მოჭირნახულე მრევლი სრულიად, წმიდა ნინოს იბერია-კოლხეთისა...

ბრძენი ნინო იშვიათად, მაგრამ როცა საეკლესიო აუცილებლობა მოითხოვდა, წინასწარი შეთანხმებით, სამეფო სათათბიროს დაესწრებოდა ხოლმე. ერთ-ერთ დარბაზობაზე თხოვნით მიმართა წმიდა მირიან მეფესა და წმიდა ნანა დედოფალს (წმიდა ნინოს დარბაზობისას, მირიან მეფის ახლოს დააბრძანებდნენ, რათა პატივი მიეგოთ წმიდანისათვის...):

— ჩვენი საქრისტიანოსათვის აუცილებელია, მეფეო, მცხეთიდან და უჯარმიდან ამჟამადაც შერჩეულ იქნეს ნიჭიერი და ფიზიკურად რჩეული ახალგაზრდები, მომავალი ხუროები, ქვის მთლელები, ორნამენტისა და ჩუქურთმების ამომქარგავნი, მხატვრები და თეოლოგიური, რიტორიკული თუ ფილოსოფიური ცოდნის შესაძენად მივავლინოთ კონსტანტინოპოლს, კოლხეთ-ფაზისის აკადემიას, რომს, კაიროს და ანტიოქიას, აგრეთვე ხუროთმოძღვრებასა და ხატწერაში დასაოსტატებლად. როგორმე მოვიზიდოთ და მათთან ერთად გავგზავნოთ ლაზები, ტრაპიზუნტიდან, კაბადოკიიდან, ასევე შესაძლებელია ქალაქ აიაში, დიოსკურიაში და ქალაქ არქეოპოლისშიც მოიძიოს ჩვენთვის შესაფერისი და საინტერესო პიროვნებები. — ღირსი ნინოს წინადადება დარბაზის სათათბიროზე ერთხმად იქნა მიღებული. ხარჯებს კი სამეფო ხაზინა გაიღებდა. ახალგაზრდა დედებს — მონაზვნებს თავადვე წმიდანი ამზადებდა. წარმოიდგინეთ, უკეთესი მოძღვართა და მქადაგებელთა სკოლა სად უნდა ყოფილიყო, იერუსალიმის ჩათვლით — ერთიან საქრისტიანოში. სასულიერო პირების უცხოეთში მომზადების საკითხი დადებითად უნდა მოგვარებულიყო, რადგან გარკვეული დროის შემდეგ, რამდენიმე ახალგაზრდა მცხეთელი და უჯარმელი მოძღვარი უკვე წარმატებით მოღვაწეობდა წმიდა ნინოს სამწყსოში. მათგან ორი მოძღვარი კონსტანტინოპოლიდან ჩამოიყვანეს, ლაზები იყვნენ, ბერძნულ, არაბულ და სპარსულ ენებზე მოსაუბრენი. ზოგს უკვე მთარგმნელობითი მოღვაწეობაც დაეწყო...

სათათბიროს დიდებულებიდან, ხუროთმოძღვართა და ხელოსანთა წინამძღოლმა საგანგებოდ განაცხადა: — ჩვენ ქვეყანაში გვყავს მშენებლები და ხუროები, რომლებმაც სანაქებო დახელოვნება მიიღეს კაიროში, ბიზანტიაში, ანტიოქიაში, სპარსეთში; მათ იბერიაში საფორტიფიკაციო ციხეების, რელიგიური ნაგებობების, ასევე ქალაქთმშენებლობაში უდიდესი შემოქმედებითი ღვაწლი მიუძღვით. არა აქვს მნიშვნელობა, წარსულში რომელ პერიოდს ემსახურებოდნენ. ასე რომ, ამ სფეროში, წმიდა დედაო, დიდი გამოცდილების ხალხი გვყავს და ისინი ადვილად აითვისებენ თანამედროვეობის არქიტექტურას თუ რელიგიური ხელოვნების ნებისმიერ დარგს.

ისევ, მცირე პაუზის შემდგომ, წმიდანის ხმამ კეთილხმოვნად გააჟღერა დარბაზში: — რჩეულთაგან უნდა იყვნენ მხოლოდ ღრმად ქრისტიანი მორწმუნეები! ჩვენ გვჭირდება საეკლესიო ხუროთმოძღვრების ღირსეული მშენებლები და უაღრესად განსწავლულნი, მართლმადიდებლური რწმენით აღჭურვილი ხატმწერები, კედლის მხატვრობის — ფრესკების შემსრულებლები. ჩვენვე გვეყოლება ჭედურობის, მინანქრის, მინიატურის და საეკლესიო წიგნების გადამწერი კალიგრაფები, რა თქმა უნდა, ნიჭიერად თარგმნილი წიგნების გამავრცელებლები.

დედა წმიდანმა გადახედა დარბაზს, ვაზის ჯვარი ბრწყინვალებით ზევით აღმართა და ისევ გააგრძელა ქადაგება: — მართალია, კონსტანტინეპოლიდან ჩამობრძანებული შესანიშნავი ბერძენი ხატმწერები უდიდეს გამოცდილებას და ცოდნას უზიარებენ ჩვენს ახალგაზრდებს, მაგრამ აუცილებელია, როგორც მოგახსენეთ, რჩეულთა შორის რჩეულებმა ბიზანტიის აკადემიებში გაიარონ სწავლება, უთუოდ ხელოვნების ყველა დარგში ჩვენ უნდა გვეყოლოს ჩვენივე ხალხი, რათა ჩამოყალიბდეს იბერიული ხასიათის შესადარი სამხატვრო სკოლა. შორეული ქვეყნიდან გადმონერგილი ხელოვნება ჩვენთვის, ამ მიმართულებით, მიუღებელია. ყოველმხრივ გამოკვეთილი ჩვენეული ცივილიზაცია, ჩვენვე უნდა შევქმნათ და უფლის ნებაც ესაა...

მდუმარე ფიქრად სიჩუმე ჩამოვარდა დარბაზში: — ყველა ზომა მიღებულ იქნება, წმიდაო დედაო! — გაისმა წმიდა მირიან მეფის მტკიცე დასტური. შემდგომ წმიდა ნინომ წმიდანთ — მეფე-დედოფალს და დარბაზს (სათათბიროს) თხოვნით მიმართა: მოაწია ღვთის ჟამმა შემდეგი ლოცვისა და გთხოვთ, სალოცავში დავბრუნდებიო. დარბაზის წევრნი უკლებლივ ფეხზე წამოდგნენ და წმიდანი იბერიისა თავაზიანად გააცილეს თავის მხლებელ მორჩილ დასთან ერთად. წმიდანმა ჯვარი გადასახა დარბაზს და თავდახრილი გასასვლელისკენ გაემართა.

გზაში შემხვედრი დიდი თუ პატარა კურთხევას სთხოვდა. წმიდანი ყველას ლოცვის მადლს მიაგებდა. ამ დროს წინ გადაუდგა შავებში ჩაცმული ქალბატონი, უცნაური შეხედულების ყმაწვილის ხელი მაგრად ეჭირა და დაუჩოქა წმიდანს. — მძიმე ფორმის ბნედა სჭირს ჩემს შვილს და მომირჩინე, მკურნალო დაო, — არეული ხმით ევედრებოდა წამებული დედა წმიდა ნინოს. — საღამოს ლოცვის შემდეგ მოდით ჩემთან, ღვთის შვილებო, — და წმიდანმა გზა განაგრძო. — მომირჩინეთ შვილი, გევედრებით, — ტირილით და მოთქმით მერამდენედ იმეორებდა ავადმყოფი ბიჭის დედა. — დინჯად შემოტრიალდა ნეტარ ნინო და ყოველმხრივ დამაჯერებელი კილოთი მიუგო: — ღვთის შეწევნით, უფრო მძიმე ავადმყოფები მომირჩენია, კეთილო ქრისტიანო. აუცილებლად მეახელით მწუხრისას!

* * *

მზიანი გაზაფხულის შაბათი დილა იდგა, მცხეთის წმიდა ეზოს კარს ღარიბულად მორთული, ოთხმოც წელს მიღწეული კეთილი დედაბერი მშვიდად მიადგა ათი-თორმეტი წლის ცისფერკაბიან გოგონასთან ერთად. მათ ბზის ჯვრები ესვენათ გულ-

მკერდზე. მხიარული სახის მოზარდს ბრტყელძირა და თავღია თხილის წკნელისგან მოწნული კალათა ორივე ხელით მოჰქონდა, საიდანაც წიწილების წიავის მიყრუებული ხმა ისმოდა. მუქი ჩალისფერი მზრუნველი კრუხი, თავის საყვარელ ბარტყებს გადაფარებული, გაფხორილი და გაგულისებული იქითაქეთ იმზირებოდა, ზოგჯერ შეხმიანდებოდა თამამი და ბრაზიანი კრიახით.

— ჩვენო კეთილო დებო, სენაკში თუ ბრძანდებით, რომელიმე თქვენგანმა გამოგვხედეთ, — წმიდანის ეზოს შესასვლელი კარიდან მორიდებით შეეხმიანა სტუმარი ქალბატონი. ქვითა და კირით ნაგები სახლის წინ მდგარი ტანმსხვილი კაკლის ხის ჩრდილში უდარდელად მწოლიარე ძაღლები ყურადღებას არ აქცევდნენ. მხოლოდ ერთი ბომბორა და ხნიერი ძაღლი აკვირდებოდა ყურადღებით გარემოს, ალბათ მათგან ყველაზე ფხიზელი და ჭკვიანი უძილარა იყო, რომელიც მარჯვენა თათით ცხვირიდან რაღაცას იშორებდა...

შემომწირველის ხმაზე მონაზვნებმა, — სტუმარი ღვთისააო, — მიუგეს მოსულ მოკეთეთ. მუქი ლურჯი ფერის ფუთით, სულიერ დებთან მოსაკითხი, რამდენიმე ქათმის კვერცხი და თაფლის სანთლები, ორივე ხელით თბილად ეკავა დედაბერს.

— ქრისტიანული რწმენის მასწავლებელი სალოცავში თუ ბრძანდებაო, — ოდნავ დაბალი ხმით იკითხა.

— არა, ქალბატონო, წმინდანი შინ არ გახლავთ. — ამასობაში ორი მონაზონი უმალ გამოეგებათ საკმევლის სუნით გაჟღენთილი სენაკიდან.

— ეს რა არის? როგორი საყვარელი ძღვენით მოსულხართ, კეთილო ქრისტიანებო?! — თქვა გაკვირვებულმა ერთ-ერთმა სულიერმა დამ.

— კრუხია თავისი ახალგამოჩეკილი წიწილებით, გაზარდეთ, გეთაყვა და თქვენი ეზოს მშვენება იქნება. ოცდაცამეტი პატარა სათუთი სულდგმულია. დედა, როგორც ხედავთ, ჩალისფერია და უმეტესობაც მას დაემსგავსება, უახლოეს დროში დაფრთიანდებიან და მონასტერში გამოიყენეთ, ზოგ მათგანს კი უპოვრებსაც დაურიგებთ, ჩემო სულიერო დებო, — თხოვნაგარეული მოწოდებით მიმართა წლებმრავალმა ქალბატონმა..

მოციქულთ სწორი რამდენიმე სულიერ დასთან ერთად, ალიონის ლოცვის შემდგომ, უძველეს წარმართულ სასაფლაოზე გასულიყო მცხეთელ უერთგულეს მრევლთან ერთად. წმიდანსა და დებს ადგილზე ასობით ჭირისუფალი დახვდათ. ამ საგანგებოდ შერჩეულ დღეს, უძველესიდან უახლოეს დრომდე მოყოლებულ მიცვალებულთა საფლავებს შენდობისა და მოხსენიების პანაშვიდს უხდიდნენ. ზოგ სამარხზე მოყავისფრო ქვის — ცხვრის ნატურალური სიმაღლის ქანდაკებები იდგა, გვერდებზე სხვადასხვა სიმბოლური ნიშნების გამოსახულებებით. მათგან რამდენიმე ძეგლზე, გაშლილი თითებით, მარჯვენა ხელის მტევანი იყო გამოსახული, დამადასტურებელი იმისა, რომ მის ქვეშ მწოლიარე თავის დროს გავლენიანი ხელისუფალი და აზნაური ყოფილა. ხოლო დანარჩენი მიდამო სადა და უბრალო, ბრტყელზედაპირიანი, სქელი, ხავსმოდებული, ნაცრისფერი საფლავების ქვებით იყო განაწილებულ-მოფენილი.

მრევლო ჩემო, რომელიმე საფლავის ქვაზე თუ შენიშნავთ წარმართულ კერპთა გამოსახულებებს, ჩემი სახელით მოიწვიეთ რამდენიმე ქვისმთლელი და ყველგან წაშალონ, გაასუფთაონ და მათ ადგილას ჯვარი პატიოსანი ამოტვიფრონ. ამდაგვარად, ჩემო ქრისტესმიერნო, ნებისმიერ მიცვალებულთ გავათავისუფლებთ უსასრულო წარმართული მწვალებლობისაგან. ცხოველთა გამოსახულებიან ისტორიულ ქანდაკებას, მითოლოგიურს და სანახავად უხერხულობაში ჩამგდებ სიმბოლიკებსაც ხელი არ ახლონ, — ბრძანა მწყემსა კეთილმა, — ისინი ხომ შინაარსობრივად თუ ფილოსოფიური გააზრებით, დედამიწასთან, ზეციურ უშორეს და უახლოეს პლანეტებთან სულიერი მისტიკით ურთიერთთან ძალიან ახლოს იმყოფებიან, რომელთა კოსმოსური მთლიანობა უფალთანაა შერწყმული.

საღამოჟამს, წმიდანი და მონაზვნები საკმაოდ დაღლილები შინ რომ დაბრუნდნენ, დებმა საკვირველი საჩუქარი დაახვედრეს და ზედმიწევნით გაიხარა წმიდა ნინომ, ღმერთმა დალოცოს მათი კეთილი ბუნებაო. მერმე საათობით ეჯდა კრუხ-წიწილებს, უმზერდა და სულიერად ისვენებდა. — ამათ საკენკი და წყალი არ მოაკლოთ, დებო! გაიზრდებიან და დამშვენდებიან. ღმერთის წყალობაა ყოველივეო, — წარმოთქვა წმიდანმა...

* * *

დრო გადიოდა, რამდენიმე ნიჭიერი ახალგაზრდა გაგზავნილ იქნა კონსტანტინოპოლს, სამი რჩეული ვაჟკაცი კი რომს მიავლინეს. გარკვეული დროის შემდეგ ყოველ მათგანს ელოდნენ, რათა კოსმოსიდან დამუხტულ ჯვარდებულ ადგილებში აღემართათ ქრისტეს ტაძრები, ფრესკებით მოეხატათ, საკურთხევლები და კანკელები დაემშვენებინათ იბერიელ კოლხური ხატებით, როგორც ფიცარზე შესრულებული, ასევე ოქროს და ვერცხლის ფირფიტებზე ჭედურობის ნიმუშებით, მოწმენდილი ცის სიღრმისეული მინანქრებით. ამგვარად საფუძველი ჩაეყრებოდა ბიბლიის და სახარებათა თარგმანებს, წმიდა წიგნების მინიატურებით შემკობას, ასევე სხვადასხვა მხატვრული ფორმების დანიშნულების და თვისების ჯვრების შექმნას.

იბერიის მოწმენდილ ცაზე ქრისტიანული მზე უკვე მძლავრად ანათებდა ქვეყნისა და ხალხის გადასარჩენად; აქედან გამომდინარე, წმიდა მეფე მირიანმა უძლიერეს იმპერიასთან მტკიცე ქრისტიანული და სახელმწიფოებრივი ურთიერთობა დაამყარა. მცხეთიდან, უჯარმიდან, ფაზისიდან, ტრაპიზუნტიდან, არქეოპოლისიდან და დიოსკურიიდან ოქროს გზა გაყვანილ იქნა დიდ კონსტანტინოპოლამდე. პლანეტა ჩვენი სრულიად ახალი და ჭეშმარიტი ღვთიური ზნეობით შეიმკო...

*გაავებულსა და დამარცხებულ სატანას არ ეძინა, ფსიქიკური მოუსვენრობა შეჰყროდა უკურნებელი...*

*ჯვარი — მომლოდინე ყველგან იდგა, მზით ანთებული...*

ერთ-ერთ ბედნიერ დღეს, როდესაც რამდენიმეკაციანი ჯგუფი უცხოეთს მიემგზავრებოდა სწავლის მისაღებად, ასეთნაირად უქადაგა მათ ბრძენმა მასწავლებელმა: — ჩვენნო მომავალნო! ყოველმხრივ ეცადეთ, სული უახლესი აღზარდოთ ქრისტიანულად: განიწმინდენით და გაასპეტაკეთ. მერმე ის ნათელი ყოველმხრივ დაგეხმარებათ, თქვენი ხორციელობა რომ დაიმორჩილოთ და მართლმადიდებლურად იცხოვროთ. როდესაც მი-

აღწევთ სულისა და ხორცის ჭეშმარიტ ქრისტიანულ ჯანსაღ ჰარმონიას, შემდგომ გაგიადვილდებათ ათი მცნებით ამქვეყნიური ცხოვრება. გამწმენდი, გონმმართველი ზნეობრიობა იქნება უმთავრესი, რწმენა, სიკეთე, სიყვარული და მშვენიერების შეგრძნების ნიჭი და ძალა, რასაც თან სდევს სიბრძნე — ამ ხუთი უდიდესი ღვთიური რაობის საუფლოდ უნდა იქცეს ყოველი თქვენგანის პიროვნული „მე“...

ღვთივ მდიდარი სულიერებით მრევლის წინაშეც ხშირად ქადაგებდა წმიდანი: თქვენი მთავარი მიზანია, განიწმინდოთ წარსულის უხეირო ჭუჭყისაგან. ზედმეტ მიწიერებას უნდა განერიდოთ, ბევრი კარგი და ზეადამიანური შორეულიდან კი მოგყვებათ, მაგრამ ნებისმიერი თქვენგანის მეორედ წმიდა დაბადებაა მაცხოვართან მისვლა, მორჩილება და უსაზღვრო სიყვარული...

ზოგჯერ დებისგან სევდიანად განმარტოვდებოდა ღირსი წმიდანი და თავისთავთან ჩუმ, ნოსტალგიურ საუბარს გამართავდა. უახლოეს სულიერ დას ყველაფერი გარკვევით ესმოდა. დედა! ჩემი მამა! შეწირული. ძვირფასი კაბადოკია და სათნოებით სავსე ბავშვობა, ჩემთვის ღვთიური საუფლო იერუსალემი: საოცრება-კოსმოსური ცენტრი მაცხოვრის საფლავი: ჩემი წინამძღოლი ღვთისმშობელი. კეთილი და უახლოესი ებრაელები! იბერიელებივით მტრისგან უდანაშაულოდ აწიოკებულნი. მათთანაა პირადი შეწირვა, მაცხოვარი და ბედნიერება. იხსენ ქვეყანა, უფალო! ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამ სიტყვებს წარმოთქვამდა. მართლაც, წამებული წმიდანის თითო-ორი ცრემლი გაიალმასებდა ნაღვლიან თვალებთან...

* * *

*იმედი ნინო მოდიოდა და ფეხდაფეხ მიმნდობი უძველესი იბერია მოჰყვებოდა...*

ამ დროს, ცის კაბადონზე, არნახული მკვეთრი ფერთა გადაადგილება შეინიშნებოდა, რითაც ქვეყანას ეუწყა, „ყოველთა მფარველი ანგელოზები უნდა გამოცხადდნენო“...

*„გველთ მკრთალი გროვა, მზე და მთვარე, ცისფერ ფარდაგზე ერთად დაწოლილიყო. აფორიაქებული ვარსკვლავები გარს ეხვივნენ მარად მოფუსფუსე ჭიანჭველებივით. ნაცრისფერგადაკრული, ტანდაგრეხილი ბებერი ლეღვის ჩრდილში ყვითელმომწვანო ფერის ხვლიკები უდარდელად თვლემდნენ, მწვანე, წითელთვალება ვასაკას მკაფიო იდუმალი შეძახილი არღვევდა გარემოს მისტიკურ მყუდროებას. მუხის ფუღუროში საოცრება ველური ტანჭრელი ფუტკარი დაოჯახებულიყო და გარემოს ყოველწუთიერი დასაქმების მაგალითს უჩვენებდა.*

*დრო მკაცრი გადიოდა... ირგვლივ მგალობელი ფრინველები დამატკბობელი ჰანგებით სალამურობდნენ. ერთ-ერთ ბორცვზე ზეცისკენ მზირალი ადამიანების დიდი ჯგუფი იდგა, მათ ირგვლივ გალაღებული ცხენები და ძაღლები წრიულად დარბოდნენ. ამ უცნაურ სეირს შორიდან მისჩერებოდა თვალებანთებული მგლების ხროვა...“*

წმიდა ასულმა რომ იხილა და მოისმინა ყოველივე, გაეღიმა და თქვა: — ხილულ და უხილავ ქვეყანაზე როგორი მიწიერი საოცრებები და ზეციური მშვენიერებანი შექმნაო უფალმა. მერმე სიმშვიდემოგვრილმა წმიდანმა შინდისფერი მანდილი მოიხსნა, რომელზეც ჩალისფერი ჯვარი იყო გამოსახული და მზრუნველად გადააფარა მათ. უმალ წამებული იესო ქრისტეს სულის ანდამატური სურნელი მოედო გარემოს და ფერი იცვალა ცამ, მიწამ და გარემომ...

იესოს კვართის მცველი გაზაფხულის ყვავილებაფეთქებული ჯანსაღი მაყვლის ბუჩქივით მოდიოდა მშვიდად, იბერიის მთავარქალაქ მცხეთისკენ იესო ქრისტეს საოცრება კვართის მოსანახულებლად და თავდადებულ დარაჯად. წმინდანის უზარმაზარი ფუნქციის ეს მაცხოვრისეული მატერიალურ-იდეალური სიმბოლო რწმენის ერთადერთი ღერძთაგანი გახლდათ...

იგავმიუწვდომელი ნინო მოდიოდა! არ ეშინოდა და არაფერი არ აბრკოლებდა... თექვსმეტი წლის უმანკო ქალწული ბიბლიურ-სახარებისეული ცოდნით და ღრმა რწმენით, წმიდანური უძლეველობით ცხადდებოდა; ღვთიური მთლიანობის და იესო ქრისტესეული სიყვარულის მადლს მოაბრძანებდა. მოციქულთსწორი შეუპოვრად ევლინებოდა და ელვასავით აპობდა წარმართულ ბნელ გარემოს, შეუპოვარი წმიდანი შემოიჭრა მძლავრსა და ბარბაროსულ სივრცეში, როგორც სანთლის შუქი ბნელითმოცულ მღვიმეში და იესო ქრისტეს ღვთისნიერი ენერგიის შუქით შემოსა დაუსაბამოდ, რითაც გამოჩნდა ბარელიეფები, გორელიეფები, ქანდაკებები, ბიუსტები, პორტრეტები და შორს მზირალი საკვირველი პროფილები ანგელოზებისა, წმიდანებისა, შიგადაშიგ მიწაზე შავი ლაქები შეინიშნებოდა უადგილო...

წმიდანი მეგობარ სომხებთანაც, იესო ქრისტეს მოძღვრების სწავლა-ქადაგებას, იბერიელების და კოლხების დარად ავრცელებდა და ყველგან მაცხოვრისეული სიკეთე — მადლი და სიყვარული იესო ქრისტესმიერი ღვთიური თვისებით მოეფინებოდა.

შორეული სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვეყნებში ცნობილი სომეხი მოგზაური, ვაჭარი და სოვდაგარი კაიროს, კონსტანტინოპოლის, ტრაპიზუნტისა და ფაზის-არქეოპოლისის შემოვლით ქალაქ მცხეთას ეწვია. თანვე ახლდა რამდენიმე ცხენოსანი, მძიმედ შეიარაღებული დაცვა, შეგირდები და ტვირთმზიდავი ორი აქლემი. ასე რომ, შორეული ქვეყნებიდან მომავალი ქარავანი სერიოზულ ძალას და თავისებურ სრლუყოფილ საერთაშორისო ფორმას წარმოადგენდა.

დიდი სოვდაგარი ძირითადად ბრილინტებზე, ალმასებსა და ოქროზე ვაჭრობდა, ძვირფასი ტყავი და ქსოვილებიც შედიოდა მის საფონდო შემადგენლობაში. ზოგჯერ უნიკალურ ეგვიპტურ, ბერძნულ და რომაულ ხელოვნების ნიმუშებსაც გამოიყოლებდა ხოლმე, უფრო მეფეთათვის და დედოფალთათვის მისართმევად ან დიდებულებთან მორიგებაგარიგების მიზნით... ყოველივე დაახლოებით ამდაგვარი საქმიანობა გახლდათ, თუ ვინმეს ზოგადად მაინც გაეგო მასზე. დანარჩენი მოღვაწეობა სახელმწიფოებრივ მიწერ-მოწერებში და მეფეთა სიტყვიერ გარჩევა-შემოთვლებში თავსდებოდა. თითქმის ორი დღით, წმიდა მირიან მეფესთან დანიშნულ დროს გამოცხადდებოდა. მათი საუბრები, თუ უცხოური ნაწერების გარჩევა, დახურულ საიდუმლოებაში რჩებოდა. აქვე მინდა გაუწყოთ, რომ სოვდაგარი სურენი მსოფლიოში წამყვან რამდენიმე ენას სრულყოფილად ფლობდა. იმდენად სერიოზული საქვეყნო და საერთაშორისო გავლენა ჰქონდა ამ პიროვნებას, რომ რომელიმე სახელმწიფოს ელჩის

ფუნქციებსაც კი უტოლდებოდა.

მერმე, როცა მეფესთან მოითავა სახელმწიფოებრივი საქმეები, წმიდა ნინოს ეახლა თავის სენაკთან ახლო მდგარ ეკლესია-სამლოცველოში.

სოვდაგარი სურენი საშუალო ტანის და მკვრივი აგებულების, ორმოცდაათ წელს მიღწეული მამაკაცი გახლდათ, ხშირი ხუჭუჭი შავი თმით, ფართო წარბებით, მომწვანო-მოყვითალო-მოშავო ფერის კანით, ცისფერ-მწვანედ შერწყმული ჭკვიანური, ცოცხალი, მაგრამ ცბიერი გამოხედვის თვალებით. უხდებოდა კოხტად ჩამოვარცხნილი ოთკუთხა ხუჭუჭა წვერი. ძვირფას ოქროს ჯვარს ატარებდა. საუბრისას უფრო თვითონ იძლეოდა შეკითხვებს; პასუხს ძუნწად და მოზომილად გასცემდა ნებისმიერს; მისი სხეული ძალიან ფრთხილი ადამიანის ხასიათს გამოხატავდა. მხოლოდ ერთი, ლალისთვლიანი ბეჭედით და რომაული ბრტყელი, ორპირა ხანჯლით დადიოდა. შესანიშნავი მოხანჯლურის სახელი ჰქონდა გავარდნილი. როგორც კი ქრისტიანობა მიიღო, დაკანონებულ ერთცოლიანობას შეეგუა... დაუღლელი ბუნების კაცი იყო... სომხეთის თითქმის ყველა საეკლესიო პირს იცნობდა და საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა. ეჩმიაძინთან ახლოს, თავისი ხარჯებით, ორი ულამაზესი ბაზილიკა ააშენა ფერადი ტუფის ქვისგან. ნაღდი პატრიოტი გახლდათ უძველესი — ძირფესვიანი სომხეთისა...

ბრძენმა წმიდანმა და ძვირფასმა სტუმარმა ბევრი ისაუბრეს სომხეთში ქრისტიანობის გავრცელების თაობაზე და სურენმა დინჯად განაგრძო მოყოლა, რომ კარგად მიდისო სომხეთში ეკლესიათა მშენებლობა, ასევე რელიგიური სწავლა-განათლების საკითხი. მჭიდრო კავშირი გვაქვსო დამყარებული ბიზანტიასთან, ანტიოქიასთან, არაბეთთან, სპარსეთთან თავისთავად.

საეკლესიო წიგნების მთარგმნელობითი საქმიანობა სასიკეთოდ თუ დაიძრაო? — წმიდანი მხოლოდ ქრისტიანულ და საეკლესიო თემაზე ეკითხებოდა. — ყველაფერი კარგად მიდის, სულიერო დაო! — იყო პასუხი. — უფლის და ბიზანტიის იმპერიის მეოხებით, ჯერჯერობით მშვიდობა სუფევს ქვეყანაში.

— მადლობა უფალს! — დაამატა წმიდანმა. — მე მჯერა, მთარგმნელობითი საქმე კარგად წავა, რადგან ორთავე ერის დამწერლობა უძველესია. კერძოდ, კოლხურ-იბერიული ძალიან შორეულია. ებრაულ-ბერძნული სწავლებიდან შემიტყვია, ჩვენ წელთაღრიცხვამდე უკვე არსებულა, დაახლოებით მეხუთე საუკუნიდან; მაგრამ აქ ავბედითმა ისტორიამ, კერძოდ იბერიელები ოთხი საუკუნე არამეულ (სემიტურ) — სპარსულ დამწერლობაზე გადაიყვანა. მერმე მოდის ღვთივმოვლენილი მეფე მირიანი და მან სამომავლოდ ააღორძინა უძველესი იბერიულ-კოლხური დამწერლობა, რამაც დიდი სამსახური გაუწია ქვეყნის ქრისტიანული ლიტერატურის, ბიბლიისა და სხვა მრავალი რელიგიური წიგნის თარგმნას...

ამასობაში ისტორიულად ამეტყველდა სურენ დიდებული და განმარტა:

— სომხები! უძველესი დროიდან არამეულ-სპარსული დამწერლობით სარგებლობდნენ და დღესაც ძალაშია, წმიდაო ნინო! მაგრამ ქრისტიანობის მიღების მერმე, სომხური ეკლესია, უფრო ბერძნულ-ლათინურს ხმარობს.

— მთავარია, ხალხს — მრევლს ესმოდეს, — დასძინა წმიდანმა, — გარკვეული გახლავართ მაგ საკითხებში და მინდა გაუწყოთ, გარდა მწიგნობრობისა, მე სხვა დამაჯერებელი წყაროებიდანაც მომეწოდება ყოველივე, როგორც იდუმალი, ასევე რეალური... უფლის სახელით, ჩემი თხოვნაა, ქვეყანაში მართლმადიდებლობა განამტკიცოთ და გააძლიეროთ, სომხები მშრომელი და ნიჭიერი ხალხია, იმედი მაქვს, იბერიელებისა და კოლხების არ იყოს, მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ქრისტიანული სახელმწიფოთაგანი გახდება.

წმიდა ნინო. ხატმწერი რეზო ადამია

მოკლე პაუზის შემდგომ, შორს მჭვრეტელმა წმიდანმა მიმართა:

— სურენ დიდებულო! ჩვენი თხოვნაა, როგორც შეიძლება, ახალგაზრდა თაობის მომზადებაზე იზრუნოთ: არ დაზოგოთ არაფერი და ქრისტეს სიყვარულით აშენეთ სრულიად ახალი ქრისტიანული სახელმწიფო.

— იბერიის შემდგომ, გთხოვთ, ჩვენთან, სომხეთში იმოღვაწეოთ, ნინო, წმიდა დედაო! — მიმართა სტუმარმა.

— სიამოვნებით წამოვიდოდი სომხეთში, მაგრამ მე მხოლოდ მაცხოვრის და დედაღვთისმშობლის ნებას ვასრულებ. ბიზანტიის დედოფალმაც შემომითვალა, ჩვენსას, კონსტანტინოპოლს ჩამობრძანდიო, ასევე უძველესი კოლხეთის მეფემაც, მაგრამ ჩემი აქედან გამგზავრება სხვა ქვეყანაში მხოლოდ უფლის დარიგებით, დავალებით და მითითებით მოხდება.

მერმე დედამ იბერიისა გულღიად დალოცა სომეხი ხალხი და ვაჭრად მოგზაურს საჩუქრად ბევრი ჯვარი და თავისივე ხელით ჩამოქნილი ნაკურთხი სანთლები გადასცა: — დაურიგე ყველას, ძმაო სურენ!

ისევ უმნიშვნელო დუმილის შემდგომ: — მცხეთაში ხუროები, ქვისმთლელები და ოსტატები ხომ არ გჭირდებათო, — სოვდაგარმა თავისი მეგობრული წინადადება შესთავაზა წმიდანს. — დიდად

მადლობელი გახლავართ, სულიერო ძმაო და ფრიად დიდებულო! ამ მხრივ არავითარ ნაკლებობას ჩვენ არ განვიცდით. გვყავს ყველა სფეროში დახელოვნებული და განთქმული ოსტატები, ლაზები და ეგრისელები, რომლებიც ბიზანტიაშივე მოღვაწეობენ მნიშვნელოვან ადგილებში და ქრისტიანულ საქმეებსაც აკეთებენ, ხოლო იბერიელნი, დიდოსტატები ჩვენთან ეკლესიათა და საფორტიფიკაციო ციხეთმშენებლობებზე გახლავთ დაკავებულნი. ყოველმა მათგანმა ხომ უცხოეთში, კერძოდ, ეგვიპტესა და საბერძნეთში მიიღეს მრავალ სპეციალობათა დიდი ცოდნა-გამოცდილება, დახელოვნება...

ზემოთ მიმდინარე თემაზე წმიდანმა ისევ გააგრძელა საუბარი: — მოგახსენებთ, რამდენიმე თვის წინ სომხეთის ეკლესიის რჩეული ჯგუფი გვესტუმრა. ერთობლივად განვიხილეთ ძალიან ბევრი სამომავლო გეგმა, როგორც რელიგიური ხასიათის, ასევე საეროც. ამ საკეთილდღეო მეგობრულ საკითხებზეც იყო მსჯელობა და შინაარსიანი საუბარი: ოსტატთა, ხუროთა, სხვადასხვა განხრის ხელოვან ხელოსანთა და მუშახელთა ურთიერთგაცვლის თაობაზე. სრულიად იგივე პასუხი გავეცი ჩვენს სულიერ ძმებს... სხვა მრავალ საკითხზე, რა თქმა უნდა, სამომავლოდ, გადაჭრით შევთანხმდით, სურენ დიდებულო.

— კეთილი, უფლისმიერო წმიდანო. ყველაფერი გასაგები და საერთო სამეგობროში მისაღებია...

— ჩვენ ყველას, იბერიელებს და კოლხებს ძალიან გვახარებს თქვენი ქრისტიანული და საერო მიღწევები, მხოლოდ ასეთი უნდა იყოს ურთიერთ ღვთიური სიყვარულით სავსე სიახლოვე. ვიმეგობროთ და ქრისტესმიერი კეთილგანწყობით ვიყოთ ერთმანეთთან, ეკლესია მხოლოდ ასე გვასწავლის.

— თუ რამეს დამაბარებ, დაო-წმიდანო.

— დიახ! ჩემს და ჩვენს სომხეთს, მის დიდებულ სამღვდელოებას, ქრისტიან მრევლს, ხელისუფალთ — ვუგზავნი ღვთიურ სიყვარულს და კეთილ სურვილებს, ვილოცებ ხშირად უფლის შემწეობით სომხურ-იბერიულ-კოლხურ ქრისტიანულ ერთობაზე და ძმობაზე.

აი, ასეთი გახლდათ წმიდა ნინოს რჩევა-დარიგება და ღვთისმშობლისეული წმიდათაწმიდა ლოცვანი...

* * *

ქალწული დედა მოდიოდა და უხილავი სივრცე მოყვებოდა უჩვეულოდ მორჩილი: ეჭვიანი და შუბლშეკრული დრო, წრიულად ტრიალებდა წმიდანის ირგვლივ...

მოციქულის სწორმა კავკასიის ლეგენდარულ მთებს თვალი შეავლო და პირჯვარი გამოისახა, მადლიან მიწას მარჯვენა ხელის თითებით შეეხო და იბერიისაკენ მიმავალ გზას დაადგა. აქ, ვარდით და ფერად-ფერადი ყვავილებით მოფენილი მინდვრები და ბილიკები ყოველ არსებას ხიბლავდა და კეთილად იმორჩილებდა. მრავალშინაარსიანი ჭირნახული გზა მწვერვალებდათოვლილი საოცრება კავკასიონის მთებისაკენ მიემართებოდა. გაუვალ ტყეებს რომ მიადგა, ახალგაზრდა, ნუშისთვალება და ჭრელფერდებიანი შველი მცხეთისაკენ მიმავალ გზას უკაფავდა. ღამით მთვარე და ვარსკვლავები მფარველობდნენ, დღისით მზე უნათებდა გზას.

„გაეღვიძა... წუთით იგრძნო მშობლის სევდა,
მაგრამ რწმენა ავალებდა რაოდენს?!
თოვლი იდო ჯავახეთის მთათა ზედა
და ტყეებში ქარიშხლები ბღაოდნენ...“

*ყოველ ღამე, ალიონებამდე, ლურჯი ფერის დიდი ფრინველი დაფრინავდა წმიდანის სიახლოვეს და ზეციური საიდუმლოებით ავსებდა. — არწივი ხომ არ არისო?! — მხილველნი იძახდნენ.*

*წარმართული სიბრძნე სიმბოლო — მზისგან დასიცხული გველი, ამომშრალ ჭაობისფერ ქვიშაზე გაწოლილიყო და გათეთრებული თვალებიდან მხედველობაწართმეულს, შხამისფერი შესქელებული ცრემლები სდიოდა. შეეცოდა წმიდა მკურნალ ნინოს, მოწითალო ფერის მცენარის რტო მიაგდო მის სიახლოვეს და, საოცრებავ, ქვეწარმავალი ზლაზვნით განეშორა იქაურობას.*

შავფრთიანი, გულმკერდჩალისფერი არწივები შემოეჩვივნენ მცხეთის მისტიკური ცის კაბადონს. ქალაქის მთების ირგვლივ სულთამხუთავი ხშირი ნისლი გაიფანტა. ტყიდან უკვე არ აღწევდა გაურკვეველი ყრუ გრუხუნა ხმები. ღამღამობით გახელებული მგლების გაუთავებელი ყმუილიც მიწყდა, მიკიოტის ხმაღა ისმოდა ადამიანის გონსმომყვანი წამოძახილებით.

მითურ მცხეთიდან წარმართული ბნელეთის კერპები გაქცეულიყვნენ, მხოლოდ უსულო ჟანგისფერი, დაღრეჯილი გამოსახულებებიღა ეყარა. წმიდა ნინოს მოსვლის შემდგომ, მომწესრიგებელმა ქარბორბალამ ისინიც აღგავა პირისაგან მიწისა და ჭეშმარიტ ქრისტიანულ სარწმუნოებას დაეთმო მცხეთისა და სრულიად იბერიის ზეციური სხივთმოფენილი სივრცე...

*სრულიად ქვეყნად „ათი მცნების“ ღვთიური ზნეობისა და სიყვარულის განწმენდელი სულიერი აღმავლობის ქრისტიანული აკადემია სამუდამოდ დამკვიდრდა...*

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

## მაია დიაკონიძე

მაია დიაკონიძე დაიბადა თბილისში 1962 წლის 11 დეკემბერს. 1984 წელს წითელ დიპლომზე დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტი — შრომის ეკონომიკის სპეციალობით. იმავე სპეციალობით სწავლობდა ასპირანტურაში. 1997-1998 წლებში მუშაობდა ჟურნალ „ფინანსებსა“ და გაზეთ „გადასახადებში“ ეკონომიკურ მიმომხილველად. 2001-2005 წლებში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას ჰუმანიტარულ-ტექნიკურ ინსტიტუტში. არის 20-ზე მეტი სამეცნიერო შრომისა და სტატიის ავტორი.

მისი ლექსები 2012 წლიდან იბეჭდება ლიტერატურულ პერიოდიკაში. 2013 წელს ლიტერატურულ კონკურს „შოთაობაზე“ მიიღო მეორე პრემია რელიგიურ თემატიკაში. 2014 წელს იყო კონკურს „ემიგრანტის წერილის“ ფინალისტი. არის კონკურს „ბერიკონის“ გამარჯვებული. მისი ლექსები გამოქვეყნებულია სხვადასხვა კრებულებში.

### ოდა წმინდა ნინოს

უმაღლესო, უნაზესო,
თოვლის ფიფქო,
სულთა თანავ!
შენი შვილი,
მონა ღვთისა,
შეგავედრებ მამულს, განა!
ატმის რტოო, ედემს რგულო,
სულის თქმა ხარ, თვალის ჩინი,
დაგვითესე პურის ყანა,
უკან დაგვრჩეს გასაჭირი.
შენი თვალის ნაშუქია,
საქართველო, მიწა ვაზის.
შენი გულის ნაჟურია,
მთების წყარო, თავს რომ დაგვდის.
შენი ნაზი ღიმილია,
მზის სხივები მთებს რომ დრეკენ,
შენ, სიმტკიცევ, ქართლის ზღუდის,
შენ, შუქურავ, სიკეთისა,
ყველა შენი შვილები ვართ,
შენს ნატერფალს სისხლით ვიცავთ.
შენით ვხარობთ, შენით ვცოცხლობთ,
შენით ბრუნავს დედამიწა,
შენ, ნაწილო, ჩვენი სულის,
მოვლენილო მაღლა ციდან!

### ანანური, ბანა, გრემი...

ანანური, ბანა, გრემი,
ყოველ დილას ვხვდებით კდემით,
დევი ბრდღვინავს ბოროტებით,
ისმის ზარი თეთნულდს ზევით,
კვალად ლურჯი მეომრების
ზეცას რთავენ ოპიზრები,
ჟღარუნია რვალის, მგლეთის,
ელვას, ფორაჯ ქარაფებით,
გზას უკვალავს ქარი  სტვენით.
ღამის ყორანს შავი ფრთებით,
ჩუმი ცა ცვლის, ძელქვა-წარაფს
სალი კლდენი მზეს უმალავს,
ჭიუხებში ხარ-ირემი
ჯანში ტეხავს მთების ჰავას.

### მალამოდ ღმერთი მიგზავნის ლოცვას

ამარტის ველზე, დაცლილ ძარღვებით,
თითქოს ჩაკეტილ სივრცეებს ვხედავ,
მინდა გავგლიჯო კიბოს მარწუხი,
შიგნიდან როგორც, მხედარი მხედნავს.
ოფლით და რწმენით მოვრწყავ ყვავილებს,
რომ ავიხდინო ოცნება ჩემი,
სისხლი მდის, როგორც ვენახს აპრილში,
თვალს მოადგება ცრემლი და მღერის.
მეც ისე ვმღერი, რადგან ხარივით
ამ მხრებზე მადგას სამშობლო მიწა,
მინდა გავწიო, გავიდე ნაპირს,
იქ საქართველო ლომივით გრგვინავს,
მაგრამ არ ძალმიძს, თითქოს მონა ვარ,
დაწყვეტილი მაქვს ყოველი ძარღვი,
ამარტის ველზე ვწევარ და ვგმინავ,
გახსნილ იარებს აყრიან მარილს...
მალამოდ ღმერთი მიგზავნის ლოცვას,
ამირანივით ავიყრი ჯაჭვებს,
შეიმოსება ალგეთის გორა,
ძუ მგელი ჩვენთვის  ლეკვებსაც დაყრის.

## როგორ მენატრები

როგორ მენატრები,
ვერც კი წარმოიდგენ,
გულში თაიგულებს
შევკრავ მოლოდინის.
ფიქრით შემოვივლი
ღამის ზამთრის ბაღებს,
თვალში წყალი მოჰქუხს
სევდის კარებს აღებს...
ფერი შემომევლო
კვამლის, ნაცრისფერი,
ღამეს აღარ ვნატრობ,
დილა მეფერება,
სხივებს გამოვგზავნი
შენთან, ათინათებს,
როცა მონატრება
აღარ შემეძლება.

## ბედნიერი ვარ?!

გაძვალტყავებულ ხელებში ჩავბღუჯე
მე ჩემი ოცნება, ჰაერში ვკიდივარ,
ვერც ზეცას მივწვდი და
ვერც დაბლა დავეშვი,
ქვეყნისთვის ტვირთი ვარ!
აგონიაა, თუ მართლა ჰგონია ვიღაცას,
რომ ბედნიერი ვარ,
გახსნია ჩვენს მიწას წყლულები,
უბედო ერი ვართ!
სიტყვების რახუნით ჰგონიათ
აშენდა ვარძია, შატბერდი,
ჩვენ კი ამ ომებში, ბრძოლებში,
თამაშში, უაზროდ დავბერდით!
მეგონა, სიკეთე ყოველთვის
ამარცხებს ბოროტს და
არც ესე ყოფილა...
ჭკვიანებს არ სწყალობს
ხელმრუდი ეპოქა,
ფლიდს ინდობს მხოლოდ-ღა!
აგონიაა, თუ მართლა ჰგონიათ,
რომ ბედნიერი ვარ?!

## ოცნებებში გამცვეთია სამოსი

**(სახუმარო)**

ამ ცხოვრების რეალიას ტანზე ვიცმევ,
ოცნებებში გამცვეთია სამოსი,
გული ჩემი, სევდისაგან დანესტილი,
ველარა ძგერს უწინდელი პათოსით.
მიჭრიალებს ურემივით ფეხ-სახსარი,
ველარ უძლებს ტვირთის ზიდვას ხელები,
უსახსრობას გულში მაგრად ჩავეკარი,
მაჯლაჯუნას ავუკლივარ ფერებით.
მხოლოდ ძილში დამირახტავს თეთრი ცხენი,
მხრებს მიმშვენებს ხელთუქმნელი ყაბაჩა,
გვირგვინს ველი, სადედოფლოს, ათას ფერის,
მზე, რიჟრაჟზე, სხივთა ფერხულს გამართავს.

## წვიმა

შემოხვეოდა ღრუბელი ალვებს,
ხელში ეჭირა კენარი ტანი,
ქარი კოცნიდა პატარძლის კეფას,
დალალს ახვევდა ელვათა რკალით.
გრგვინავდა ზეცა, ისროდა ისრებს,
ნისლმა თავშალით მობურა მიწა
და საპატარძლოს აწურულ მხრებზე,
მთელი სამყარო წვიმებად იწვა.

## წამო, მთებისკენ წავიდეთ!

წამო, მთებისკენ წავიდეთ,
ქარმა ჭიუხში იქაროს,
არწივმა, კლდეზე გაზრდილმა,
ზღვის ღელვად გადაგვიაროს.
შავმა ღრუბელმა დაგვნიშნოს,
ზეცამ უეცრად იავდროს,
ჯიხვების ჯოგმა ლატალში
ქორწილი გადაგვიხადოს.
ელვამ, მეხმა და ხორშაკმა,
თავზე გვაწვიმოს ნისლები,
მინდა რომ იმათ შევერთოთ,
ცასა ვწვდებოდეთ ფიქრებით.
მდინარის პირას, ხევ-ხუვში,
მთის წყალმა გულზე გვიაროს,
გამთელდებოდეს სხეული,
სიმღერით ვწვავდეთ იალონს.
აყვავებული ფშატები
თავს დაგვცქეროდნენ ფერებით,
ჯანღი ნიავმა შეჭამოს,
ბარისკენ წავალთ ხელებით.

## ვარ მომღერალი ჩიტი

ვირჩევ ყოველთვის დუმილს,
გულში სინანულს ვიტევ,
რომ არ დაინთხეს ბოღმა,
რომ არა ევნოს ჩიტებს.
დარბაზის კარებს ვაღებ,
მაგრამ არავინ მელის,
უკან ვბრუნდები უბრად,
კარების უკან ვდგები...
სხვისთვის ბრჭყვიალებს ჭაღი,
მე მთხოვნელი ვარ მხოლოდ,
ვარ მოლოდინით სავსე,
იქნებ მიმიღონ ბოლოს.
აკვიატებულ ფიქრებს,
თითქოს ანკესით ვიჭერ,
რომ არ გამექცნენ ცაში,
თორემ უფალი დამსჯის.
მე დუმილით ვარ მკვდარი,
ზოგს სიტყვისათვის კლავენ,
ვეძებ საშუალოს, ოღონდ,
სათქმელს ვერავის ვაწვდენ.
ჩემს უღონობას ვტირი,
ღმერთს ვებარები მარტო,
ვარ მომღერალი ჩიტი,
სათქმელს სიმღერით ვამბობ.

## მამა და თოვლი, რაღაცა მათში საერთო

მამა და თოვლი, მინდა ვნახო რაღაც საერთო
და გლოვის ნიშნად ჩამოვკრავდი თითებს კამერტონს,
თოვლივით სპეტაკს ატარებდა მამა პერანგებს,
თეთრი წვერებით მაგონებდა მოხუც მეზღაპრეს,
გრძნობანათევი, სიყვარულით სავსე ფიქრებით,
თოვლია სწორედ, ვერ გაზომავ ამას ნიხრებით.
მაგრამ რა არის, ნეტავ, კიდევ მათში საერთო?!
გაცივდა გული და ჩამოვკრავ თითებს კამერტონს.
მდნარი თოვლივით მიუჩინა მიწამ ადგილი
და არ ყოფილა მოშორება მშობლის ადვილი,
ფერად სიზმრებში მეჩვენება ჩემი მეზღაპრე,
ერთი მუჭა ვარ, დევისხელა ვხდები დილაზე.
თბილია ყველა მოგონება, ტკბილი, მზიური,
მასთან შეხება უკვდავია, მარადიული.
„ნახვამდის მამა“, სიტყვებია თოვლივით ცივი,
ეს მაწვალებს და „მაპატიეს“ წლებივით ვითვლი.

## ქრისტეს ზარები

ასწლოვან მუხას შეხიზვნია ძველი სამრეკლო
და ოდოიას შემოსძახებს ქრისტეს ზარები,
თუ არა გძინავთ, შემომხედეთ, დელგმამ დამახრჩო,
ნუთუ ვერ ხედავთ, უფსკრულისკენ მივექანები.
დაბინდულ ფერებს შერევია დაშნების ფერი,
მტრის საჭურველი დაიყრება, როგორც ბალთები,
მთვარე კი, ისევ გაანათებს ასწლოვან მუხას,
ჩვენზე ნაწყენი...

## სახლს მოსდებია ობი და სრსვილი

ხმაურობს ქარი, წითელ სახურავს
დაუფჩენია უკბილო პირი,
სევდის ღრუბელი თავზე ახურავს,
წვიმის ცრემლებით, ხანდახან ტირის.
ფანჯრებზე ვხედავ გაცრეცილ ფარდას,
ჩრჩილს ხალიჩისთვის გაუკრავს პირი,
ზანდუკში თაგვებს ღამე დაუხრავთ,
სახლს მოსდებია ობი და სრსვილი.

## მთვარე დაკიდულა ყანების დარაჯად

ყანების დარაჯად მთვარე დაკიდულა,
სხივები დაურთავს ვერხვების მახლობლად,
ჩრდილებში წარსულის ლანდები მეჩვენა,
ბებოს ჭრელ თავსაფარს ვიტოვებ სახსოვრად.
მიწიდან სიცივეს შეიგრძნობს სხეული,
ფოთლების საბანი მას ვეღარ გაათბობს,
თოვლს ელის ქვეყანა, მე არ მეჩქარება,
სიმინდის მოსავალს ყანებში ვდარაჯობ.
საზრდელი კაცისა შრიალებს ნიავზე,
ჩემს გულს რომ სალბუნად, მალამოდ ედება,
წინაპრის მიწაზე აყრილი ტოტებით,
დაკოჟრილ ხელებით ბაბუ მეფერება.

ელზა თუშაბრამიშვილი

## სხვათა ქვეყანა

მაპატიოს დიდმა ქართველმა, ბატონმა რევაზ ინანიშვილმა, ამ სიტყვებს რომ დავესესხები — სხვათა ქვეყნის აეროდრომი; გუგუნებს დარბაზი, ცხადდება რეისები. ტრიალებს მილეთის ხალხი, სხვათა ქვეყნის აეროდრომის უზარმაზარ დარბაზში ვზივარ და ველოდები რეისს — ლონდონი-რეიკიავიკი. მივფრინავ უკიდურეს ყინულეთში, სიცივეში და დიდ საქმეს შეჭიდებული.

გაფრენამდე 45 წუთი რჩება. ქართველების ჩვეულებას ვღალატობ და აეროდრომზე ადრე მივდივარ. ერთი პატარა ჩანთა (მთელი ჩემი ბარგი) მუხლებზე მოხერხებულად მოვათავსე და ჩემს ქვეყანაზე დავფიქრდი. სამი წელია არ ვყოფილვარ საქართველოში. ფიქრები მაგიჟებს, მონატრება მწვერვალს აღწევს, სული მეხუთება... მოსაცდელ დარბაზში, ახალგაზრდა წყვილს, რამდენიმე კაცი შემოჰყვა. კისკისებენ, იცინიან. ალბათ, საქორწილო მოგზაურობაში აცილებენ. პროვინციიდან ჩამოსულებს ჰგვანან. სხვათა ქვეყანაში, ასეთი სითბო, მხოლოდ პროვინციელებს შემორჩათ. დიდ ქალაქებში კი, ადამიანები, რობოტებივით არიან...

მთელი ყურადღება მათზე გადამაქვს. ყურები მიგუგუნებს, ეს არაა დარბაზის ხმაური. ნელ-ნელა სმენას სწვდება ქართული საქორწილო მუსიკა; მეშინია არ გავსულელდე, რა უნდა აქ დოლსა და გარმონს, რა უნდა აქ უკვდავ „დაისს“? მონატრება მაგიჟებს და მენატრება ყველაფერი ქართული. ნაშრომებით სავსე ჩანთა, რომელმაც საქართველოს მომწყვიტა, მუხლებზე მითახთახებს.

მენატრება ქართული ქორწილი...

მენატრება ქართული თანადგომა...

მენატრება ქართველი თამადა, ქართული სუფრა. არ ვიცი, რა მიშველის, ვგრძნობ საშინელ ნოსტალგიას; დოლმა გული გამიპო; ნეფე-დედოფალი მოდის, ნეფე-დედოფალი მოდის, გრგვინავს თამადა; ვცახცახებ... სეფა გრიალებს. ულამაზესი ქართული ლექსი ბედნიერების ცრემლად იღვრება. ტანმორჩილი ქალები, სიხარულით გაბრწყინებულები, არიგებენ ქართულ ბარაქას...

ჩემი საქართველო მინდა...

ჩემი კახეთი გულში მინდა ჩავიკრა...

ალაზნის ველს მინდა გადავხედო...

ცრემლი მახრჩობს. აღარ მინდა პირქუში ტემზის ბურუსი და ნისლი. შუბლშეკრული ინგლისელი ვისკს და კოკა-კოლას მთავაზობს. უაზრო თვალებით მივჩერებივარ, ისიც გაოცებული მიყურებს და გზას აგრძელებს.

ოო, ღმერთო, რა ბედნიერი ვიქნებოდი, ჩემს ქვეყანაში, ქართულ ქორწილში, ჩვენებური ღვინო და ჭაჭის არაყი რომ შემოეთავაზებინათ.

კარგი ოჯახის შვილობას ლოცავს თამადა. მუხლჩაუქი ბიჭები ფარიკაობის და მთიულურის ცეცხლს ანთებენ...

თვალიდან ცრემლი მოგორავს; პატარძალს მორიდებით უხრიან თავს მექორწილენი, ნეფეც მორცხვობს, ესეც ქართული სული და კდემაა.

საათია ცეკვავენ, ხვითქი გადასდით ვაჟკაცებს...

ერთადერთი და განუმეორებელია ქართული ქორწილი. ყველაფერი ქართული მენატრება.

თამადა ენამზეობს...

ასეთი სადღეგრძელოები არსად, არც ერთ ქვეყანაში არ იციან...

ეს ჩემი საქართველოა...

მე კი აქ ვარ, ინგლისში, ნისლიან ქვეყანაში და უზომოდ მენატრება ჩემი ქართველობა...

ცხადდება რეისი — ლონდონი-რეიკიავიკი...

ყველაფერზე უარს ვამბობ...

ვიღებ ჩანთას, ვდგები გათანგული და თბილისში დასაბრუნებელ ბილეთზეღა ვფიქრობ...



## ბესარიონ თარხნიშვილი

დაიბადა 1961 წლის 17 ივლისს თელავში. დაამთავრა თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი.

### ძველი სახლი

მენატრება, ჩემი ძველი სახლი,
სტადიონის გალავანთან მდგარი,
მენატრება, ალაყაფის კარი,
ციხე-კოშკის მოდარაჯის დარი.

მენატრება, დანამული ბაღი,
მის კუთხეში მიყუჟული ძაღლი,
ცას აწვდილი გრძელტოტება ბალი,
ბერი თუთა, ფართო აივანი.

მენატრება, წმინდა თოვლი დილის,
რომ ატყვია ნატერფალი მამის,
გრძელკისერა კიპაროსის რხევა,
მის ტოტებში ბეღურების ლხენა.

მენატრება, ჩემი მყუდრო სახლი,
საუკუნის თითქმის შესადარი,
დამინგრიეს ჩემი კოხტა სახლი,
აღარა მაქვს — ჩემი საყუდარი.

### სინანული

წლები გასულა, მრავალი წლები,
თმაშიც და ხმაშიც შემეტყო ბზარი,
თურმე რა სწრაფად ახლოს მოსულა
სინანულის და სიბერის ჟამი.

ვერ გავუფრთხილდი მე ჩემს სიყვარულს,
ჩემს გვერდით იყო, გაფრინდა წამი,
ამდენმა სევდამ, ფიქრმა და დარდმა
ძლიერ მიმატა თვალებში ნამი.

ოცდაათია წელი გასული
და მაინც ხშირად მე ვფიქრობ მასზე.
ჭიქას ავწევ და ორ სიტყვას ვიტყვი
დაკარგულსა და დაუვიწყარზე.

* * *

შემოდგომობით, როცა ყვითლდება ფოთოლი ხეზე,
ნიავი მოსწყვეტს და გააქროლებს მტვრიან ქუჩაზე,
ვიღაც მოხუცი შევა ბაღში, დაჯდება სკამზე,
სხვების უჩუმრად მოადგება ცრემლები თვალზე.
არავინ იცის, რისთვის დარდობს მოხუცი ასე,
რატომ გახშირდა ასე ძლიერ ჭაღარა თავზე,
მთელი ცხოვრება უტირია ჩუმ სიყვარულზე,
უშნო ლექსები უჩხაპნია ციცქნა გოგოზე.

* * *

გადავკრავ ღვინოს, დავითვრები, მოვყვები ხარხარს,
ბანცალ-ბანცალით ავუყვები ჩემს ნაცნობ ქუჩას.
ვიცი აქ არ ხარ, მაგრამ მაინც გავცქერი იმ სახლს,
სადაც ცხოვრობდი და მახსენებს ახალგაზრდობას.
ნაცრისფერ ნისლებს შევერევი, დაგიწყებ ძებნას,
ქანცგალეული ჩამოვჯდები ფიჭვნარის ძირას,
ვიფიქრებ შენზე, გული მეტყვის — შენ ისევ გიყვარს,
თოვლის ჭრაჭუნით დავუყვები საყვარელ დაღმართს.



## დოკუმენტური პროზა


## ნინო ბაქანიძე

ნინო ბაქანიძე — ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის გოეთეს საზოგადოების თანათავმჯდომარე, რეზო ინანიშვილის ლიტერატურული კონკურსის ლაურეატი.


# გარიყულები გარიყულადან

### 1. „ბორბაცკიანთ“ სასახლე

— აი, მოვედით კიდეც! — ამბობს მზია და ხელით ულამაზესი, მოჩუქურთმებული ჭიშკრისაკენ მანიშნებს. — ეს არის ბოლგარსკების სასახლე, ოღონდ აქ „ბორბაცკებს“ ეძახიან.

— ღმერთო, რა საოცრებაა! — აღტაცებას ვერ ვფარავ და ნაბიჯს ვუჩქარებ... ჭიშკარი ჩაკეტილია.

— აფსუს, ეხლა კია მიყრუებული აქაურობა, ოქტომბრის ბოლოს ან ვიღა დაგვხვდებოდა, — დანანებით მეუბნება მზია — მაგრამ ზაფხულში უნდა ნახო, მხატვრები მოდიან, გამოფენებს და ღონისძიებებს აწყობენ, უცხოელებიც ჩამოჰყავთ.

— მართლაც, ეს როგორ მომივიდა. აქ არ ვიყავი ზაფხულში? — გულისწყვეტით ვამბობ და ჩემდაუნებურად ვანჯღრევ ჭიშკარს, მზიაც მეშველება, მაგრამ ამაოდ. ერთხანს ჩუმად ვდგავართ. გაოცებით შევყურებ ფართო, მშვენიერ ეზოში აღმართულ სამსართულიან სასახლეს, სახურავს მამლის აფქიო რომ უმშვენებს. ეს ხომ ტიპიური ევროპული ნაგებობაა. წარმოუდგენელია! შუაგულ ქართლში, თან სოფლის ამ მოწყვეტილ, განაპირა უბანში... ალბათ ამიტომაც შეერქვა აქაურობას გარიყულა.

— ეგებ ვინმე იყოს შიგნით და ეზოში მაინც შეგვიშვას — იმედს არ კარგავს მზია და ხმამაღლა იძახის — არის მანდ ვინმე?!

ეს „ვინმე“ გაავებული ნაგაზი აღმოჩნდება, რომელიც ყეფაყეფით მოინევს ჩვენსკენ. მას ფარაჯამოსხმული დარაჯიც მოჰყვება, რომელიც ბუზღუნით გვიხსნის, რომ ამ დროს სასახლე დაკეტილია და მნახველების შეშვების უფლება არა აქვს.

— რა გაეწყობა, — ოხრავს მზია, — წავიდეთ, უკვე ბინდდება კიდეც.

— ცოტა ხანს კიდევ დავრჩეთ რა, — ყრუდ მესმის საკუთარი ხმა — რა საოცარი, იდუმალი აურაა ირგვლივ. ახალქალაქიდან ორ ნაბიჯზეა და უცებ სრულიად განსხვავებულ, მისტიკურ სამყაროში კი აღმოვჩნდით.

— არა უშავს, სოფელში ძველ ხალხს ეცოდინება ამ სახლის ისტორია — მეუბნება მზია — მე მარტო ის ვიცი, რომ XIX საუკუნის ბოლოს აუშენებიათ პოლონელებს...

— მოიცა, მზია, — კვლავ ვჩურჩულებ მე — აბა, ყური დაუგდე. სახლი თითქოს თავად გვიამბობს საკუთარ ისტორიას და ეს აუცილებლად იქნება ტრაგიკული, მწუხარებით აღსავსე ამბავი ერთი ოჯახისა. ცოტა ხანს კიდევ დავრჩეთ, მოვუსმინოთ...

— დილამდე თუ ეგრე იდგებით. ბარეღამ კრიშაზე მამლის ყივილსაც გაიგონებთ. — ვითომ გვეხუმრება დარაჯი და ზურგს გვაქცევს.

— მზია, შენა ხარ, ქაა! — მოულოდნელად იჭრება ქალის მჭახე ხმა ჩემს „მისტიკურ საუფლოში“. ვტრიალდები. ხნიერი ქალი და ექვსი-შვიდი წლის ბიჭუნა წამოგვდგომიან თავზე — ამ შეღამებულში აქეთ რა გინდოდათ?

— საღამო მშვიდობისა, ამალია, — უღიმის მზია, — არც არაფერი. მაზლის ცოლი გამოვასეირნე და სწორედ უკან გაბრუნებას ვაპირებდით.

— ბორბაცკიანთ სახლი აინტერესებს, არა? — ქალი ცნობისმოყვარედ მაცქერდება — გვიან კი მოგსვლიათ. ეხლა იქ მოჩვენების მეტი არავინაა.

— სოფელში, ხო გითხარი, ბორბაცკების სახლს ეძახიან-მეთქი — ხმადაბლა მიხსნის მზია, მაგრამ მე და პატარა ბიჭი ამალიას ბოლო ფრაზით უფრო ვინტერესდებით. ბიჭი მასწრებს: — რა მოჩვენებები, ბაბო, რა მოჩვენებები? მითხარი, რა, მითხარი...

— ჰო, რა ნახე, — ბრაზობს ქალი — არ წააყარა ხოვლეს სეტყვასავით? შენც ეხლა, თითქო პირველად გესმოდეს.

— მე მესმის პირველად, — ვერევი საუბარში, — იქნებ გვიამბოთ.

— აბა, რავი, — ხელებს შლის ქალი — ეგ ბორბაცკები პოლონელები ყოფილან. ქმარი ოცდაჩვიდმეტში დაუხვრეტიათ. სხვები გაუსახლებიათ. კაცმა არ იცის, ვის რა ბედი ეწია. ჰოდა, სოფელში ეგრე ამბობენ, ღამღამობით ძველი პატრონების სულები გამოდიანო. მაა, უნახავთ კიდეც. მაგიტო ეშინია ხალხს ბნელში აქეთ სიარული.

— მე არ მეშინია, ბაბო, თუნდა ეხლავე გადავძვრე ღობეზე! — ბიჭი მარდად უსხლტება ხელიდან ქალს და ჭიშკრისაკენ გარბის.

— ოი, შე არგასაზრდელო! — მისძახის ამალია — რაკი არ იშლი, გასციე და წადი!

— რას ამბობთ, იქ ძაღლია აშვებული! — ჩურჩულიდან ყვირილზე გადავდივარ მე. მზია ბიჭს ეწევა და უყვავებს. — მოდი, შვილო, მოდი. ბაბო არ გაგიწყრება...

ამალია უსიტყვოდ ბღუჯავს ბავშვის ხელს და ცდილობს, სიბრაზე არ შეიმჩნიოს. — ისე, აქვე ვართ და ყავაზე ხომ არ დამეწვევით?

— არა, გმადლობ, მართლა გვიანია. წავალთ

ჩვენც, — პასუხობს მზია და მი-
წიდან კარგა მოზრდილ ჯოხს იღებს
— ამას გავიყოლებ, ძაღლები იცის
აქეთ.

— ჰოო, ჩვენც შევგვიანდით,
— ტუსტუსით მოგვდევს ამალია —
დღისით მასტიკა მოვუსვი და ბავშ-
ვი გამოვარიდე, ისედაც გამოცი-
ცავებულია... ჩემ ძმასთან ვიყავით
გადასული. თუ შემოხვალთ, დაბლა
სახლში დავსხდეთ. მერე შალიკო
გაგაცილებთ. თან შენ მაზლიცოლს
ეგ უკეთ ეტყოდა რაღაცებს ბორ-
ბაცკებზე.

— მართლა, როგორა გყავს
კაცი? — პირდაპირ პასუხს ირი-
დებს მზია.

— არა უშავ-რა. წინა კვირაში
გრიპი შეხვდა. ეხლა გამოდგა... აგე,
მოვედით კიდეც. ჰა, შემოდით რაღა, მასტიკის სუნი
გავიდოდა — თავისას არ იშლის ამალია.

— მასტიკა არაფერია, აი მისტიკისა უფრო
გვეფიქრება — იცინის მზია — სჯობს, გავასწროთ
აქედან მოჩვენებებს.

— მისტიკა რა არის? — კითხულობს ბიჭი, —
ბაბო, რა არის მისტიკა?

ვიდრე ამალია თავის აბეზარ შვილიშვილს „იგ-
ერიებს", ჩვენ ნაჩქარევად ვემშვიდობებით თან-
ამგზავრებს და ბინდ-ბუნდში სწრაფი ნაბიჯით მი-
ვუყვებით სახლის გზას.

## 2. ბოლგარსკების სასახლე

ზაფხულამდე დრო ბევრი მქონდა, მასალა კი
ცოტა მოვაგროვე, თუმცა, მცდელობა არ დამიკლია.
ინტერნეტის მეშვეობით დავადგინე, რომ 1885
წელს, წარმოშობით პოლონელმა ინჟინერმა ვასილ
ბოლგარსკიმ ოჯახის საზაფხულო რეზიდენციისათ-
ვის დააპროექტა სასახლე გარიყულაზე. მფლობელ-
ებს საკუთრება გასაბჭოების შემდეგ ჩამოართვეს,
ხოლო ბოლგარსკი დახვრიტეს. შენობა ჯერ ბავშვთა
სახლს გადაეცა, ხოლო XX საუკუნის 90-იან წლებში
იგი მხატვრების ხელში აღმოჩნდა. 2000 წლიდან
კი ჩამოყალიბდა არტისტთა კომუნა, რომელმაც
ქართველი და უცხოელი ხელოვანები გააერთიანა.
ვერა და ვასილ ბოლგარსკების ნახატები, ამ წყაროს
მიხედვით, ბოლო დროს აღმოჩნდა. ვასილი ცნობ-
ილი ინჟინერი და არქიტექტორი გახლდათ, რომელ-
მაც ჩვენი ეროვნული გალერეა ააშენა, ასევე ჭრელი
აბანოები და სხვა ბევრი ნაგებობა თბილისში.

ვერა ბელეცკაიას შესახებ ქართული საბჭოთა
ენიციკლოპედიის II ტომში ვკითხულობთ: ვერა კონ-
სტანტინეს ასული ბელეცკაია (1914-1974) გახლდათ
გრაფიკოსი, საქართველოს დამსახურებული მხატ-
ვარი (1962 წ.). იგი ნაყოფიერად მუშაობდა როგორც
ილუსტრატორი და პეიზაჟისტი. საინტერესოა მისი
ფერადი ლინოგრავიურების სურათები: „თბილისი",
„შატილი", „ტალინი" და სხვ. დაზგური გრაფიკის
ჟანრში შექმნილია პეიზაჟების სერიები, რომლებიც
მკაფიო და მჟღერი ფერებით გამოირჩევა. მნიშ-
ვნელოვანი ნამუშევრებია: „სვანეთი", „ძველი თბ-
ილისი", „დაღესტანი", „ძველი ხუროთმოძღვრების
ძეგლები" და სხვ. სულ ეს იყო.

ზაფხულმაც მოაწია. ახალქალაქში ჩავედი თუ
არა, ხანმოყრილ თანასოფლელებსა და მეზობლებს
გავესაუბრე. ცხადია, მსურდა, როგორმე გამემდ-
იდრებინა ჩემ მიერ მოპოვებული მწირი მასალა.
ბოლოს მგონი, მაინც მოვახერხე ფრაგმენტული,
მაგრამ საინტერესო ინფორმაციების თავმოყრა.
მაგალითად, ერთმა მოხუცმა მიამბო, რომ ბოლ-
გარსკების დროს სახლ-კარი ყვაოდა. რას არ ნახა-
ვდა კაცი სანიმუშოდ მოვლილ, თვალუწვდენელ
მამულებში: წყლისა და ქარის წისქვილები, მინი-
ელექტროსადგური, საცურაო აუზი. სხვამ გაიხ-
სენა, ბავშვობაში რა ხშირად ჭყუმპალაობდა ბორ-
ბაცკიანთ აუზში. ზოგმა ის იცოდა, რომ ვასილ
ბოლგარსკი ადგილობრივ ხელისუფალთ სთხოვდა,
არ ჩამოერთმიათ აგარაკი და სამაგიეროდ თურმე
ტრამვაის ხაზის გაყვანას პირდებოდა კასპიდან ახ-
ალქალაქამდე. ისიც კი მითხრეს, რომ 90-იან წლებში
პოლონეთიდან „ბორბაცკების" შთამომავალი ჩამ-
ოსულა, დაუთვალიერებია აქაურობა, მაგრამ გა-
პარტახებული ეზო-ყურე თვალში არ მოსვლია და
უკანვე გაბრუნებულა...

მაშ, ასე დადგა ნანატრი დღე, როცა მე და მზია
კვლავ მივადექით ბოლგარსკების მოჩუქურთმებულ
ჭიშკარს (ამჯერად, ბატონ ყარამან ქუთათელაძ-
ესთან წინასწარი შეთანხმებით). იქაურობას ველარც
იცნობდით. მეც არ დავახანე და ნახულიცა და გაგ-
ონილიც მისხალ-მისხალ ჩავიწერე უბის წიგნაკში.
აი, ეს ჩანაწერებიც:

ეზო სავსეა ხალხით. ჩანს, დიდი სამზადის-
ია. ჭიშკართან თავაზიანად გვეგებება არტ-ვილა
გარიყულას ფესტივალის დამფუძნებელი ბატონი
ყარამან ქუთათელაძე. იგი მაშინვე გვიხსნის, რომ
სექტემბერში დიდი საერთაშორისო ღონისძიებაა
დაგეგმილი და ახლა სწორედ წინამოსამზადებელი
სამუშაოები მიმდინარეობს. ბატონი ყარამანი ეზოში
მიგვიძღვის. თავი მართლაც ხელოვანთა კომუნა-
ში მგონია, აი, ისეთში, ძველ რომანებში რომ მაქვს
ამოკითხული. იქვე, ხის ჩრდილში ახალგაზრდები
შეჯგუფულან და დიდი გატაცებით ხატავენ. აქეთ
ეზოს ასუფთავებენ და აწესრიგებენ, მთელ სი-
გრძეზე რაღაც მავთულებს ჭიმავენ. სასახლის მარ-
ჯვენა ფლანგზე, დიდ ვერანდაზე სტუმრებს მოუყრ-
იათ თავი და მხიარულად მასლაათობენ, თან თეძმის
ულამაზეს ხეობას გადაჰყურებენ. ბატონ ყარამანს
უამრავი საქმე აქვს და გვთხოვს, თავად დავათვა-
ლიეროთ შენობა. აღარც ფარაჯმოსხმული დარაჯი
ჩანს და არც მისი გაავებული ნაგაზი. თავისუფლად
შეგიძლია ისეირნო ეზოშიც და სასახლის სართულე-
ბზეც. პირველი სართულის ზოგიერთი ოთახი ძველ-
ებური ავეჯითა და ნივთებითაა გაწყობილი. ჩემი
კითხვის პასუხად ბატონი ყარამანი იმის მოყოლას
კი ასწრებს, რომ ყველა ეს ნივთი თავად შეაგროვეს

ინტერნეტში ეპოქის სურათის შესაქმნელად, თორემ ბოლგარსკების ქონებიდან აღარაფერია შემორჩენილი.

— მთელი შენობა ნაგვით იყო სავსე, — სინანულით მოგვითხრობს ეს მართლაც შესაშური ენერგიითა და ენთუზიაზმით აღსავსე ხელოვანი, — ყველაფერი საკუთარი ხელით გავზიდეთ და შენობა დავასუფთავეთ. სხვათა შორის, სოფლის მოსახლეობაც ძალიან დაგვეხმარა. თურმე ნუ იტყვით და ეს ისტორიული ნაგებობა ერთ დროს თივის საწყობადაც კი გამოუყენებია კოლმეურნეობას. მეორე მხრივ კი, როგორც მოგვიანებით ოჯახის შთამომავალი ამიხსნის, მეოცე საუკუნის 80-იან წლებში, როცა მის ბაბუას სასახლის ნაცვლად თივის საწყობი დახვედრია, გახარებია კიდეც, რადგან სწორედ ამან გადაარჩინა შენობა საბოლოო განადგურებას.

სასახლე მართლაც უზარმაზარია. ოთახების რაოდენობას ვერც დათვლი, თუმცა ძნელია, უფრო სწორად, გამორიცხულია მისი პირვანდელი სახით წარმოდგენა. შიდა ინტერიერი დროთა მანძილზე რამდენჯერმე შეიცვალა. სახელდახელოდ გადატიხრულ ოთახებში (რაც, ალბათ, ბავშვთა სახლის პერიოდს უკავშირდება), იქ მყოფთათვის საძინებლებია მოწყობილი. შიდა აივნებზე გაფენილ სარეცხსაც კი მოვკარი თვალი. დღეს აქ ყველაფერი ღიაა და თვალსაჩინო. ირგვლივ თავისუფალი და გულღია ატმოსფერო სუფევს, ისეთივე გულღია, როგორიც ამ სახლის და ხელოვნების ფესტივალის მასპინძელია.

დამშვიდობებისას ბატონ ყარამანთან სამახსოვრო ფოტოს ვიღებ. თავად კი ჩემდა გასახარად ბოლგარსკების შთამომავლის ტელეფონის ნომერს მაძლევს. მოუცლელობის გამო კიდევ ერთხელ გვიხდის ბოდიშს და ამბობს, რომ მასზე უკეთ ბატონი ნიკა ბელეცკი მოგვითხრობს ოჯახისა და სახლის ისტორიას. ამ დროს ბატონ ყარამანს კვლავ ეძახიან. მინდოდა მეკითხა, რატომაა ოჯახის პირდაპირი შთამომავალი გვარად ბელეცკი და არა ბოლგარსკი, თუმცა... ისღა დაგვრჩენია დავემშვიდობოთ გულითად მასპინძელს. მაშ ასე, როგორც ჩანს, ჩემი კვლევა-ძიების ბოლო ეტაპმაც მოაწია.

### 3.ბელეცკების სასახლე

თბილისში დაბრუნებული მაშინვე ვუკავშირდები „ბოლგარსკების შთამომავალს“. ბატონ ნიკა ბელეცკისთან ხანგრძლივმა საუბარმა, რომ იტყვიან, თავდაყირა დააყენა ჩემი აქამდე მოპოვებული ცოდნა-წარმოდგენები ამ ოჯახის შესახებ. ბატონი ნიკა მიხსნის, რომ ინტერნეტსა და ჟურნალებში უმეტესად შეცდომითაა წარმოჩენილი მისი წინაპრების ისტორია. გარიყულას სასახლე მართლაც 1885 წელსაა აშენებული, მაგრამ იგი დააპროექტა არა ვასილ ბოლგარსკიმ, არამედ კონსტანტინე ბელეცკიმ. კონსტანტინე გახლდათ პოლონელი სამხედრო პირი. ოჯახისთვის ბოლომდე გაურკვეველი სამსახურებრივი უსიამოვნებების გამო იგი გადაასახლეს საქართველოში. კონსტანტინე თბილისში დაქორწინდა ასევე პოლონელ, თუმცა ძირძველ თბილისელ ნინა ბოლგარსკაიაზე. მათ შეეძინათ სამი შვილი: ვერა, ნინო და ვასილი. ამდენად, ვერა და ვასილი დაძმა აღმოჩნდა და, არა ცოლ-ქმარი, როგორც ეს ოფიციალურ წყაროებშია მითითებული. უფრო მეტიც, ვერას, ისევე როგორც მის დას, ნინოს, ოჯახი საერთოდ არ შეუქმნია. ბოლო დროს ინტერნეტში ისიც კი ამოვიკითხე, რომ ვერა ბელეცკაია ამ გვარის უკანასკნელი წარმომადგენელი ყოფილა(?!) აი, ბატონი ნიკა კი ვასილ ბელეცკის (და არა ბოლგარსკის!) პირდაპირი შთამომავალია. იგი ამბობს, რომ დები სიცოცხლის ბოლომდე ერთად ცხოვრობდნენ მაშინდელ პლეხანოვზე, მშობლების ბინაში. კონსტანტინეს და ნინოს სამივე შვილს განათლება პარიზში მიუღია. ბატონი ნიკას ცნობით, მისი პაპიდები უმეტესად ფრანგულ ენაზე საუბრობდნენ და მათი ბინაც უმეტესად ფრანგულენოვანი წიგნებით იყო სავსე. ბატონი ნიკა იმასაც მახსენებს, რომ გარიყულას სასახლეში დღემდეა შემორჩენილი ფრანგული მეტლახი, რომელიც თავის დროზე პარიზიდან გამოუწერიათ. გარიყულას ადგილ-მამული ნინა ბოლგარსკაიას მემკვიდრეობით რგებია და ცოლ-ქმარს იქ საზაფხულო აგარაკის აშენება გადაუწყვეტია.

ოჯახის ბედ-იღბალი გასაბჭოების შემდეგ მართლაც რომ ტრაგიკულად წარიმართა. კონსტანტინე 1937 წელს გაურკვეველ ვითარებაში გაუჩინარდა. ამ ფაქტს ძალზე დაუმწუხრებია ადგილობრივი მოსახლეობა, რადგან კონსტანტინეს სოფელში დიდ პატივს სცემდნენ და ემადლიერებოდნენ. იგი თურმე მამულებში დასაქმებულ გლეხებს კარგ ხელფასს უხდიდა და როგორც ჰესის მფლობელი, ნათურებითაც კი ასაჩუქრებდა.

ვასილი 1939 წელს გაიწვიეს სამხედრო სამსახურში, ხოლო მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ კიდევ სამი წელი იმყოფებოდა იუგოსლავიის ფრონტზე, საქართველოში დაბრუნების შემდეგ კი მალევე გარდაცვლილა. ბატონ ნიკას სოფელში ყურმოკრული ამბის შესახებაც ვეკითხები, XX საუკუნის 80-იან წლებში გამოჩენილი პოლონელი მემკვიდრის შესახებ. ბატონი ნიკას აზრით, სავარაუდოდ, ეს იქნებოდა მისი ბაბუა, იგორი, რომელიც მართლაც რამდენჯერმე გამოჩნდა სოფელში და ეცადა კიდეც სასახლისა და მამულის დაბრუნებას, მაგრამ იმდროინდელი დაძაბული თუ ქაოტური პოლიტიკური ვითარების გამო, მისი მცდელობა ამაო გამოდგა... ბოლოს ვკადნიერდები და ბატონ ნიკას მოჩვენებებთან დაკავშირებულ მითქმა-მოთქმაზეც ვუსვამ შეკითხვას, რაზეც მას მხოლოდ ეღიმება...

დღესდღეობით ბატონი ნიკა ბელეცკი მამაპაპეული სახლის ხშირი სტუმარია. მოჩვენებებისა არაფერი იცის, მაგრამ მის მეხსიერებაში მკაფიოდაა აღბეჭდილი წინაპართა ტრაგიკული ისტორია, გარიყულადან გარიყულების ისტორია. ესაა ამბავი ერთი კეთილშობილი ოჯახისა, რომლის მსგავსიც ჩვენდა სავალალოდ ერთობ ხშირი იყო მაშინდელ საქართველოში, ამავე დროს, ეს ჩემი სოფლის, ახალქალაქის ისტორიაცაა, მისი ორგანული ნაწილია და რომელიც დღეს კვლავ განაგრძობს სიცოცხლეს ბატონ ყარამან ქუთათელაძის ძალისხმევით. ჩვენ კი ის მაინც მოვახერხოთ, რომ აღვადგინოთ სწორი ისტორიული ვითარება და მუდამ ვიამაყოთ „ბორბაცკიანთ“ სასახლით, ასე მიმზიდველს და საინტერესოს რომ ხდის სოფლის ერთ მიყრუებულ უბანს.

P.S.

ბატონ ნიკასთან საუბრის შემდეგ კი უნებლიეთ მახსენდება ცნობილი თანამედროვე პოეტის აი, ეს ლექსი:

„ცხოვრება არის ჰაერი, სივრცე,
ცხოვრება არის მარწუხით, ვადით,
ცხოვრება არის, რომ ხედავ სიზმრებს,
ცხოვრება არის საშინლად ცხადი“*.

*გაგა ნახუცრიშვილი, „მოკლე და ხანგრძლივი“

**როინ ჭიკაძე**



## ლევან გოთუასმიერი სათავისუფლო სამშობლო

ლევან გოთუამ ტანჯული სიცოცხლის 66 წლიდან 22 წელი გაატარა საკონცენტრაციო ბანაკებში როგორც გვარსახელწართმეულმა დანომრილმა პატიმარმა. გადასახლებასა და სასიკვდილო საკანში გამომწყვდეულ მწერალს ნიადაგ ენატრებოდა „სათავისუფლო სამშობლო“: „ვაგლახ, ჩვენ სამშობლოსთვის არც მკვდრებში და არც ცოცხლებში ვწერივართ... ჩვენ ხომ უდანაშაულო პატიმრები ვართ, მაშასადამე, წამებულები... ჩვენ აქ ვშრომობთ უფრო მეტად, ვიდრე მანდ — სათავისუფლოში“. ლევან გოთუას ტვინს უბურღავდა შორეული ბანაკიდან გამოგზავნილ ერთ-ერთ წერილში გამჟღავნებული გამაოგნებელი კითხვა: **„ვერ ამიხსნია, ვერ გამიგია: სამშობლო იმიტომ მიყვარს ასე ძალიან, რომ მისგან ასე შორსა ვარ, თუ ასე შორსა ვარ იმიტომ, რომ სამშობლო ასე ძალიან მიყვარს“.**

სამშობლოს ეს გაუნელებელი სიყვარული მძაფრად მჟღავნდება ლევან გოთუას არა მხოლოდ ისტორიულ რომანებსა და მოთხრობებში, არამედ, რაც განსაკუთრებით გრძნობისმიერია, მშობლებსა და და-ძმებთან საკონცენტრაციო ბანაკებიდან გამოგზავნილ წერილებში, რომლებიც ესოდენ სათუთად შემოინახეს და ბიოგრაფიულ თხზულებად აქციეს მწერლის და-ძმებმა (თამარ გოთუა, ალექსანდრე გოთუა, თავგადასავალი ლევან გოთუასი, გამომცემლობა „თარხანი“, თბილისი, 1995 წ.). შევეცადეთ, ამ წერილებზე დაყრდნობით წარმოგვეჩინა ლევან გოთუასმიერი შორეთში განცდილი სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი.

თავის ქვეყანასა და მშობლიურ კერას უსამართლოდ მოწყვეტილი ოციოდე წლის ჭაბუკისათვის თანაბრად სანატრელია თავისი სახლი, მშობლები, და-ძმები და სამშობლო: „სულ სახლზე, თქვენზე და სამშობლოზე ვფიქრობ“ — სწერდა დედას შორეული სოლოვეცკიდან. თავად უმძიმეს პირობებში მყოფი ავადმყოფ ძმას — არჩილს აიმედებს: „ვფიქრობ, საბოლოოდ მაინც მორჩები და ჯანმრთელად იქნები. მეც ჩამოვალ საქართველოში და ჩვენ, როგორც ყოველთვის, ძველებურად, ისევ აქტიურად შევუდგებით სწავლა-განათლებას, გავახარებთ ჩვენს კეთილის მსურველებს და ვასახელებთ ჩვენს გვარსა და სამშობლოს... არასოდეს აზრადაც არ მომსვლია, როდისმე ასე მძიმედ განწირულად ყოფნა და სამშობლოზე ოცნება დამჭირდებოდა.“,67.

ვლადიკავკაზში ყოფნისას ლევანი დაუკავშირდა იქაურ ქართველებს და აქტიურად ჩაერთო ქართული კოლონიისა და ქართული სკოლის საქმიანობაში, თუმცა სამშობლოს მონატრებულ ჭაბუკს ნოსტალგია მაინც არ ტოვებს:

უნდა დავიწვა უსამშობლოდ
და უჯალაბოდ,
ეს უცხოეთი ვიცი ჩემთვის
რა სასჯელია.

და ოცნებებში ჩაფლულს თავისი ქვეყნის ნიავიც კი ესალბუნება: „თქვენგან ჩამოქროლილ ნიავს ვოცნებობ, რომელიც მეტყვის მშობლიურ ამბებს... მე მხოლოდ სითბო მინდა, მშობლიური სითბო, ამბორი და კეთილდღეობა საქართველოსი... ეს ზამთარიც გადავათრიე. „სათნოების“ წამიც დამიდგა, გაზაფხულიც მეწვია. ბუნებამ ამაფორიაქა, მაგრამ ვაი, ვაი, რომ სამშობლოს მთა და ბარში არა ვარ და არ ვტკბები გაზაფხულის სხივთა და ფერთა მრავალსახოვანი ჰარმონიით.“, 124. განსაკუთრებით ეულად გრძნობს თავს ციმბირის უკიდეგანო სივრცეში: „სულიერად გამოკეტილი და ეული შევცქერი შავი ღრუბლით მოჭედილ ცას. ძლიერ შორს, ღრმა ნისლის უკან, შემი სანუკვარი სამშობლოა. ვოცნებობ: უეცრად ნისლის საბურველი ჩაიცრიცება და სამშობლოს ერთბაშად დავინახავ.“,142. შორეულ ციმბირში გადახვეწილი ჭაბუკი სამშობლოზე წაკითხულ-გაგონილი მცირე ინფორმაციითაც გულს იოხებს: „ბანაკში დროს რომ ვიხელთებდი, წიგნს, გაზეთს თუ ჟურნალს რამდენჯერმე გადავიკითხავდი ხოლმე. ამით თითქოს გულს ვიოხებდი და დიდ შვებას ვგრძნობდი. ოცნება და ნატვრა ფრთას გაშლიდა, თითქოს მეც იქ ვიყავი. ვერეოდი ჩემი სამშობლოს ცხოვრებისეულ მაჯისცემაში, კეთილდღეობაში და ჭირ-ვარამში. თითქოს მეც საქართველოს კეთილსაქმობით აქ ვცხოვრობდი.“,143.

ერთი პერიოდი ლევან გოთუას ბედმა გადმოხედა, მისმა ოცნებამ და ნატვრამ ფრთა გაშალა და ჩაება სანუკვარი სამშობლოს ცხოვრებისეულ მაჯისცემაში. „მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვისმეს განა? თაფლში ურევს მწარე ნაღველს, მტრისას მისი გამოცანა“ (აკაკი). სამწუხაროდ, ლევანისთვისაც ხანმოკლე აღმოჩნდა ეს სიხარული და სამშობლოს მოღალატის შეთითხნილი ბრალდებით კვლავ გაუყენეს ჯოჯოხეთის გზას... ისევ გოლგოთა, ისევ წამება... „რამდენი წიგნი დამრჩა დასაწერი, რამდენი მიზანი და საშვილიშვილო საქმე შეუსრულებელი. ვის დასჭირდა ჩემი გაძევება ან რატომ? მალე წავა მატარებელი და უმოწყალოდ გამაშორებს საყვარელ სამშობლო-საქართველოს.“,274. — ასეთი მძიმე ფიქრებით შეუდგა გოლგოთის გზას ციმ-

ბირის ტრამალებისაკენ, „სადაც ჩიტებიც ვერ ბუდობენ, ადამიანიც ვერ გაძლებს..., სადაც „ქარბუქში გამოძვრება ხოლმე სითეთრე, ხოლო თუ მოწმენდილია, დაბალი მზის სხივები თვალს ჭრის... თოვლის მიერ აქ ყველაფერი დამონებულია, მხოლოდ ტუნდრაა გამეფებული ირგვლივ. მძიმე სიტყვა ყოფილა ტუნდრა!“,291.

მიუხედავად გაუსაძლისი ყოფისა, გაწამებული მწერალი ვერ გატეხეს ვერც სულიერად და ვერც ფიზიკურად. მას გადასახლებაშიც არ შეუწყვეტია შემოქმედებითი შრომა. ვორკუტიდან იწერებოდა: გამომიგზავნეთ კონვერტები, საწერი ქაღალდი და რვეულებიო; „ვეფხისტყაოსანი“, საბა-სულხანის ლექსიკონი, ვახუშტის „გეოგრაფია“, საქართველოს რუკა და სხვა ქართული წიგნებიო: „რა ვქნა, ჩემთვის აქ ქართული წიგნი ქართული მიწაა! და იქნებ მეტიც — მიწაცაა და სულიც. ყველაფერი ნამდვილი ქართული უსაზღვროდ, განსაკუთრებულად მიყვარს, იქნებ ამიტომაც ვისჯები.“,299.

ლევან გოთუას ნიადაგ სტანჯავს გაუნელებელი ფიქრი: რატომ გაწირეს, რატომ დასაჯეს: „ყოველთვის გულს მიკლავს ჩემი დანაშაულის არსი. მე — სამშობლოს მოღალატე? ჩემი სამშობლო საქართველოა, მისი მოღალატე არასდროს არ ვყოფილვარ და არ ვიქნები ჩემი ცხოვრების უკანასკნელ დღემდე.“,288. „უსამშობლოდ ცხოვრება მიჭირს, მე ჩემი მხარე თავისებურად ღრმად მიყვარს და ამ შორეთში რუდუნებით ვზიდავ ამ ტვირთს“,300. საახალწლო სურვილებში კვლავ თავისუფალ სამშობლოს შენატრის: „ამ დღეს მოგილოცავთ სამშობლოს შვილებო, გისურვებთ ბედნიერებას და უსათუოდ თავისუფალი საქართველოს ბედნიერებას. ამაზე მეტი სურვილი მე არ ვიცი, არცა მქონია და ახლა უფრო — არ გამაჩნია. უფრო მკაფიოდ, პირდაპირ შემიძლია ვთქვა: მე ბედი კი არ დამაკლდა, არამედ დამაკლდა საქართველო!“,343.

ეს ჯოჯოხეთური წლები ლევან გოთუას სამშობლოს განუზომელმა სიყვარულმა გადაატანინა: „მე სამშობლოში ცოცხალი რომ დავბრუნდი და იქ, იმ ჯოჯოხეთში სიცოცხლე შევინარჩუნე, შინაგანი გუმანით მოხდა. იქ მთელი ცხოვრების მანძილზე სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალული სავსე გული ხელში მაღლა ავიტაცე და სპეტაკად შემოვინახე.“,444.

„მიუხედავად მისი უსამართლოდ და უსასამართლოდ დევნისა, დასჯისა, წამებისა, რითაც ცდილობდნენ მის დაუძლურებას, დაბეჩავებას, სულიერად თუ ფიზიკურად განადგურებას, სიკვდილს თუ თვითმკვლელობამდე მიყვანას, ლევანმა სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე შეინარჩუნა ადამიანობა, არ დაკარგა სულის სიფაქიზე და სიკეთის რწმენა, ფიზიკური და მორალური სიძლიერე, შრომისუნარიანობა, სამშობლოს უზადო სიყვარული და ერისკაცობის ჭეშმარიტი, მამულიშვილური გრძნობა.“ (თ. და ა. გოთუები, 3.).

ლევან გოთუას სამანს იქით არ გაუტანია მშობლიური მიწა, რადგან სამშობლო თვით მასში იყო შენივთებული და ყველგან თან დაჰქონდა თავისი წილი სამშობლო. ლევან გოთუა და სამშობლო მართლაც განუყოფელი მთლიანობაა!

განგებამ მკითხველებსაც განსასჯელად დაგვიტოვა ჩვენ მიერ პერიფრაზულად დასმული ლევან გოთუასეული სულისშემძვრელი კითხვა: **ჩვენც ვერ აგვიხსნია, ვერ გაგვიგია: ლევან გოთუას სამშობლო იმიტომ უყვარდა ასე ძალიან, რომ მისგან ასე შორს იყო, თუ ასე შორს იყო იმიტომ, რომ სამშობლო ასე ძალიან უყვარდა.**

# რევაზ ინანიშვილი

## ზაალ ბოტკოველი



## ლამაზი ცრემლების მომგვრელი

„აი, ამ ლამაზ დღეებში გამაჩერა ერთმა განსწავლულმა კაცმა და ვითომცდა მხოლოდ ხუმრობით მკითხა: — რა ქართული ორღობეების ქება აგიტყდა, კაცო, ამ გაგანია კოსმოსის ათვისების ეპოქაშიო. მეც ვითომ ხუმრობითვე მივუგე: — ეგ შიშიდან მოდის, მეშინია, შენ, რომელსაც გგონია, შენი მიზნებისათვის საჭირო რაღაც მაინცა და მაინც ცხრა მთისა და ცხრა ზღვის გადაღმა მოიძიება, ძირს დაუხედავად არ გადათელო შენს წინ არსებული სიცოცხლეები და მშვენიერებანი-მეთქი“.

ეს სტრიქონები გასული ასწლეულის 80-იან წლებში იწერებოდა და რა იცოდა მისმა ავტორმა, რომ შიში ასე მალე აუხდებოდა და XX-XXI საუკუნეების გზაგასაყარის გონებადაბინდული ლოტოფაგები რაღაც ველური გავეშებით დაუწყებდნენ ძიძგნასა და განადგურებას იმ სიწმინდეებს, იმ სიცოცხლეებსა და მშვენიერებებს, რომლებმაც გააძლებინა ქართველ კაცს ისტორიის ქარბორბალასთან განუწყვეტელ ომებში და დღევანდლამდე მოიყვანა.

რეზო ინანიშვილი.

ეს ის მწერალია, ბატონებო, რომელმაც შეძლო მისი ქვეყნის მარადიული არსებობის საიდუმლოს შეცნობა და ფორმულად ჩამოყალიბება:

„ქართველები ან ისე ცოცხლობენ, როგორც მათ სურთ, ან სულ არ ცოცხლობენ. გაქვავება ურჩევნიათ ულამაზოდ ყოფნას“.

მისმა ტანჯულმა და ამაყმა სულმა როგორც კი შეამჩნია, რომ საქართველოში ულამაზოდ ყოფნის დღეები იწყებოდა, შავბნელი და ბედკრული დღეები, მაშინვე უკეთეს საქართველოში ისურვა ყოფნა და განეშორა ბიწითა და მზაკვრობით გაჟღენთილ ამაოებას ამაოთა...

ეს ამ ოცდახუთიოდე წლის წინ მოხდა, როდესაც ქართველები ერთმანეთს ზარბაზნების ენაზე ელაპარაკებოდნენ, როცა მაცილი და ეშმა ეპატრონებოდნენ ჩვენს სულებს.

რევაზ ინანიშვილმა მომცრო მოთხრობებითა და ნოველებით შექმნა თავისი განუმეორებელი სამყარო, შექმნა ჩვენი თანამედროვე ცხოვრების მატიანე, სიმართლით, სილაღით, დიდი მწერლური ოსტატობით რომ გვაოცებს. ჩეხოვზე ნათქვამი მახსენდება, ერთ მშვენიერ დღეს რუსეთი რომ აღგვილიყო პირისაგან მიწისა, მისი აღდგენა უმნიშვნელო დეტალებამდეც კი ჩეხოვის მოთხრობებით იქნებოდა შესაძლებელიო. რუსეთსა და ჩეხოვზე (სხვათა შორის ჩემს საყვარელ მწერალზე) რა მოგახსენოთ და ბატონმა რეზომ ისეთი სწორუპოვარი ჰიმნი უძღვნა ქართულ სოფელს, ჩვენი სახელმწიფოსა და სახელმწიფოებრიობის ჭეშმარიტ ხერხემალსა და ბალავარს, ისეთი გალერეა შექმნა ქართული სულის, ქართული გენის ნებისმიერი გამოვლინებისა, რომ იმ გალაქტიკაში რეზო ინანიშვილის გალაქტიკა რომ ჰქვია, მხოლოდ ფეხაკრეფით და სუნთქვაშეკრულმა უნდა შეაბიჯო, რათა შენდაუნებურად რამე არ დააზიანო, რამე არ შერყვნა და არ წაბილწო...

მის გვერდით, მის მხარდამხარ რამდენიმე წელიწადი გავატარე და შემიძლია ხატზე დავიფიცო, რომ ასეთი სუფთა, ასეთი კეთილშობილი, ასეთი პირნათელი კაცი ერთან და ბერთან იშვიათად შემხვედრია.

მწერალთა კავშირის მდივანი იყო. ეს ის დრო გახლდათ, როცა ჯერ კიდევ არ დაწყებულიყო ტოტალური შეტევა ქართულ მწერლობაზე, ქართველ მწერლებზე, ჯერ კიდევ აფასებდნენ და უყვარდათ ჭეშმარიტი მწერლები, ჯერ კიდევ სადღაც, საიდუმლო კოლბებში ისახებოდნენ ის ფსევდოლიტერატორები, რომლებსაც დღეს ასე უსირცხვილოდ, უნამუსოდ ცხვირპირში გვჩრიან... მიუხედავად ამისა, რეზო ვერაფრით მოერგო სავარძელს, ვერ გაიგო, რა უნდა ეკეთებინა მწერალთა სასახლეში, ბოლოს თითქოს გამოსავალს მიაგნო. მისი კაბინეტის კარზე გაჩნდა წარწერა, კონსულტაციის მიღების მსურველებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ მომმართონ.

მერე იყო, რომ ავადმყოფობა მოეძალა და სერიოზულად სამკურნალო შეიქნა. მოსკოვში უნდა წასულიყო. კარგად დამამახსოვრდა, როგორ შემოვიდა გიორგი ციციშვილის კაბინეტში და, ცოტა არ იყოს, გაუბედავად თქვა: ახლა მოსკოვში მივდივარ საოპერაციოდ და რომ ჩამოვალ მერე ყველას ხაშმში გეპატიჟებით, ერთი ჩვენებურად ვიქეიფოთო. ეს თქვა და შემდეგ რაღაც დაძაბული მზერა მოგვაპყრო, თითქოს გვამოწმებდა, რამდენად ვირწმუნეთ მისი ოპტიმიზმი. მოსკოვშიც წავიდა, ჩამოვიდა, მაგრამ საქეიფო განწყობა აღარც მას ჰქონდა და აღარც ჩვენ, მისი უბედურების შემყურეთ.

თანდათან ემზადებოდა უკეთეს საქართველოში ასამაღლებლად, ისეთი შეგრძნება გვქონდა, რომ საამისოდ მხოლოდ მისთვის ჩვეული გულმოდგინებით ემზადებოდა, ისე, როგორც საწერ მაგიდასთან დაჯდომის წინ, სადაც მისი შედევრები იქმნებოდა. დინჯად, დაგემოვნებით ისინჯავდა ქრისტეს პერანგს და ბოლოს მშვიდად და უდრტვინველად აღესრულა. ჩვენ კი ლამაზი ცრემლები დაგვიტოვა, ობოლი მარგალიტივით ლამაზი ცრემლები და თუ რამე გადაარჩენს დღევანდელ საქართველოს, რამე თუ უშველის მის იარებსა თუ წყლულებს, დარწმუნებული ვარ, ერთ-ერთი უპირველესი ის ცრემლები იქნება, მისი მოთხრობები რომ ჰქვია და ერთდროულად სიყვარულს, ერთგულებას, პატიოსნებას, სილამაზის აღქმას, რაინდობას და ქედუხრელობას რომ გვასწავლის.

## ჯორჯ გორდონ ბაირონი

### სული ჩემი არის მჭმუნვარი

*(სერიიდან „ებრაული მელოდიები“)*

სული ჩემი არის მჭმუნვარი.
ო, მომღერალო, მოდი, მიმღერე!
ჰა, ოქროს ქნარი: სიმს ჩამოჰკარი,
გულისმომწყვლელი ხმით ამიჟღერე.
ის იმედები — ბედს გაყოლილნი
ალბათ, გულში მსწრაფლ აღიძვრებიან,
ჩემი თვალებიც — ცრემლდაშრეტილნი
გაყუჩდებიან... ატირდებიან...
ველური იყოს ეგ შენი მღერა: —
სულს ნაზი ჰანგი ვეღარ ჩასწვდება!
მე, მომღერალო, მსურს ცრემლთა დენა
თორემ, ვაებით გული გასკდება.
მას კაეშანი დაამცრობს უფრო,
ვიდრემდე იყოს ასე ვნებული: —
ან — გაეყაროს მტანჯველ საწუთროს
ან — დარჩეს... ჰანგით შერიგებული!

1815

### როს სტირი

*(სერიიდან „ებრაული მელოდიები“)*

როს სტირი — ცრემლით ბრწყინავენ
ციურ თვალთა წამწამები,
იას ცვრიანს, პირმცინარეს
დასცვენია ალმასები.
როს იღიმი — შენს წინაშე
საფირონსაც შუქი ქრება:
მის სილურჯეს აფერმკრთალებს
ციურ თვალთა ელვარება.

როს დაისი ღრუბლის მაქმანს
არ უკარგავს უნაზეს ფერს,
როცა არეს ბინდი აკრავს,
ცისკიდურზე აღარ ჩანს მზე —
მაშინ, სულის ღრმა ნისლებში
აღწევს, მხოლოდ, შენი მზერა:
დე, სულ ჩაჰქრნენ სხივთ ისრები —
დაისი აქ სულში ელავს.

1815

## ალექსანდრე პუშკინი

### ზამთრის შარა

აზვირთებულ ნისლებს შორის
ნელად მიმოცურავს მთვარე,
დამწუხრებულ მინდვრებს შორით
დასცქერს სევდით შუქმთოვარე.

მიყუჩებულ ზამთრის შარას,
მკვირცხლად მისდევს ეტლი ძველი
და ხმიანებს ზარის-ზარად
ზანზალაკი მომქანცველი.

ყრუდ ჩამესმის მშობლიური,
გრძელი ჰანგი მეეტლისა,
ხან დარდია საცნაური,
ხან ხალისი სიცოცხლისა.

არც შუქი... არც ქოხი ბნელი...
მხოლოდ თოვლი... მდუმარება...
უთვალავი ბოძი ჭრელი,
გზაზე მწკრივად მეგებება.

მწუხრი, სევდა... ხვალ კი ნინას
კვლავ, ვეწვევი სასურველსა,
გავრინდდები ბუხრის პირას
თვალს ვერ მოვწყვეტ მშვენიერსა.

საათზე კი ისრის წვერი
ჩამომარცვლავს წრეზე ზოლებს,

ღამე — გრძელი, მოსაწყენი
ერთმანეთს ვერ განგვაშორებს.

ვნაღვლობ ნინა: მეეტლე თვლემს...
უსულოა ირგვლივ არე,
ზანზალაკი ერთ ხმაზე რეკს,
იფარება ნისლით მთვარე.

1826

* * *

მე თქვენ მიყვარდით და... შეიძლება,
ეს სიყვარული სულში, კვლავ კრთოდეს...
მე არ ვაპირებ თქვენს შეწუხებას,
თქვენ იგი დიდად ნუ შეგაშფოთებთ.
მიყვარდით კრძალვით, — უიღბლო გზნება
იყო გულწრფელი, ნაზი უსაზღვროდ
და... გისურვებდით (იყოს ღვთის ნება!) —
ასე სათუთად, სხვამ შეგიყვაროთ.

1829

## ალექსანდრე ბლოკი

* * *

ქარმა შორით მოიტანა
გაზაფხულის ჩუმი მღერა,
სადღაც ზეცის ჭუჭრუტანა
ღრმა სილურჯით გადიფერა.

უსასრულო ლაჟვარდთ კიდე,
გაზაფხულის მკრთალი რიდე,
ზამთრის ქარის ოხვრა, კიდევ...
ვარსკვლავური გარინდება.

უნდობლად, ყრუდ, სევდიანად
ქვითინებდა სიმი ჩემი,
ქარმა შორით მოიტანა
სიმღერების ჟღერა შენი.

29 აპრილი, 1901-1907

* * *

ლურჯი მთები შორეთისა —
ხსოვნა იმ მხურვალე დღისა,
თბილი მტვერი შარაგზისა,
ლანდი მქროლავ ულაყისა.

ეკლესია შორს, ტყის გულში —
ყრუ შრიალი ფოთლებისა,
საწყალობლად კვნესა სულში,
მონატრება სიმშვიდისა?!

2 სექტემბერი, 1901-1918

## სერგეი ესენინი

* * *

გესმის — მიქრის ციგა, გესმის — ციგა მიქრის,
გსურს სატრფოსთან ერთად, ველზე გაქრე თითქმის.

მხიარული ქარი, მორცხვი და შემკრთალი,
მოშიშვლებულ მინდორს ახმიანებს ზარი.

ეჰე, ციგა, ციგა! ჩემი ცხენიც მალი!
სადღაც ველზე მთვრალი, ცეკვავს ნეკერჩხალი.

ჩვენც მივედით მასთან, ვკითხოთ — თქვენის ნებით?
და გარმონის ხმაზე სამნი ავცეკვდებით.

სექტემბერი, 1925

**თარგმნა ციცინო მარკოზაშვილმა**

# ლეილა შალვაშვილი — 80

ლეილა შალვაშვილი (თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის პროფესორი), ეს სახელი და გვარი ბევრი თელაველისთვის და, არა მარტო თელაველისთვის, მთელი კახეთის ინტელიგენციისათვის საკმაოდ ბევრის მთქმელია.

ეს, — უბრალო, შრომისმოყვარე და მოფუსფუსე ქალბატონი 50 წელზე მეტხანს ცხოვრობდა თელავში და დიდი რუდუნებით ემსახურებოდა ახალგაზრდების აღზრდა-განათლების საქმეს. ვინ მოთვლის, რამდენი თაობა გამოზარდა ქალბატონმა ლეილამ მამულისა და დედაენის სიყვარულით.

დედაენაზე უზომოდ შეყვარებული, სიცოცხლის ბოლომდე ოცნებობდა თელავში დედაენის სახლის გახსნაზე და ოცნება ოცნებად წაიღო ცათა სასუფეველში. იქნებ, სწორედ, დედაენის და წიგნის სიყვარულმა მოიყვანა იგი წლების წინ წიგნის სახლში — თელავის მთავარ ბიბლიოთეკაში, რომელიც მის მეორე ოჯახად იქცა. ღმერთმა ამაგდარი პედაგოგი ქართული ენის შესანიშნავ კონსულტანტად მოგვივლინა. იგი, მთელი დღე დაუღალავად, თავდახრილი მუშაობდა პრესაში გამოქვეყნებულ მასალებში ენის დარღვევებზე და ჟარგონთა ლექსიკონს ავსებდა. საკმარისი იყო, ბიბლიოთეკის თანამშრომელს, ან, რიგით მკითხველს მისი დახმარება დასჭირვებოდა, ყველას უანგაროდ ეხმარებოდა, თუნდაც, ამისთვის, მთელი დღე დაეკარგა. იგი ქართული ენის ცოცხალ ენციკლოპედიად გვეგულებოდა.

ის იყო ჩვენი ყველა ღონისძიების აქტიური მონაწილე და მრავალი სასიკეთო საქმის წამომწყები; თავის ცოდნას უშურველად გასცემდა და თან, მუდამ, მზად ჰქონდა თბილი საალერსო სიტყვები: „თქვენი ჭირიმეო“, „თქვე მადლიანებოო“, „დღე მშვიდობისაო“, „მადლი მომიხსენებიაო“, „უფალს ებარებოდეთო“, — დაგვლოცავდა ბიბლიოთეკის თანამშრომლებს და მეორე დღემდე ღიღინით დაგვემშვიდობებოდა. იყო, აგრეთვე, ხალხური სიმღერების უბადლო შემსრეულებელი და უზომოდ მოყვარული. ვისაც, ერთხელ მაინც მოუსმენია, არასოდეს დაავიწყდება მისი შესრულებით „წინწყარო“ და „ჩემო, კარგო ქვეყანავ“, რომელსაც დიდი ილიას ძეგლთან ასრულებდა ერის მამის დაბადების და გარდაცვალების დღეს: მუდამ ახსოვდა და ცდილობდა მომავალი თაობებისთვის ესწავლებინა, რომ უგვირგვინო მეფის ძეგლთან თითო ყვავილი მაინც მიეტანათ. ბოლოს კი, როცა უძლურების გამო, თვითონ ვეღარ შეძლო, 2 აგვისტოს ტელეფონით გვთხოვა ბიბლიოთეკის თანამშრომლებს — ზუსტად 2 საათზე ყვავილებით შეგვემკო დიდი თერგდალეულის ძეგლი. მისი თხოვნა პირნათლად შევასრულეთ.

ქალბატონი ლეილა შალვაშვილის სახით ჭეშმარიტი მამულიშვილი დაკარგა თელავმა. იქნებ, სიმბოლურიც იყო, რომ უფალმა მისი სული, სწორედ, 100 ათასი მოწამის დღეს მიიბარა. ისიც ხომ მოწამე იყო — ენის სიწმინდისათვის და მამულის სიკეთისათვის. ყველაფერს სამშობლოს სიყვარულით იწყებდა და ამთავრებდა. მიმდინარე წლის 6 ივლისს იგი თავის 80 წლის იუბილეს ცათა სასუფეველში შეხვდა.

ქალბატონ ლეილას ბევრი სიყვარულით და სიკეთით გამხსენებელი ჰყავს კახეთში, — განსაკუთრებით თელავში და, მათ შორის, ჩვენც ვიქნებით — მთავარი ბიბლიოთეკის თანამშრომლები, — მისი კვალი და ნათელი სახე არასოდეს წაიშლება ჩვენს ხსოვნაში.

იგი, წლების განმავლობაში, ხელმძღვანელობდა დედაენის სპეციალურ გვერდს გაზეთ „თელავის მოამბეში“. დამსახურებისათვის მიღებული აქვს იაკობ გოგებაშვილის სახელობის მედალი, აგრეთვე, თელავის საპატიო მოქალაქეობა.

ვალმოხდილი და პირნათელი მივიდა ზესთასოფელში. არა მარტო ოჯახს, მეგობრებსა და თანამშრომლებს — ქვეყანას დაუტოვა საერო საქმით გაცისკროვნებული, მარად მომღიმარი და დაუვიწყარი სახე.

**მარიამ მრელაშვილი**
*თელავის მთავარი ბიბლიოთეკის*
*თანამშრომელთა სახელით*

# წერილი

## გიორგი ჯავახიშვილი

ძალიან ძნელია, — გიორგი ჯავახიშვილზე, წარსულ დროზე ვისაუბროთ. იგი 1942 წლის 20 დეკემბერს დაიბადა და, 2015 წლის ნოემბერში დაივანა ზეციურ საუფლოში. გიორგი ჯავახიშვილი იყო მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ გამგეობის წევრი. ბატონი გიორგი ჟურნალ „ოლეს“ ერთგული ავტორი და გულშემატკივარი ბრძანდებოდა. ჟურნალის ფურცლებს მისი მრავალი პუბლიცისტური წერილი და მოთხრობა ამშვენებს.

კარგი მწერალი, მკვლევარი, მეცნიერი... და მეგობარი იყო ჩვენი.

მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთი“ და ჟურნალ „ოლეს“ რედაქცია მწუხარებასა და დიდ გულისტკივილს გამოვთქვამთ მისი უდროოდ წასვლის გამო.

უფალი შეეწიოს მის სულს.

ბატონმა გიორგიმ ეს მცირე წერილი „ოლეში“ გამოსაქვეყნებლად ორიოდე თვის წინ გადმოგვცა.

## ია და კესანე

გაზაფხულობით, უფლისაგან ოქროს საბელით მოზომილ საქართველოს მიწაზე ამოსულ ყვავილთა შორის, ია და კესანეც ყვავილობს. მათ მოვლინებასა და სილამაზეს ჩვენმა ხალხმა გამორჩეული სიყვარულით უმღერა. მათთვის ალერსი არ დაუკლიათ ქართული სიტყვის ოსტატებსაც.

ქართველმა დედამ თავისი პირმშო აკვნიდანვე დააკვალიანა „იავნანათი“ და „აი იათი“ აპოვნინა ყუათიანი შოთის პური.

იისა და კესანეს ყვავილების ფერებით ღვთისთვალი ტრიალებს ძმები რაზიკაშვილების ღვთივკურთხეულ პოეზიაში.

***„და როცა ვამბობთ***
***ია მოსულა!***
***თითქოს აქ ღმერთი***
***ცით ჩამოსულა“***
***(ვაჟა-ფშაველა).***

პოეტმა ნიბლია ჩიტის პირით ანდერძი დაუტოვა შთამომავლობას:

***„ნაზი იისა კუბო შემიკრან,***
***გულს დამაყარონ ტურფა კესანე...“***
***(ვაჟა-ფშაველა).***

ვაჟა-ფშაველას უმცროსმა ძმამ, ბაჩანამ, 1889 წელს დაწერა ლექ სი „პასუხი“, სადაც კესანეს ასე ეკითხება:

***„მითხარ კესანე, შენი კვნესამე,***
***პატარა, ტურფავ,***
***მთაზე მოსულო***
***სიმარტოვე არ მოგეწყინა?“***

ბაჩანასა და კესანეს შორის გამართული დიალოგიდან ჩანს, რომ:

***„მეც დავიბადე შენსავით მთაში***
***და გავიზარდე სიმარტოვეში,***
***დავდივარ, დავძრწი ამ ქვეყანაში,***
***ჯანი მთელი მაქვს, გული კი არა,***
***რაღაც მაკლია, რაღაც მწყურია“...***

ქართული პოეზიის ბეჭდაუდებელი ფალავანის ვაჟა-ფშაველას ხელდასხმულმა პოეტმა გიორგი ლეონიძემ ბაჩანას დაუოკებელ წყურვილს 1958 წელს დაწერილი ლექსით უპასუხა, სადაც უფროსი თანამოკალმის მოუშუშებელი ჭრილობა ასე გვაგრძნობინა:

***„კესანე,***
***შენი კვნესამე,***
***სევდა შეგატყვე კილოში, —***
***პატარა, მორცხო ყვავილო,***
***გაზრდილო საინგილოში...“***

საინგილოს მიწაზე ცრემლებით ამოყვანილ კესანეს აიმედებს გიორგი ლეონიძე:

***„ნუ გეშინიან სიობლის,***
***მე არ დაგტოვებ, კესანე...***
***კიდევაც გნახავ მრავალჯერ,***
***მეორედაც და მესამედ...***
***კესანევ,***
***შენი კვნესამე,***
***შენთვის სიყვარულს ვკვესავ მე...“***

მარტოობის შხამი ახრჩობს ბაჩანას კესანეს, გიორგი ლეონიძეს კი კესანესთან ძველი ქართული სიმღერა „ალილოს“ ერთად შესრულების სურვილი ასულდგმულებს.

გიორგი ლეონიძეს ამ ლექსის გამოქვეყნებისთანავე, საბჭოთა იდეოლოგიისათვის შეუფერებელი აზრის გამო, „რომ ერთად არ ვართ, კესანე, მისთვის შემომკვნესარებ“ უსიამოვნება შეხვდა... პოეტის ქალიშვილების მოგონებიდან ვიცით, რომ აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი ტელეფონით ასე შეეხმიანა გოგლას – შენმა კესანემ ამატირა, მაგრამ კესანე, ეს ბუნების საოცრება, საინგილოს მიწაზე არა გვარობსო...

საქართველოს ბუნების მინდიას ეს შენიშვნა როგორ არ დაეჯერებოდა, მაგრამ პოეტმა უპასუხა, შემოქმედისთვის ამას მნიშვნელობა არა აქვსო... მე საქართველოს მოუშუშებელ ჭრილობას სალბუნად კესანეს ყვავილი დაუფინეო..

გიორგი ლეონიძემ, მშობლიური სოფლის პატარძეულის ფერდობებზე, ბღუჯა-ბღუჯა ამოსულ იებში ქართული სიტყვის ხვითო იპოვა და თქვა: „დედის ჩაწვეთებულ ცრემლზე ია ამოდისო...“

ია და კესანე ქართული პოეზიის ემბაზში მონათლული ყვავილებია. როგორც ჩანს, ვაჟა-ფშაველას, ბაჩანასა და გიორგი ლეონიძის პოეზიაში იის ლურჯი და კესანეს ცისფერი ყვავილები ერთ ფერად აღიქმება და გარდა ესთეტიკური ფენომენისა სიმბოლური დატვირთვაც აქვს.

ნანული კუპატაძე



## „ვინ გატეხა ქოთანი?“

### ორი რეჟისორის — ოსტატისა და შეგირდის — ერთი სპექტაკლი თელავის სახელმწიფო თეატრში

თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო თეატრში პრემიერაა! მიმდინარეობს სპექტაკლი „ვინ გატეხა ქოთანი?“, რომელიც დაიდგა გერმანელი დრამატურგის ჰაინრიხ ფონ კლაისტის პიესის — „გატეხილი ქოთანის“ — მიხედვით.

დარბაზი სავსეა მაყურებლით, მაყურებელი კი — უდიდესი მოლოდინით, რადგან სპექტაკლის დადგმის ხელმძღვანელი და რეჟისორია დიდი მაესტრო რობერტ სტურუა, თანადამდგმელი რეჟისორი კი ნიკოლოზ ჰაინე-შველიძე, რომელსაც წილად ხვდა პატივი სახელმოხვეჭილი რეჟისორის გვერდით მუშაობისა.

რობერტ სტურუა ის გამორჩეული რეჟისორია, რომელსაც მუდამ ქვეყნის მაჯაზე აქვს ხელი ჩავლებული, გრძნობს მის მაჯისცემას და ამის მიხედვით ქმნის თეატრალური ხელოვნების შედევრებს; იგი სწორედ ამ პულსით ცხოვრობს და შრომობს; ცდილობს, თვალი აუხილოს სრულიად საქართველოს (განვრცობილს თეატრის დარბაზზე), გამოაფხიზლოს და კარგად დაანახოს, რომ მათთან ერთადაა ჭირსა თუ ლხინში. ამიტომაც ფრიად საპასუხისმგებლოა ახალგაზრდა რეჟისორის ნიკოლოზ ჰაინე-შველიძისათვის სტურუას დონის რეჟისორის ფრთებქვეშ მუშაობა, რაც მას უდიდეს გამოცდილებას შესძენს. მისი ხელწერა გვაიმედებს, რომ როდესაც ვნახავთ შველიძის დამოუკიდებელ დადგმებს, ახალგაზრდა რეჟისორი ისევე აღგვაფრთოვანებს, როგორც დღეს გაგვახარა მისმა ნიჭიერებამ.

...მოლოდინი დასრულდა, დარბაზში შუქი ჩაქრა, ფარდაზე ნათელი წრე აენთო; ამ წრეში ჩაეწერა მშვენიერი ქალბატონი — ბილინგვა, რომელიც გერმანულ და ქართულ ენებზე მოგვესალმა და გვამცნო, რომ გატეხილია ქოთანი და დასმულია კითხვა: — ვინ გატეხა ქოთანი? წარმდგენი გახლავთ თეატრის დამსახურებული მსახიობი ვენერა ფეიქრიშვილი, რომელსაც მრავალჯერ გაუხარებია მაყურებელი ბრწყინვალედ შესრულებული როლებით; ამჯერადაც არ მოჰკლებია ტაში და ოვაცია.

იხსნება ფარდა და სცენის ფიცარნაგიდან ამოდის ტახტზე დაბრძანებული მოსამართლე უფლებამოსილის ყველა ატრიბუტით: ტახტი, კვერთხი (ამ შემთხვევაში მოსამართლის ჩაქუჩი) და თანმხლები ჰიმნი-ოსანა — გ. ყანჩელის, რ. საკამოტოს და მ. კამენის მუსიკა. მის სრულყოფილებას აკლია მხოლოდ გვირგვინი ანუ მოსამართლის პარიკი. მაყურებელს უკვე მარტო ის კი არ აინტერესებს, თუ ვინ გატეხა ქოთანი, არამედ ისიც, თუ რა იქნა პარიკი.

ტახტზე დაბრძანებული მოსამართლის უკან ვხედავთ პანოს, რომელზედაც მოჩანან ყველასათვის ნაცნობი სახეები: თვით უფალი, ბოსხის „დედაბერი“, „მაჭანკალი“, „ძე შეცთომილი“: ბრბო თუ საზოგადოება? — ჩვენ და ქაოსი, თუ ჩვენ და მართლწესრიგი? დეკორაცია სულ ესაა: მოსამართლის ტახტი, მიყრილ-მოყრილი სკამები... და კიდევ ლუკები სცენის ფიცარნაგში.

მხატვარმა მირიან შველიძემ თვალმახარა და მრავლისმეტყველი პანოთი მშვენივრად შეძლო გამხდარიყო სპექტაკლის დამდგმელთა თანაშემოქმედი.

წარმოდგენა დამაინტრიგებელი სიუჟეტით ვითარდება, რომლის პირველივე სცენა გოგოლის „რევიზორის“ დასაწყისს გვაგონებს. ერთ-ერთი სოფლის მოსამართლე იმ რევიზორის მოლოდინშია, რომელმაც უნდა განსაჯოს მისი მუშაობის ავკარგი. ამ დროს კი სასამართლოში ახალი საქმეა განსასჯელი: გატყდა ქოთანი! ვინ გატეხა ქოთანი?

ჰერ ვალტერი, ასე ჰქვია რევიზორს, რაც არ უნდა დაუჯერებლად მოგეჩვენოთ, მექრთამე არ აღ-

მოჩნდა. მან მოსამართლის მიერ შეთავაზებული ფულის შეკვრა მოისროლა და კატეგორიულად მოითხოვა, სასამართლომ დაუყოვნებლივ გამოარკვიოს — ვინ გატეხა ქოთანი! მოსამართლე ხელქვეითის მორჩილებით ეკითხება ზემდგომს: სასამართლო უნდა ჩატარდეს ისე როგორც წესია, თუ როგორც „აქოური წესია“? რევიზორის დაჟინებული მოთხოვნით უნდა დაიკითხოს მოსარჩელე მხარე. და აი, ისინიც: შემოდიან ზოგი მოკრძალებით, ზოგი თამამად, ზოგიც პირუეტებით და პა-დედეთი. შთამბეჭდავი სცენაა! მართლაც ვერსად გაექცევი სტურუასეულ სანახაობით ფანტაზიას.

მოსარჩელეთაგან სასამართლოს წინაშე პირველი წარსდგა ქოთნის პატრონი (მსახიობი ნინო კურტანიძე), რომლის სახლშიც ღამით ფანჯრიდან „ვიღაც“ გადაძვრა მის ქალიშვილთან ტკბობის მიზნით და ქალიშვილის პატიოსნებასთან ერთად ქოთანიც შემოემსხვრა. ფანჯრის რაფაზე კი „უმნიშვნელო“ კვალი დატოვა მოსამართლის პარიკის სახით. დაზარალებული ბევრს „ლაპარაკობს“ უსიტყვო ჟესტიკულაციით ქოთნის ღირსებაზე, რომელსაც აღარაფერი ეშველება; ნივთმტკიცება ტომრით შემოტანილი ქოთნის ნამსხვრევებია. ახლა მთავარია ქალიშვილის ღირსების გადარჩენა: ამიტომ რევიზორის შეკითხვაზე — ვინ გატეხა ქოთანი? — მრავლისმეტყველი წრიული მოძრაობითა და ზეაწეული თითის ირგვლივ მოტარებით მიანიშნებს თითოეულ მოწმეზე, თუმცა ეს თითი ბოლოს მაინც სასიძოზე ჩერდება. მაყურებლის წინაშეა შესანიშნავი მიზანსცენა და რეჟისორული თუ მსახიობური წარმატება.

მთავარი პერსონაჟია ადამი, რომლის როლსაც ჩვეული ოსტატობით განასახიერებს თეატრის წამყვანი მსახიობი ვანო იანტბელიძე. მას, როგორც პერსონაჟსა და მსახიობს, ურთულესი მისია აკისრია, რადგან ერთდროულად არის დამნაშავეც და მსაჯულიც: ქოთანიც თვითონ გატეხა და თვითონვე უნდა დაადგინოს — ვინ გატეხა ქოთანი. ამ სიტუაციაში მსახიობი უბადლოა. მართას მოტრიალე თითის მიმართულების მიხედვით ოსტატურად იცვლება მისი სახის გამომეტყველება. თავიდან შეშინებული ცნობისმოყვარეა, ხოლო როდესაც მართას თითი რუპრეჰტზე ჩერდება, შვებით ამოისუნთქებს და სახეზე კმაყოფილება აღებეჭდება, მაგრამ როდესაც ჰერ ვალტერის დაჟინებული მოთხოვნით უნდა დაიკითხოს ბრიგიდა, მაშინ მსახიობის გარდასახვა კულმინაციას აღწევს! ვანო იანტბელიძე ჩვეული ოსტატობით ფლობს მძიმე ტვირთის მსუბუქად ტარების ხელოვნებას. ეს მხოლოდ დიდოსტატებს ხელეწიფებათ!

ბრწყინვალედაა დადგმული სიზმრის სცენა, სადაც შესანიშნავად იკვეთება როგორც რეჟისორების, ისე მსახიობების ოსტატობა.

რევიზორ ვალტერის შთამბეჭდავი სახე შექმნა სახელოვანმა არტისტმა თემურ ხუნაშვილმა. მისი განსახიერებით ის მხოლოდ რევიზორი კი არა, თვით ხელისუფლებაა. მსახიობი თავისებური იერსახით, მიხვრა-მოხვრით, ჟესტ-მიმიკით, მტკიცე ნაბიჯებით ზუსტად გადმოსცემს უფლებამოსილის შეუვალ პოზიციას, რომელსაც თითქოს ხელებიცა და სინდისიც სუფთა აქვს, ქრთამიც არ აუღია, მაგრამ სკამზე „შემთხვევით“ დარჩენილ ფულზე კი უარს არ ამბობს და მის ასაღებად თავისი „სუფთა ხელი“ მაინც წაუტყუებს. უყურებ და გჯერა თემურ ხუნაშვილის სამსახიობო ხელოვნებისა, მაგრან იმავდროულად არ გჯერა რევიზორისა — მართლა სუფთა აქვს ხელები და სინდისი?

მართა, ევას დედა, განასახიერა მსახიობმა ნინო კურტანიძემ, რომლის სცენაზე გამოჩენასაც ყოველთვის სიამოვნებით ელოდება მაყურებელი. ქალბატონ ნინოსაც საკმაოდ რთული მისია აკისრია; იგი ცდილობს, ქალიშვილს ნამუსი შეუნახოს, ამიტომ მოჩვენებითი თვითდაჯერებით და ხელისაუკანკალებლად მიუთითებს, რომ ფანჯრიდან გადაძვრა და ქოთანი გატეხა საქმრომ — საცოდავმა რუპრეჰტმა. არაჩვეულებრივი მიზანსცენა გაშვერილი თითის შემოტარებისა, რა თქმა უნდა, რეჟისორების დამსახურებაა, მაგრამ მომენტის ემოციურობა და სუნთქვაშეკრული მაყურებლის განცდა, ემანდ თითი ჩემზე არ გაჩერდესო, მსახიობის დამაჯერებელმა თამაშმაც განაპირობა. მაყურებლის რეაქცია, ტაშით გამოხატული, სწორედ ამის დასტური გახლდათ.

მშვენიერია მანანა აბრამიშვილის ევა — გარეგნულადაც და მსახიობის ოსტატურად შესრულებითაც. მისი ერთადერთი ფუნქციაა, იყოს ქალი, რასაც პირნათლად ასრულებს მოსასხამითა თუ მოსასხამის გარეშე. ვინც არ უნდა მოხსნას მოსასხამი, დედა ყოველთვის მზად არის, კვლავ მხრებზე მოასხას და ამით მაინც მოსწმინდოს შელახული ნამუსი. ეს როლი ახალგაზრდა მსახიობის მორიგი წარმატებაა.

შეუდარებელია ზურა ლომიძე ლიჰტის როლში. ეს არის კატაზე მონადირე თაგვი, რომლის ოცნება და ცხოვრების მიზანია მოსამართლის მანტიის მორგება. როდესაც ეს მანტია მის მხრებზე შემთხვევით აღმოჩნდება, აღფრთოვანება და გაკვირვება ერთდროულად იხატება მის სახეზე; თუმცა მლიქვნელის გამომეტყველებაც უმალ აღებეჭდება, როდესაც ნაპოვნ რეგალიას, გვირგვინს ანუ პარიკს, თავზე საკუთარი ხელით მოარგებს ადამს. მსახიობმა შესანიშნავად გახსნა ეს როლი და მთლიანად გააშიშვლა კარიერისტის ბუნება.

ფრიად დასამახსოვრებელი სახე შექმნა მსახიობმა ლექსო რაზმაძემ რუპრეჰტის როლის შესრულებით. საცოდავი რუპრეჰტი, ევას საქმრო, სრული არარაობაა. სამსახიობო ოსტატობის თვალსაზრისით ალბათ უფრო ძნელია ითამაშო არარაობა, ვიდრე სრულყოფილი პერსონა — დადებითი თუ უარყოფითი. ახალ-

გაზრდა მსახიობის - ლექსო რაზმაძის — სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ამ მისიას წარმატებით გაართვა თავი და კოლორიტულად წარმოგვიდგინა ბეჩავი საქმრო.

რუპრეჰტის მამის — ფეიტის როლს ასრულებს ახალგაზრდა, მაგრამ უკვე გამობრძმედილი მსახიობი დათო ნაცვლიშვილი. მისი ფეიტი თავდაპირველად ცდილობს, მხარში ამოუდგეს უნდილ შვილს უდანაშაულობის დასამტკიცებლად, მაგრამ უმწეოა უსამართლო სამართალის წინაშე. დათო ნაცვლიშვილმა ამ როლითაც დაგვამახსოვრა თავი.

იქნებ უინტერესოც კი ყოფილიყო ცხოვრება, ჩვენს გვერდით რომ არ იყვნენ ბრიგიდა — ასინეთები (დღეს ამ ფუნქციას ფარული კამერები ასრულებს). რეჟისორების ზუსტი მიგნებაა, როდესაც ეს როლი ისეთ გამოცდილ მსახიობს მიანდეს, როგორიცაა ეთერ დეისაძე. მისმა ენატანია და ჭორიკანა პერსონაჟმა კარგად იცის თავისი ადგილი, ფუნქცია და დანიშნულება ცხოვრებაში. ეს ის ქალბატონია, რომელიც ყოველთვის ყველაფერს ხედავს და ყველაფერი ესმის. ამიტომაცაა, რომ იგი აუღელვებლად, ყოველგვარი პათოსის გარეშე ამხელს ადამს, არაფრად მიაჩნია მისი თანამდებობა და რეგალიები და თავისი „ასინეთობით“ იმას აღწევს, რომ ცოდვილ ადამს ხელში ანთებულ სანთელს დააჭერინებს.

მოსამართლეს ხელქვეითები სჭირდება; მათი დანიშნულებაა მისი უმაღლესობის ჩაყენება ყოველგვარი საქმის კურსში და მზადყოფნა იმისათვის, რომ ხან თავზე გადაუსვან ხელი, ხან კი გაუწკაპუნონ, სადაც ჯერ არს. ამ ორ ქალბატონს წარმოგვიდგენენ თელავის თეატრის ძირძველი მსახიობები ნონა ხუმარაშვილი და ვენერა ფეიქრიშვილი; ეს ის ვენერაა, სპექტაკლის დაწყება ქართულ-გერმანულად რომ გვაუწყა. მათი თამაშით მაყურებელი ერთხელ კიდევ რწმუნდება, რომ პროფესიონალებისათვის არ არსებობს დიდი და პატარა როლები.

ქართველი ვაჟკაცის, რაინდის, მფარველის სული ყველაზე კარგად ცეკვაში ვლინდება. ამიტომაცაა, რომ მოსამართლის ერთგული, საიმედო დაცვის ბიჭები ცეკვავენ და თანაც ცეკვავენ არა როგორც გამრთობები, არამედ როგორც ჭეშმარიტი დამცველი რაინდები. ეს არაჩვეულებრივი სანახაობა გვაჩუქეს მალხაზ ჩიდრაშვილმა და გიორგი გელაშვილმა.

სპექტაკლი მიდის დასასრულისაკენ... მოსამართლის თავში იბადება აზრი, რომ არსებობენ ადამიანები, ათეისტებად ხსენებული, რომლებსაც არ სჯერათ ღმერთის არსებობის; სამაგიეროდ არ არსებობენ ადამიანები, რომლებსაც არ სწამდეთ ეშმაკის — ლუციფერის არსებობა. მოსამართლე ანთებული სანთლით უდრტვინველად ჩადის ლუკში სრული გააზრებით, რომ თვითონ სამართლის პოვნა არ შეუძლია და სამართალის მაძიებლებს მოუწოდებს: „ყველანი ჰააგაში!“ ეს გახლავთ სპექტაკლის ფინალური ფრაზა.

შემთხვევითი არ არის, რომ სპექტაკლს თან დაჰყვება ლანდი ბრეხტის აზდაკისა, პოლიკარპე კაკაბაძის ყვარყვარესი თუ გოგოლის რევიზორისა.

ბატონო რობერტ, ბატონო ნიკოლოზ! ნუთუ ასე უიმედოა ჩვენი მართლმსაჯულება, რომ სამართალმა პური ვერ ჭამოს?!

ამ ფრიად საინტერესო სპექტაკლით შემოქმედებითმა ჯგუფმა გვიჩვენა, რომ თელავის თეატრის ბებერი რქანი კვლავაც ღონიერია, ერთგულად ეწევა თეატრალური ხელოვნების მძიმე ჭაპანს, რასაც ხალხის მსახურება ჰქვია და მისი შემოქმედებითი ქოთანი არ გატეხილა და არც გატყდება.

**ოქტომბერი**

* * *

ნიკო სულხანიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელში გამოჩენილი ქართველი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, ლინგვოდიდაქტიკოსისა და ლექსიკოგრაფის, ეთნოგრაფ-ფოლკლორისტ-პუბლიცისტის ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა. საღამოს, ცნობილი საზოგადო მოღვაწის ცხოვრების მკვლევარი, ციური ბერიძე უძღვებოდა, რომელმაც ისაუბრა ვლადიმერ აღნიაშვილის შემოქმედებასა და მოღვაწეობაზე, ასევე ფართო საზოგადოებისთვის დღემდე უცნობ დეტალებზე.

საღამოს ქალაქ თელავის მერის მოადგილე ლევან ლილუაშვილი და თელავის მერიის კულტურის, ძეგლთა დაცვის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ფიქრია ყუშიტაშვილი ესწრებოდნენ.

* * *

ღვინის ფესტივალი „თელავინო — 2015“ ფოლკლორული კონცერტით დასრულდა, რომელშიც სიმღერისა და ცეკვის ფოლკლორული ანსამბლები მონაწილეობდ-

ნენ. ღონისძიებას თელავის მერიის კულტურის, ძეგლთა დაცვის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ფიქრია ყუშიტაშვილი უძღვებოდა. ფესტივალის მონაწილეებს, საშუალება ჰქონდათ, უფასოდ დაეგემოვნებინათ საუკეთესო ქართული ღვინო და დაბალ ფასადაც შეეძინათ. ფესტივალზე ცხრა ღვინის კომპანია იყო წარმოდგენილი.

ფესტივალი, გასულ წელს, საქართველოს პრემიერმინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით დაწესებული ქართული ღვინის დღის ფარგლებში დაფუძნდა და თელავის მერიისა და კახეთის მეღვინეთა გილდიის ორგანიზებით უკვე მეორედ ჩატარდა.

* * *

ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელობის სახელმწიფო პროფესიულმა დრამატულმა თეატრმა, 30 წლიანი პაუზის შემდეგ, თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის დრამატულ თეატრში, სპექტაკლით „ანტიგონე“ საგასტროლო ტურნე დაასრულა. ქალაქ თელავის ვიცე-მერმა თენგიზ მთვარელიშვილმა, ოზურგეთის თეატრს მადლობა გადაუხადა წარმატებული გასტროლისთვის და სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

ღონისძიებას ქალაქ თელავის საკრებულოს თავმჯდომარე არჩილ თხლაშიძე, მერის მოადგილე ლევან ლილუაშვილი და კულტურის, ძეგლთა დაცვის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ფიქრია ყუშიტაშვილი ესწრებოდნენ. ოზურგეთის თეატრი თელავს პირველ ოქტომბერს ეწვია და ხუთი სპექტაკლი წარმოადგინა: „მაკბეტი“, „ჯადოსნური ზღაპარი“, „ჭკვიანი გიჟები“, „აურზაური არაფრის გამო“ და „ანტიგონე“.

* * *

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ლიტერატურულ-საგანმანათლებლო პროექტის — „ცოცხალი წიგნებ“-ის ფარგლებში თელავს ცნობილი მწერლები ეწვივნენ. დღის განმავლობაში შეხვედრები გაიმართა თელ-

ავის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, სახელმწიფო უნივერსიტეტსა და მე-4 საჯარო სკოლაში. ცენტრალურ ბიბლიოთეკაში შეხვედრისას, ქალაქ თელავის მერმა, პლატონ კალმახელიძემ ისაუბრა წიგნის მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ თელავის მერია ყველაფერს აკეთებს ქალაქში არსებული ბიბლიოთეკების ხელშეწყობისთვის.

* * *

12-20 ოქტომბერს თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის თეატრში მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი ჩატარდა.

ფესტივალის დამფუძნებელი და გენერალური სამხატვრო ხელმძღვანელია, ცნობილი ქართველი პიანისტი ელისო ვირსალაძე.

ფესტივალი გაიმართა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და „კლასიკური მუსიკის

დაცვის, განვითარებისა და პოპულარიზაციის ცენტრის“ მხარდაჭერით.

ფესტივალზე გამართულ 6 კონცერტში მონაწილეობდნენ ცნობილი ქართველი და უცხოელი მუსიკოსები.

* * *

ქალაქ თელავის მერი პლატონ კალმახელიძე ქართველი მხატვრების ნამუშევრების გამოფენას დაესწრო. ღონისძიება საქართველოს მხატვართა კავშირის ორგანიზებით ჩატარდა, სადაც ასევე გაიმართა კატალოგის პრეზენტაცია, რომელშიც შვიდასი მხატვრის 2014-2015 წლების ნამუშევრებია წარმოდგენილი, მათ შორის თელაველი მხატვრების. გამოფენა თბილისში, მერაბ ბერძენიშვილის სახელობის კულტურის ცენტრში მოეწყო.

* * *

23 ოქტომბერს, თელავის მთავარი ბიბლიოთეკის და ქალაქის მერიის კულტურის სამსახურის ინიციატივით, ნიკო სულხანიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელ-

ში ჩატარდა მარიამ კოზმანიშვილის შემოქმედებითი საღამო — „სულს რაღაც მეტი, რაღაც სხვა უნდა!“. დამსწრე საზოგადოებას წარუდგინეს მარიამის ახალი პოეტური კრებული „კართან მზე დავდე“. ღონისძიებას ესწრებოდნენ ქალაქ თელავის მერი პლატონ კალმახელიძე, ქალაქ თელავის საკრებულოს თავმჯდომარე არჩილ თხლაშიძე და თელავის მერიის კულტურის, ძეგლთა დაცვის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ფიქრია ყუშიტაშვილი.

თელავის მერმა პლატონ კალმახელიძემ, ცნობილ თელაველ პოეტს, მარიამ კოზმანიშვილს ახალი წიგნის პრეზენტაცია მიულოცა და ყვავილების თაიგული მიართვა. ქალაქის მერმა ისაუბრა, თუ რა როლი აქვს მწერლობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და აღნიშნა, რომ მერია შემოქმედი ადამიანების ხელშეწყობისთვის ყველაფერს აკეთებს.

* * *

საერთაშორისო ქორეოგრაფიული ფესტივალი „შემოდგომის რიტმები“ საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირის ინიციატივით გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა ხუთი ქვეყნის: საქართველოს, ისრაელის, სომხეთის, რუსეთისა და აზერბაიჯანის ფოლკლორულმა ანსამბლებმა მიიღეს. ფესტივალის დასკვნითი ღონისძიება თელავში, ვაჟა-ფშაველას სახელობის დრამატულ თეატრში ჩატარდა.

ჟიურის განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურეს ანსამბლებმა: „თელავი“ და „მართვე“, ხოლო ანსამბლ „მართვეს“ ხელმძღვანელს ანზორ ერქომაიშვილს ქართულ ქორეოგრაფიაში შეტანილი წვლილისთვის, საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა ასოციაციამ, სპეციალური ჯილდო გადასცა.

ქალაქ თელავის საკრებულოს თავმჯდომარემ არჩილ თხლაშიძემ და თელავის მერიის კულტურის, ძეგლთა დაცვის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა ფიქრია ყუშიტაშვილმა ჩამოსულ სტუმრებს საჩუქრები გადასცეს. ცნობილ მოცეკვავეს ომარ მხეიძეს კი, ოთხმოცი წლის იუბილესთან დაკავშირებით, ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის სახელით, ერეკლე მეორის პორტრეტი გადაეცა.

* * *

სტუდია „იაკამის“ ახალი მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გზა ტაძრისაკენ“ დღეისათვის მეტად აქტუა-

ლურ თემას ეხება. ფილმის ანოტაცია ასეთია: კაცს, რომელსაც ერთადერთი შვილი ავღანეთში დაეღუპა შურისძიებაზე ფიქრობს. იგი ეკლესიაში, მამა იორამს მიაკითხავს. შინ დაბრუნებისას, კაცს გზაზე მცირეწლოვანი ბიჭი ხვდება, რომელიც გულწასულ ქალთან მიიყვანს. ქალი მუსლიმანი აღმოჩნდება... თუ რით დამთავრდება ეს ისტორია, ამას ფილმის ნახვისას შეიტყობთ.

„გზა ტაძრისაკენ“ შევიდა საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიერ გამოსაცემად მომზადებულ ახალი ქართული ფილმების 2015 წლის კატალოგში.

2016 წლის სექტემბერს ფილმი მონაწილეობას მიიღებს კიევის მართლმადიდებლური ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე „პოკროვი“.

ფილმის რეჟისორია ლია დაუშვილი, სცენარის ავტორი და ოპერატორი აკაკი დაუშვილი, მონტაჟი ეკუთვნის ვასილ ბაბუაშვილს. როლებს ასრულებენ: ირაკლი აზიკური, თეიმურაზ მარხვაშვილი, მანუჩარ მურღვლიანი, ეკა ქართველიშვილი და თელაველი 4 წლის ბიჭი — ლუკა ქართველიშვილი.

## ნოემბერი

* * *

„ერეკლეობა – 2015“ თელავში ტრადიციისამებრ 7 ნოემბერს, მეფე ერეკლე II-ის დაბადების დღეს აღინიშნა. მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში, ერეკლე II-ის 295 წლის იუბილესთან დაკავშირებით მეფის სულის მოსახსენებელი პანაშვიდი აღევლინა, რომელსაც ესწრებოდნენ ქალაქ

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე არჩილ თხლაშიძე, მერის მოადგილე ალექსანდრე საჩიშვილი და საკრებულოს წევრები: დავით ჯორჯაძე, დიმიტრი ზაქაიძე და ნიკოლოზ ვარდოშვილი; ასევე ერეკლე II-ის შთამომავალი ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკი და ბაგრატიონთა სამეფო კარის კანცლერი კახა ქორიძე. მათ პატივი მიაგეს დიდი მეფის ხსოვნას და გვირგვინით შეამკეს მისი საფლავი.

თელავში სადღესასწაულო ღონისძიებები მთელ დღეს გრძელდებოდა. გაიმართა სიმღერისა და ცეკვის ფესტივალის „შენ ხარ ვენახი“-ის დასკვნითი კონცერტი. სადღესასწაულო ღონისძიებები გალა-კონცერტითა და „თელავის საპატიო მოქალაქის“ წოდების მინიჭების საზეიმო ცერემონიალით დასრულდა.

ქალაქის მერი პლატონ კალმახელიძე ცენტრალურ მოედანზე შეკრებილ თელაველებსა და სტუმრებს მიესალმა და ერეკლეობა მიულოცა.

მერიის გადაწყვეტილებით, საპატიო თელაველები გახდნენ: რეჟისორი რობერტ სტურუა, დირიჟორი გივი მუნჯიშვილი, თელავის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ვალერიან ელანიძე, მსოფლიო ჩემპიონები ჭადრაკში ლელა ჯავახიშვილი, ბელა ხოტენაშვილი და მსოფლიო ბანკის რეგიონული პროექტების გენერალური მენეჯერი აჰმედ აივედა.

საპატიო თელაველები დააჯილდოვეს ქალაქ თელავის მერმა პლატონ კალმახელიძემ, თელავის მაჟორიტარმა დეპუტატმა პარლამენტში გელა სამხარაულმა და ბაგრატიონთა სამეფო კარის მეთაურმა ნუგზარ ბაგრატიონმა.

* * *

თელავში არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის კვლევის შედეგების პრეზენტაცია მოეწყო, რომელსაც ქალაქის მერი პლატონ კალმახელიძე, საკრე-

ბულოს თავმჯდომარე არჩილ თხლაშიძე, გუბერნატორის მოადგილე გივი მეტრეველი და კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ. შეხვედრაზე ძველი თელავის ამსახველი ფოტოალბომი წარადგინეს.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სააგენტომ, მიმდინარე წლის ზაფხულს, კვლევითი სამუშაოები თელავში ჩაატარა, რის შედეგადაც გამოვლინდა ოთხი არამატერიალური მემკვიდრეობის ელემენტი: კახური ქუდი, ჩურჩხელა, მეთუნეობა და კახური პური.

* * *

11 ნოემბერს უკვე მეხუთედ ჩატარდა ქრისტიანული პოეზიის ფესტივალი „წმინდა ნინოს ჯვარი“. ფესტივალის მონაწილეებსა და სტუმრებს მასპინძლობდა საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობისა და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი (წმინდა სამების საკათედრო ტაძარი).

ფრესტივალის ორგანიზატორები არიან: სამშვიდობო ორგანიზაცია „სადაკო“, ლიტერატურული ჟურნალი „ოლე“ და წმიდა ილია მართლის (ჭავჭავაძის) სახელობის სალიტერატურო ჟურნალი „საქართველოს მოამბე“.

ღონისძიება საზეიმოდ გახსნა ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ლია დაუშვილმა.

ჟიურიმ: ცირა ყურაშვილი, ქეთევან დოლიძე, თამარ ფარჩუკიძე, ზაალ ბოტკოველი, გივი ჩიღვინაძე ფესტივალის მთავარი პრიზი — „წმინდა ნინოს ჯვარი“ მიაკუთვნა:

მაია მიქაიას, ედუარდ უგულავას, ელდარ ჭიჭიაშვილსა და ბადრი სულაძეს.

ფესტივალის პრიზი — „წმინდა ნინოს ჯვრის მედალიონი“ გადაეცათ: ქეთევან შენგელიას, მამუკა დემეტრაშვილს, ეკატერინე ბაზერაშვილს, ციური მესხიშვილს, ნინო მოდრეკილაძესა და ანა ბეინაშვილს.

ფესტივალის პრიზით — „ენდალმა“ დაჯილდოვდნენ: ვასილ ბოსტაშვილი, თამარ შაიშმელაშვილი, კესარია აბაშიძე, დავით ასილაძე, ეკა ქურხული, დავით კიკვაძე, მანანა ქურდაძე, ვიკა მჟავანაძე და ნინო ბაქანიძე.

დამსწრე საზოგადოებას ორგანიზატორებმა წარუდგინეს ქრისტიანული პოეზიის ფესტივალის „წმინდა ნინოს ჯვარი“ რიგით V კრებული.

დასასრულ, გამარჯვებულებმა წაიკითხეს ფესტივალზე წარმოდგენილი ლექსები.

ფესტივალი ჩატარდა თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.

* * *

ზაირა არსენიშვილის მემორიალური დაფა ქალაქ თელავის მერმა პლატონ კალმახელიძემ მწერლის ოჯახის წევრებთან ერთად გახსნა, შემდეგ კი, ნადიკვრის ქუჩის 26-ში შეკრებილმა საზოგადოებამ ცნობილი მწერლისა და კინოსცენარისტის შემოქმედება გაიხსენა. მემორიალური დაფის გახსნას ქალაქ თელავის საკრებულოს თავმჯდომარე არჩილ თხლაშიძე და გუბერნატორის მოადგილე ზურაბ არსენიშვილი ესწრებოდნენ.

* * *

14 ნოემბერს, წინანდალში ტრადიციული სახალხო დღესასწაული „ალექსანდრეობა“ აღინიშნა. თვითმმართველი თემის საკრებულოს თავმჯდომარემ — პაატა გიორგობიანმა და თანმხლებმა პირებმა ახალ შუამთაში ალექსანდრე ჭავჭავაძის საფლავი გვირგვინით შეამკეს და მისი სულის მოსახსენიებელ პანაშვიდს დაესწრნენ. ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის ეზოში კი სხვადასხვა ღონ-

ისძიებები გაიმართა. ღვინის კონკურსში წარმოდგენილი იყო ტრადიციული, კახური ოჯახური ღვინოები თელავის მუნიციპალიტეტის ყველა სოფლიდან. გამოავლინდნენ პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასული მეღვინეები, რომელთაც გადაეცათ ფულადი ჯილდო და სამახსოვრო საჩუქრები. ახალგაზრდა ჩოხოსნებმა ალექსანდრე ჭავჭავაძის ძეგლი ყვავილებით შეამკეს. ასევე მოეწყო ხალხური რეწვის ნიმუშებისა და წინანდლელი მხატვრების გამოფენა. დღესასწაული საზეიმო კონცერტით დასრულდა. სხვა შემსრულებლებთან ერთად კონცერტში ანსამბლი „წინანდალი“ და თელავის ქალთა კაპელა მონაწილეობდა. კონცერტის მსვლელობისას, მუნიციპალიტეტის გამგებელმა — ალექსანდრე შათირიშვილმა პედაგოგებს — მარუსია ჭავჭავაძეს, ირაკლი კალანდიას, ეთერ კოპეშაძეს, ინჟინერ-მექანიკოსს — გურამ მატუაშვილს და მხატვარ შალვა მატუაშვილს საპატიო წინანდლელის წოდება მიანიჭა.

„ალექსანდრეობის“ სადღესასწაულო ღონისძიებები თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებითა და წინანდლის ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის ადმინისტრაციის მხარდაჭერით გაიმართა.

* * *

თელავის მერმა პლატონ კალმახელიძემ, ცნობილ თელაველ მწერალსა და მხატვარს, გიორგი ბერძნიშვილს სამოცდათხუთმეტი წლის იუბილე მიულოცა და ვახვახიშვილების სასახლის საგამოფენო დარბაზში მხატვრის ნამუშევრების გამოფენა გახსნა.

გიორგი ბერძნიშვილი მრავალი წელი მუშაობდა ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლაში. იგი ავტორია არაერთი პოეტური თუ პროზაული კრებულისა. მის ლექსებზე სიმღერებია დაწერილი.

ქალაქის მერმა გიორგი ბერძნიშვილს ჯანმრთელობა და შემოქმედებით საქმიანობაში წარმატებები უსურვა.

## დეკემბერი

ვახვახიშვილების სასახლის საგამოფენო დარბაზში, ელენე ახვლედიანის სამხატვრო სკოლის მოსწავლეების ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა. გამოფენის გახსნას ქალაქ თელავის საკრებულოს თავმჯდომარე არჩილ თხლაშიძე, მერის მოადგილე ლევან ლილუაშვილი და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

* * *

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ვალერიან ელანიძემ, ერეკლე მეფის ცხოვრების შესახებ, ახალი წიგნი გამოსცა. წიგნის პრეზენტაციას საქართველოს პარლამენტის წევრი ანი მიროტაძე, თელავის ვიცე-მერი თენგიზ მთვარელიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე არჩილ თხლაშიძე და სამეცნიერო წრის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

არასამთავრობო ორგანიზაციამ „თელავი ჩემი ქალაქია“ ვალერიან ელანიძეს თელავზე მოამაგის წოდება მიანიჭა.

* * *

9 დეკემბერს საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ ახალგაზრდობისა და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში (წმინდა სამების საკათედრო ტაძარი) გაიმართა

მარიამ კოზმანიშვილის ახალი წიგნის „კართან მზე დავდე“ წარდგინება. ლექსების კრებული გამოსცა გამომცემლობა „გლოსამ“. საღამოს პოეტ მარიამ კოზმანიშვილის მრავალი თაყვანისმცემელი ესწრებოდა. გულთბილი მილოცვების შემდეგ მარიამმა წაიკითხა საკუთარი ლექსები და სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა.

* * *

თელავის თემის მნუნიციპალიტეტსა და ქალაქ თელავში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების

შესახებ წიგნის პრეზენტაციას დაესწრო, ქალაქ თელავის მერი, პლატონ კალმახელიძე. წიგნი მეცნიერებათა აკადემიის ინიციატივით გამოიცა და მასში დეტალურადაა განხილული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აგებულება და ისტორია.

შეხვედრას ქალაქ თელავის საკრებულოს თავმჯდომარე არჩილ თხლაშიძე, თემის მუნიციპალიტეტის გამგებელი ალექსანდრე შათირიშვილი, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი გიორგი კვესიტაძე, მეცნიერებათა აკადემიის წევრები და დაინტერესებული საზოგადოება ესწრებოდა.

მხატვარი რეზო (ემელიანე) ადამია

ტერენტი გრანელი